პარტნიორი მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ივნისი **ოთხშაბათი** 2010
№ 145 (13 133) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/8 ფინალი

## ორი წყვილი გარკვეულია

| 26 ივნისი, შაბათი. 18:00 | 27 ივნისი, კვირა. 22:30 |
| --- | --- |
| **ურუგვაი** | **არგენტინა** |
| **სამხ. კორეა** | **მექსიკა** |
| პორტ ელიზაბეტი | იოჰანესბურგი |

# ლათინთა აღლუმი

## სამხრეთ აფრიკაში, ჯერჯერობით, სამხრეთამერიკელები ზეობენ

A ჯგუფი



» გვერდი 3

B ჯგუფი

## არგენტინის 100 პროცენტი



» გვერდი 2

# ინგლისი

» გვერდი 6

## კატასტროფის პირას



C ჯგუფი

A ჯგუფი

## დომენეკმა ლოგიკურად დაასრულა

რატომ არ ჩამოართვა ხელი ფრანგმა პარეირას?



» გვერდი 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

B ჯგუფი



ლეო მესი (მარჯვენა) საუკეთესო იყო

# ორი მარტინის ენდშპილი

22 ივნისი. პოლოკვანი. პეტერ მოკაბა სთედიუმი. 38 891 მაყურებელი

**არგენტინა–საბერძ. 2:0**

**არგენტინა (4-3-1-2):** რომერო - ოტამენდი, ბურდისო, დემიკელისი, კ. როდრიგესი - მ. როდრიგესი (63. დი მარია), ვერონი, ბოლატი, - მესი - მილიტო (80. პალერმო), აგუერო (77. პასტორე).

**საბერძნეთი (5-4-1):** ცორვასი - ვინტრა, პაპადოპულოსი, მორასი, კირიაკოსი, ტოროსიდისი (55. პაცაცოლლუ) - კაცურანისი (54. ნინისი), ციოლისი, სოკრატისი, კარაგუნისი (46. სპიროპულოსი) - სამარასი.

**გოლები:** 1:0 დემიკელისი (77), 2:0 პალერმო (89)

**გაფრთხილება:** კაცურანისი (30), ბოლატი (76)

**მატჩი დაიწყო:** საბერძნეთი; **დარტყმა:** 22-7 (12-3); **ჯარიმა:** 8-15; **კუთხური:** 10-1; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**არბიტრი:** რავშან ირმატოვი (უზბეკეთი)

**საინტერესო მომენტები**

18' - **აგუერომ** ბრწყინვალედ ითამაშა, გაცდა მცველებს და რომ არა **ცორვასის** თავგანწირული ნახტომი, ანგარიში გაიხსნებოდა.

19' - **ვერონმა** 25 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, ცორვასმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

32' - აგუეროს დარტყმული მცველმა მოიგერია.

45' - ცორვასმა ზედიზედ ორი რთული ბურთი მოიგერია.

48' - შორეული პასით **სამარასი** მოულოდნელად დაუსხლტა მეურვეებს და ძალზე სახიფათოდ დაარტყა რომეროს კარში, ბურთი ოდნავ აცდა მიზანს.

69' - **ბოლატის** ახლო მანძილიდან შეძლო გოლის გატანა, მეკარემ იყოჩაღა.

77' - 1:0: როგორც იქნა, არგენტინელთა სრული უპირატესობა გოლში აისახა, **დემიკელისის** თავურს უნებლიედ **მილიტო** გადაეფარა, დემიკელისმა განმეორებითი დარტყმით გაიტანა.

86' - **მესის** დარტყმული ძელს მოხვდა.

89' - 2:0: მესის დარტყმული ცორვასმა კი მოიგერია, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა **პალერმოს** დამატებულს.

**სახელისო სტატისტიკა**

**ლეო მესი:** კარისკენ 5-ჯერ დაარტყა, 4 კარში წავიდა, 1 ძელს მოხვდა; 4 სოლორეიდი; 4-ჯერ წააქციეს; მისი 72 პასიდან 54 ზუსტი იყო; გაირბინა 8 155 მეტრი.

**ყველაზე მეტი პასი:** ვერონი (151)
**ყველაზე მეტი ზუსტი პასი:** ვერონი (118)
**ყველაზე მეტი** ჩაწოდება: დი მარია (4)
**ყველაზე მეტი გაირბინა:** ვერონი (10 877)
**ყველაზე სწრაფი:** პასტორე (27,82 კმ/სთ)

**არგენტინის** გულშემატკივრებს მისალოცად აქვთ საქმე - კაცმა, რომლის ექსტრავაგანტური ქცევის გამო ბევრს შიში მეტი ჰქონდა, ვიდრე იმედი, მშვენიერი ნაკრები დააყენა ბრწყინვალე ფეხბურთელებისგან - პირველი გუნდი, რომელმაც ჯგუფური ეტაპი სამივე შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა არგენტინის ნაკრებია. 27 ივნისს იოჰანესბურგში მუნდიალის მერვედფინალური მატჩია - არგენტინა მექსიკის წინააღმდეგ.

B ჯგუფის ბოლო მატჩში გუნდებს სხვადასხვა ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი - **ოტო რეჰაგელის** გუნდს ჯგუფიდან გასვლა კორეის წინააღმდეგ ნიგერიის ნაკრების გამარჯვებისა და ფრის შემთხვევაში შეეძლო. ამიტომ „მეფე ოტომ" ძალზე ფრთხილი ტაქტიკით ითამაშა, ელინებმა ორი რკალი შემოავლეს საკუთარ საჯარიმოს, წინ მხოლოდ **სამარასი** გაამწესეს და ბურთი მთლიანად არგენტინას დაუთმეს. **დიეგო მარადონამ** კი სიახლეები შემოგვთავაზა, როგორც შემადგენლობაში, ისე ტაქტიკაში. ყოველ რგოლში გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებსაც აქამდე შანსი ან არ, ან ნაკლებად ეძლეოდათ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ორი ფორვარდის თამაშზე დაკვირვება: **დიეგო მილიტომ** ერთმნიშვნელოვნად ვერ გაამართლა და მექსიკასთან გოლეადორ **იგუაინის** დაბრუნებას უნდა ველოდოთ, აი, **„კუნ" აგუეროს** თამაშს ასეთ ერთმნიშვნელოვან შეფასებას ვერ მივცემთ - პირველ ტაიმში აგუერო კარგი იყო, მეორეში კი დაილალა.

არგენტინელთა ნაკრები უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ პირველ ტაიმში ბერძენთა გოლკიპერმა **ალექსანდროს ცორვასმა**, რომელმაც წინა ორ შეხვედრაში რამდენიმე კურიოზული შეცდომა დაუშვა (ამ მატჩშიც ერთი-ორი უცნაურობა ჩაიდინა), სულ მცირე, ოთხჯერ გადაარჩინა საკუთარი გუნდი გოლისგან. ალბათ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც მას დავასახელებდით, რომ არა ორი მიღებული გოლი მატჩის ბოლო 13 წუთში. 77-ე წუთზე **მარტინ დემიკელისმა** გახსნა ანგარიში, ხოლო 89-ე წუთზე მეორე **მარტინმა, პალერმომ** ანგარიში 2:0 გახადა.

აღსანიშნავია, რომ პირველი გოლისას მსაჯი აშკარად შეცდა, დემიკელისის თავური დიეგო მილიტოს აშკარად ხელზე მოხვდა და ისე დაუბრუნდა არგენტინელ მცველს, რომელმაც უკვე ზუსტად კარში დაარტყა. ალბათ, არგენტინის ნაკრების ყველაზე თავგადაკლულმა ფანმა თუ „ვერ შეამჩნია" ამ ეპიზოდში წესების აშკარა დარღვევა.

***P.S.* *მატჩის შემდეგ საბერძნეთის ნაკრების წევრმა სოკრატის პაპასტატოპულოსმა ლეო მესის ავტოგრაფი სთხოვა...***

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ლეო მესი (არგენტინა)

**ცორვასზე უკვე ვთქვით - მესის კი საოცრად არ უმართლებს, ბევრ მომენტს ქმნის, სარგებლიანად თამაშობს, მუდმივად ტერორში ჰყავს მეტოქეთა დაცვა, კარში კარგად ურტყამს როგორც ახლო, ასევე შორი მანძილიდან, მაგრამ... გოლი ჯერ ვერა და ვერ გაიტანა. მესიმ საბერძნეთთან მატჩში 5-ჯერ დაარტყა კარში, ოთხჯერ ზუსტად, ერთხელ კი ბურთი ძელს მოხვდა. სწორედ, ლეოს დარტყმულს დაამატა და მუნდიალზე პირველი გოლი გაიტანა ვეტერანმა მარტინ პალერმომ. რომ არა მესი, საუკეთესოდ ვეტერან ხუან სებასტიან ვერონს დავასახელებდით.**

**მატჩის შემდეგ**

მარტინ პალერმო (არგენტინა): **„ეს შეუფასებელი საჩუქარია - მთელი ცხოვრება დიეგო მარადონას მადლიერი ვიქნები. ძალიან ბევრ ფორვარდს მიიჩნევდნენ ჩემზე უკეთესად, მაგრამ მარადონა და მისი გუნდი მენდო და მუნდიალზე წამიყვანა. ბიჭებმაც ისე გაიხარეს ჩემი გოლი, თითქოს თავად გაეტანოთ".**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# აფრიკას აზიასთანაც ხელი მოეცარა

22 ივნისი. დურბანი. დურბან სთედიუმი. 61 874 მაყურებელი

**ნიგერია–სამხ. კორეა 2:2**

**ნიგერია:** ენიემა - ოდია, იობო (46. ეჩიეჯილე), აფოლაბი, იუსუფი - კ. უჩე, ეტუჰუ, შიტუ, ობასი - იაკუბუ (71. ობასი), კანუ (57. მარტინსი).

**სამხ. კორეა:** სუნ-რიონ იუნი - ჩა-დური, იონ-ჰიუონ ჩო, იუნ-სუ ლი, იან-პიო ლი - იუნ-ვუ კიმი, სუნ-იონ კი (87. კიმ-ჯაე სუნგი), ჩუნ-იონ ლი, ჟი-სუნ პარკი (90. კიმ-დონგ ჯინი) - კი-ჰუნ იეომი (64. კიმ-ნამ ილი), ჩუ-იან პარკი.

**გოლები:** 1:0 კ. უჩე (12), 1:1 იუნ-სუ ლი (38), 1:2 ჩუ-იან პარკი (49), 2:2 იაკუბუ (69-პენ)

**გაფრთხილება:** ენიემა (31), ობასი (38), იუსუფი (42), კიმ-ნამ ილი (69)

**მატჩი დაიწყო:** სამხ. კორეა; **დარტყმა:** 11(3)-16(8); **ჯარიმა:** 22-12; **კუთხური:** 1-7; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენკა (პორტუგალია)

**საინტერესო მომენტები**

12' - **ჩიდი ოდიას** ჩამოწოდებულზე **კალუ უჩემ** ყველას დაასწრო - 1:0.

36' - უჩეს შორეული დარტყმა ძელს მოხვდა.

38' - **იუნ-სუ ლიმ სუნ-იონ კის** პასით წონასწორობა აღადგინა - 1:1.

49' - **ჩუ-იან პარკმა** საჯარიმო დარტყმით თავისი გუნდი დააწინაურა - 1:2.

66' - **იაკუბუ აიეგბენიმ,** ფაქტობრივად, ცარიელ კარს ააცილა.

68' - შეცვლაზე შესულმა **კიმ-ნამ ილმა** საკუთარ საჯარიმოში ასევე ცვლილებაზე მოთამაშე **ჩინედუ ობასი** წააქცია და არბიტრმა პენალტი დანიშნა.

69' - იაკუბუმ თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა - 2:2.

88' - **ობაფემი მარტინსმა** არაზუსტად დაარტყა.

**შესაძლოა,** პარალელურად მიმდინარე საბერძნეთი-არგენტინა უფრო დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ნიგერიელთა და სამხრეთკორეელთა ბრძოლამ მოლოდინი სავსებით გაამართლა. „დურბან სთედიუმზე" შეკრებილმა და ტელეეკრანთან მიმსხდარმა ქომაგმა უაღრესად დრამატული და სანახაობრივი მატჩი იხილა.

ამ ჯგუფში იმგვარი სატურნირო ვითარება იყო შექმნილი, რომ მერვედფინალში გასვლის შანსი თვით წინა ორივე მატჩის წამგებ ნიგერიასაც კი ჰქონდა. აფრიკელებზე გაცილებით კომფორტულ მდგომარეობაში აზიელები იყვნენ, რომელთაც ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც აძლევდათ ხელს. ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რას გააწყობდნენ ბერძნები არგენტინელების წინააღმდეგ, მაგრამ რაკი ბოლოსკენ ცნობილი გახდა, რომ მარადონას გუნდი მორიგ შთამბეჭდავ გამარჯვებას უახლოვდებოდა, ნიგერიელთა და კორეელთა დაპირისპირების ფასმა კიდევ უფრო აიწია.

გამარჯვებულს არ ასამართლებენ, გუშინდელმა საღამომ კი გამარჯვება **ჯუნ-მუ ჰუს** გუნდს მოუტანა. კორეელებმა ფლეი ოფის საგზური წინა შეხვედრების, უფრო სწორად კი, ბერძნებთან მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის დაიმსახურეს. გუშინდლამდე ნულქულიან ნიგერიელებს კი ერჩივნათ, ჯგუფიდან გასვლაზე ზრუნვა ცოტა ადრე დაეწყოთ. **ლარს ლაგერბაკის** გუნდს ძალიან გაუმართლა, რომ ზედიზედ ორ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ კიდევ მიეცა მერვედფინალში გასვლის შანსი, მაგრამ მისმა შეგირდებმა სამიზნე ვერც გუშინ გაისწორეს და საკუთარი გულშემატკივრების გარდა, ვერავის ათქმევინეს, ნიგერიის ნაკრების ჯგუფში ჩარჩენამ გული დაგვწყვიტაო.

ლაგერბაკი ვეტერან **ნვანკვო კანუს** აქამდე არ ენდობოდა, გუშინ კი ნიგერიული ფეხბურთის ლეგენდა თავის გუნდს მოედანზე კაპიტნის სამკლავურით გაუძღვა. კანუს თამაშმა დაგვარწმუნა, რომ ლაგერბაკი აქამდე მისი სათადარიგოთა სკამზე დატოვებით სწორად იქცეოდა. ერთ დროს მრისხანე ფორვარდისგან ლანდიღაა დარჩენილი. კორეელთა თავკაცს კი თავისი შეგირდების მიმართ სასაყვედურო არაფერი ჰქონია და გუნდის ბირთვი უცვლელი დატოვა.

ნიგერიელებმა სწრაფი გოლის გატანა შეძლეს და ამის შემდეგაც ფლობდნენ ინიციატივას. კალუ უჩეს ბურთი ძელისთვის რომ არ გაერტყა, შესაძლოა, მერვედფინალში მისი გუნდი გასულიყო, მაგრამ მთლიანობაში, კორეელებს მეტოქეზე უარესად ნამდვილად არ უთამაშიათ. აზიელები ამჯერადაც დისციპლინირებულად იცავდნენ თავს და ჩვეულ სტილში, სწრაფად და კომბინაციურად უტევდნენ. **ჩუ-იან პარკის** გოლი იმითაა გამოსარჩევი, რომ ეს ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი შედეგიანი პირდაპირი საჯარიმო იყო.

პირველი ტაიმის ბოლოსა და მეორე ნახევრის დასაწყისში მიღებულმა გოლებმა ნიგერიელები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ ლაგერბაკის გუნდს ფარ-ხმალი არ დაუყრია და მთელი ძალებით შეუტია. „სუპერარწივებმა" რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი გაფლანგეს და მხოლოდ ერთი გაიტანეს, მაგრამ კიდევ გავიმეოროთ, რომ კორეელთა წარმატება არც მოულოდნელი ყოფილა და მით უფრო, არც დაუმსახურებელი.

ნიგერიის ნაკრები ვერ გახდა სამხრეთაფრიკული მუნდიალის პირველი აფრიკელი მერვედფინალისტი და შესაძლოა, ფლეი ოფს შავი კონტინენტის ერთმა წარმომადგენელმაც ვერ უწიოს, სამხრეთკორეელებმა კი აზიური ფეხბურთის პრესტიჟი ღირსეულად დაიცვეს.

**საუკეთესო მოთამაშე**

ჟი-სუნ პარკი (სამხ. კორეა)

**„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი მუნდიალს ჩინებულ ფორმაში ხვდება და იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარი ღირსება კარგი კოლექტიური თამაშია, ჟი-სუნ პარკის განსხვავებული საფეხბურთო კლასი და შესაძლებლობები მაინც მძაფრად იგრძნობა. ასე იყო გუშინაც.**

**მატჩის შემდეგ**

ლარს ლაგერბაკი (ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ნიგერიის ნაკრები ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით მეტს იმსახურებდა. როცა ანგარიშში დავწინაურდით, კიდევ შეგვეძლო გატანა, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მივიღეთ და სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ჯგუფში ჩარჩენა".**

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| სამხ. კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| ნიგერია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* **lelo@palitra.ge**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## A ჯგუფი



# ლათინოსთა ზეიმი

22 ივნისი. რუსტენბურგი. როიალ ბაფოკენგი. 33425 მაყურებელი

**მექსიკა–ურუგვაი 0:1**

**მექსიკა (4-3-2-1):** ო. პერესი - ოსორიო, ფ. როდრიგესი, მორენო (57. კასტრო), სალსიდო - ტორადო, მარკესი, გუარდადო (46. ბარერა) - დოს სანტოსი, ბლანკო (63. ერნანდესი) - ფრანკო.

**ურუგვაი (4-3-2-1):** მუსლერა - მ. პერეირა, ლუგანო, ვიქტორინო, ფუსილე - არევალო, დ. პერესი, ა. პერეირა (77. სკოტი) - ფორლანი - სუარესი (85. ა. ფერნანდესი), კავანი.

**გოლი:** 0:1 სუარესი (43)

**გაფრთხილება:** ფუსილე (68), ერნანდესი (77), კასტრო (86)

**მატჩი დაიწყო:** მექსიკა; **დარტყმა:** 11(2)-15(5); **ჯარიმა:** 20-13; **კუთხური:** 6-7; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**საინტერესო მომენტები**

7' - **ექტორ მორენოს** შეცდომის შემდეგ **ლუის სუარესი** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ბურთი კარს ააცილა.

8' - **ჯოვანი დოს სანტოსის** ჩინებულ გადაცემას **კვატემოკ ბლანკო** ვერ მიწვდა.

20' - **დიეგო ფორლანის** კუთხურს **მაურისიო ვიქტორინოს** თავური მოჰყვა - მექსიკის ნაკრები აშკარა ხიფათს გადაურჩა.

22' - **ალვარო პერეირამ** ანგარიშის გახსნის ჩინებული შანსი ხელიდან გაუშვა.

23' - პირველი სახიფათო მომენტი ურუგვაის კართან: **ანდრეს გუარდადოს** შორიდან დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

44' - 0:1 **ედისონ კავანიმ** მარჯვენა ფლანგიდან ზუსტი პასი მიაწოდა **ლუის სუარესს,** რომლის თავური დარტყმა მექსიკელთა მეკარისთვის აუღებელი აღმოჩნდა.

54' - დიეგო ფორლანის მიერ შესრულებულ მორიგ სტანდარტულს **დიეგო ლუგანოს** თავური დარტყმა მოჰყვა - მექსიკის ნაკრების მეკარე **ოსკარ პერესმა** რთული ბურთი მოიგერია.

75' - **ფრანსისკო როდრიგესის** თავური დარტყმა ურუგვაელთა კარს ასცდა.

88' - ედისონ კავანის შორეული დარტყმა ოსკარ პერესმა მოიგერია.

და აი, A ჯგუფის მერვედფინალისტებიც გაირკვნენ: ურუგვაიმ და მექსიკამ ეს პატივი ნამდვილად დაიმსახურეს. განსაკუთრებით ეს **ოსკარ ტაბარესის** გუნდს ეხება - ურუგვაელებმა ჯგუფში პირველი ადგილი სრულიად დამსახურებულად დაიკავეს, თანაც, რაც მთავარია, ამ მუნდიალზე ჯერ გოლი არ გაუშვიათ! ჰო, ყველამ ვიცოდით, რომ ამ გუნდის ყველაზე ძლიერი რგოლი თავდასხმა უნდა ყოფილიყო: **დიეგო ფორლანმა, ლუის სუარესმა** და **ედისონ კავანიმ** სამივე მატჩში დაადასტურეს თავიანთი მაღალი კლასი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ურუგვაის დაცვის ხაზიც შესაშური საიმედოობით გამოირჩევა და ეს, პირველ ყოვლისა, გუნდის კაპიტანს **დიეგო ლუგანოს** ეხება.

შეგახსენებთ, რომ მესამე ტურის წინ ამ ჯგუფში მეტად საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: საკმარისი იყო ურუგვაისა და მექსიკის მატჩი ფრედ დასრულებულიყო, ორივე გუნდი მერვედფინალის საგზურს გაინაღდებდა; თანაც, ამ შემთხვევაში აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა პარალელურად მიმდინარე სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის შეხვედრას. ჰო, ბევრი ვარაუდობდა რომ ურუგვაი და მექსიკა ერთმანეთს თავს არ შეაკლავდნენ; ალბათ ამიტომაც იყო, მსოფლიოს წამყვანი საბუქმეიქერო კანტორების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ფრეზე კოეფიციენტი უსაშველოდ დაბლა რომ „დააგდო", მაგრამ ამ შეხვედრას ხომ სხვა, დამატებითი ინტრიგაც ჰქონდა - უფრო ზუსტად, სტრატეგიული გათვლა, რამეთუ ამ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი მერვედფინალში არგენტინას ასცდებოდა და ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მატჩის დასაწყისშივე მეტოქეებმა ერთმანეთს სწრაფი ტემპი შესთავაზეს. ოღონდ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ურუგვაელები ბევრად უფრო აქტიურად გამოიყურებოდნენ და, რაც მთავარია, შეტევებსაც მეტოქისგან განსხვავებით, მრავალფეროვნად ავითარებდნენ.

პირველ ტაიმში ურუგვაელებმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს და იმავე ლუის სუარესსა თუ **მაურისიო ვიქტორინოს** ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში ბევრად უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. გოლი კი ურუგვაელებს მართლაც „კლასიკური" გამოუვიდათ: დიეგო ფორლანმა ფლანგზე ედისონ კავანი მოძებნა, ამ უკანასკნელის მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე კი ყველას ლუის სუარესმა დაასწრო და „აიაქსის" საუკეთესო ბომბარდირმა ამ მუნდიალზე პირველი გოლი გაიტანა! მექსიკელებს მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდათ, როცა ამ მუნდიალზე ძირითადში პირველად გამოჩენილმა **ანდრეს გუარდადომ** შორეული დარტყმით ბურთი ხარიხას გაარტყა.

მეორე ტაიმიც ურუგვაელთა უპირატესობით დაიწყო და მექსიკელთა მეკარეს რომ არ ეყოჩაღა, დიეგო ლუგანო თავისი გუნდის უპირატესობას უფრო განამტკიცებდა. მექსიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ხავიერ აგირემ** შეცვლებით სცადა მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლა, მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა. ამასობაში კი, პარალელურად მიმდინარე მატჩში ფრანგებმა ერთი გოლის გატანა შეძლეს, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ... მექსიკელები მინიმალური სხვაობით წაგების შემთხვევაშიც ჯგუფში მეორე ადგილს იკავებდნენ. შეხვედრის ბოლო ოცი წუთი, ფაქტობრივად, პაექრობის იმიტაცია იყო: მეტოქეებმა თითო-თითო სახიფათო მომენტი „გაცვალეს" და საბოლოოდ, მატჩიც ორივე გუნდისთვის (განსაკუთრებით - ურუგვაელებისთვის) სასურველი ანგარიშით დამთავრდა...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

დიეგო ფორლანი (ურუგვაი)

**ლუის სუარესმა მართლაც ეფექტური გოლი გაიტანა, ურუგვაელებს გამარჯვება რომ მოუტანა; დაცვაში უშეცდომოდ გაისარჯა დიეგო ლუგანო, ედისონ კავანიც მთელი მატჩის განმავლობაში უაღრესად მოტივირებული გახლდათ; მაგრამ, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად მაინც დიეგო ფორლანი მივიჩნიეთ! ურუგვაის ნაკრების ლიდერი ამ ჩემპიონატს მართლაც ჩინებულ ფორმაში შეხვდა და სამივე თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარა. სხვათა შორის, ურუგვაელებმა ამ მუნდიალზე სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე შეხვედრაში საუკეთესო ფეხბურთელად „ლელომ" სწორედ დიეგო ფორლანი მიიჩნია!**

**გია ტუხაშვილი**

თმის გადანერგვის კლინიკა

თალიზი



www.talizi.ge

# დომენეკმა ლოგიკურად დაასრულა

22 ივნისი. ბლუმფონტეინი. ფრი სტეიტ სთედიუმი. 40 000 მაყურებელი

**საფრანგ.–ს. აფრიკა 1:2**

**საფრანგეთი:** ლორისი - სანია, გალასი, სკილაჩი, კლიში - ა. დიარა (82. გოვუ), დიაბი - ჟინიაკი (46. მალუდა), გურკუფი, რიბერი - სისე (55. ანრი).

**სამხ. აფრიკა:** ჯოზეფსი - ნგკონგკა (55. გაქსა), მოკოენა, ხუმალო, მასილელა - სიბაია, ხუბონი (78. მოდისე), პიენაარი, ჩაბალალა - მფელა, პარკერი (68. ნომვეტე).

**გოლები:** 0:1 ხუმალო (20), 0:2 მფელა (37), 1:2 მალუდა (70)

**გაფრხილება:** დიაბი (71)

**გაძევება:** გურკუფი (26)

**მატჩი დაიწყო:** საფრანგეთი; **დარტყმა:** 10(4)-21(10); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 3-5; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**არბიტრი:** ო. აკოსტა (კოლუმბია)

**საინტერესო მომენტები**

3' - **პიერ-ანდრე ჟინიაკმა** ხელიდან კარგი საგოლე შანსი გაუშვა

20' - **უგო ლორისი** გამოსვლაზე შეცდა და კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავი **ბონგანი ხუმალომ** შეაგება - 0:1.

22' - **კატლეგო მფელას** მიზანმა უმტყუნა.

26' - **იოან გურკუფმა მაკბეტ სიბაიას** საჰაერო ბრძოლაში იდაყვი უთავაზა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს.

37' - **კატლეგო მფელამ ცეპო მასილელას** პასით ისარგებლა და ანგარიში ორამდე გაზარდა - 0:2.

41' - **მუნებ ჯოზეფსმა** გამოსვლაზე კარგად ითამაშა და თავისი გუნდი გადაარჩინა.

44' - ლორისმა მფელას დარტყმა მოიგერია.

51' - მფელამ **სიფივე ჩაბალალას** გადაცემა მიიღო და ძლიერად დაარტყა, ბურთი ფრანგთა კარის ძელს მოხვდა.

58' - მფელას შორეული დარტყმა ლორისმა მოიგერია.

64' - მფელას კვლავ საფრანგეთის ნაკრების მეკარემ აჯობა.

70' - **სანია-რიბერი-მალუდას** კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა.

81' - ჩაბალალას დარტმა მეკარემ მოიგერია.

იმ სამარცხვინო ამბებიდან გამომდინარე, რაც საფრანგეთის ნაკრების ბანაკში მოხდა და იმ თამაშის შემდეგ, რაც **რაიმონ დომენეკის** ან უკვე ყოფილმა გუნდმა მუნდიალის პირველ ორ მატჩში გვიჩვენა, არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ გუშინდელ შედეგს სენსაცია ვუწოდოთ. სამხრეთაფრიკელები აქამდე დიდი ვერაფერი საფეხბურთო მონაცემები წარმოაჩინეს, მაგრამ ფრანგთაგან განსხვავებით, შინაგანი ლილობა მაინც არ ჰქონიათ და სწორედ ერთსულოვნებით ჰქონდათ პრესტიჟის მატჩის მოგებისა და მცირე სამერვედფინალო შანსის გამოყენების იმედი.

არცთუ ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა საფრანგეთის ნაკრებში არსებულ პრობლემათა ფართო ასორტიმენტი. სამფეროვნებმა ვერც გუშინ შეძლეს რაიმე ღირებულის შექმნა და თავს მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებენ, რომ 2002 წლის მუნდიალისგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონატს ახლა ერთი გატანილი გოლით მაინც ემშვიდობებიან.

ფრანგთა გასაჭირი „ბაფანა ბაფანას" შემართებას ოდნავადაც ვერ აკნინებს. **კარლოს ალბერტო პარეირას** გუნდმა გუშინ ჩინებულად ითამაშა და ურუგვაისთან მატჩი პირწმინდად რომ არ ჩაეგდო, მერვედფინალსაც მიაღწევდა. იქამდე კი სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ორი გოლი დააკლდა და მუნდიალების ისტორიაში პირველი მასპინძელი გუნდი გახდა, რომელმაც ჯგუფური ბარიერის დაძლევა ვერ შეძლო.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ დომენეკი აბუნტებული ფეხბურთელების ნაწილს სათადარიგოთა სკამზე დასმით დასჯიდა. ამიტომაც არავისთვის იყო გასაკვირი, რომ ძირითადი შემადგენლობიდან **ერიკ აბიდალი, ტიერი ანრი** და გუნდის კაპიტანი **პატრის ევრა** რომ ვერ მოხვდნენ. მათ ნაცვლად მოედანზე **სებასტიენ სკილაჩი, გაელ კლიში** და **ჯიბრილ სისე** ვიხილეთ, დისკვალიფიცირებული **ჟერემი ტულალანი** კი **ალუ დიარამ** შეცვალა, რომელმაც ევრასგან კაპიტნის სამკლავური გადაიბარა.

სიახლეები ვიხილეთ სამხრეთაფრიკელთა ძირითადშიც. წინა მატჩში გაწევებული **იტუმელენგ ხუნეს** ადგილი კარში **მუნებ ჯოზეფსმა** დაიკავა, ასევე დისკვალიფიცირებული **რენეილვე ლეშტოლონიანე თანდუისე ხუბონიმ** შეცვალა, **კაგიშო დიკგაჩოის** კი პარეირამ **მაკბეტ სიბაია** ამჯობინა.

თუკი პარალელურად მიმდინარე მატჩი ფრედ არ დასრულდებოდა, ჯგუფიდან გასვლის შანსი ორივე გუნდს უჩნდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მასპინძლებს სოლიდური ანგარიშით გამარჯვება სჭირდებოდათ. სამხრეთაფრიკელებმა ეს ამოცანა კარგად გააცნობიერეს და მეტოქის კარზე თავიდანვე აქტიური იერიშები მიიტანეს. **კარლოს ალბერტო პარეირას** გუნდი მაშინაც დომინირებდა, როცა მეტოქეები მოედანზე თანაბარი შემადგენლობებით იყვნენ, **გურკუფის** გაძევების შემდეგ კი სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა კიდევ უფრო გაილაღა და მეტოქეები შესვენებაზე ლოგიკური ანგარიშით გავიდნენ.

„ბაფანა ბაფანას", რომელმაც ჯგუფში ჩარჩენის მიუხედავად, მუნდიალზე მაინც ღირსეულად იასპარეზა (უფრო სუსტი ჯგუფიდან ალბათ, მერვედფინალში გავიდოდა კიდეც), ანგარიშის გაზრდის ცდა არც მეორე ტაიმში დაუკლია და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გაუშვა ხელიდან, ფრანგებმა კი უსახური თამაშისდა მიუხედავად, მაინც შეძლეს გოლის გატანა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა გოლს პრესტიჟისას ვერ ვუწოდებთ, რადგან საფრანგეთის ნაკრებს არც პრესტიჟი და არც სხვა სახის ღირსება სამხრეთ აფრიკაში არ ჩაუტანია...

**საუკეთესო მოთამაშე**

კატლეგო მფელა (სამხ. აფრიკა)

**„ბაფანა ბაფანას" ცენტრფორვარდმა მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და შესანიშნავი გოლის გარდა, 90 წუთის განმავლობაში გაწეული შრომითაც დაგვამახსოვრა თავი.**

**მატჩის შემდეგ**

რაიმონ დომენეკი (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ვილიამ გალასმა მითხრა, რომ სათამაშოდ მზად არ იყო... საფრანგეთის ნაკრებს უდიდესი პოტენციალი აქვს და მას წარმატებებს ვუსურვებ, ისევე როგორც ჩვენს დღევანდელ მეტოქეს. რატომ არ ჩამოვართვი ხელი მატჩის შემდეგ კარლოს ალბერტო პარეირას? არ მსურს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა".**

კარლოს ალბერტო პარეირა (სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„თავიდანვე ნათელი იყო, რომ ასეთი ძლიერი ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაგვიჭირდებოდა. ჩემი გუნდით კი ძალიან ამაყი ვარ. დომენეკის საქციელი? მისი მხრიდან ეს უღირსი საქციელი იყო. ვხვდები, რატომაც მოიქცა ასე დომენეკი - შემოდგომაზე მე ვთქვი, რომ ფრანგები დაუმსახურებლად გავიდნენ მუნდიალის ფინალურ ეტაპზე, მხედველობაში მქონდა ხელით თამაშის ფაქტი, რაც ირლანდიასთან პლეი ოფის მატჩში მოხდა".**

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| სამხ. აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

# რა დგას ჩილეს სასწაულის უკან

მას სახელი ინგლისელთა ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორის, გარი ლინეკერის საპატივცემულოდ დაარქვეს, თუმცა მოედანზე სულ სხვა ფუნქციას ასრულებს ხოლმე, უმთავრესად სწორედ ლინეკერის მსგავსი ფორვარდების „დაჭერით" არის დაკავებული - საუბარია გარი მედელზე, ჩილეს ნაკრების 22 წლის ცენტრალურ მცველზე. ჩილეს ნაკრების თამაში ბევრს ხიბლავს ამ მუნდიალზე. გულშემატკივარი აღფრთოვანებულია ალექსის სანჩესის გაუთავებელი ფინტებით მარჯვენა ფლანგზე, მათიას ფერნანდესის უზადო ტექნიკით, ხორხე ვალდივიას დიდებული თამაშით, თუმცა ამ აღმაფრენას საფუძველს სწორედ მედელი და მისი პარტნიორი დაცვის ცენტრში ვალდო პონსე უმაგრებენ ზურგს, „კასტროლ ინდექსის" მიერ მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიფიკაციაში პირველ და მეორე ადგილზე მყოფი ფეხბურთელები...

ის, რომ ჩილეს ნაკრებმა ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმი (6) აიღო, თანაც კარში გოლი არ გაუშვია სწორედ მედელისა და პონსეს უშეცდომო თამაშის დამსახურებაა. მუნდიალამდე „ბოკა ხუნიორსის" ჩილელ ლეგიონერს სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ნიჭიერ მცველად მიიჩნევდნენ, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ახლა კი „როხას" მცველი გაცილებით ფართო აუდიტორიამ გაიცნო. მედელს სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში დაცვაში და ნახევარდაცვაშიც კი, მისი დაუღლელი და შემართული თამაშის გამო გარიმ არგენტინაში თიკუნი „შეიძინა" - „ელ პიტბული". მე-3 ტურში მედელს და პონსეს უდიდესი გამოცდა ელის ესპანეთის ნაკრების თავდასხმის სახით.

დღეს „ლელო" გთავაზობთ ორი ტურის ჯამის სტატისტიკურ ცხრილებს (5-5 ლიდერი თითოეულ „დისციპლინაში"), რომლებიც სამ მთავარ კატეგორიად არის დაყოფილი: ინდივიდუალური, გუნდური და მატჩების მიხედვით:

პირველი 2 ტურის სტატისტიკა

პირველ ორ ტურში მუნდიალზე გავიდა 67 გოლი, რაც საშუალოდ მატჩში 2,09 გოლია. შესრულდა 1 ჰეთ თრიკი (**იგუაინი**), 7 პენალტიდან 5 გოლად იქცა; გოლი არ გაუტანია 3 ნაკრებს (ალჟირი, საფრანგეთი, ჰონდურასი); გოლი ჯერ არ გაუშვია 4 გუნდს (ჰოლანდია, პორტუგალია, ჩილე, ურუგვაი); მუნდიალზე 50-ე გოლის ავტორია **ენრიკე ვერა** (პარაგვაი); ყველაზე ხნიერი, ვინც მუნდიალზე გოლის გატანა მოახერხა **კვატემოკ ბლანკოა** (მექსიკა) - 37 წლისა და 151 დღის; ყველაზე ახალგაზრდა კი - **თომას მიულერი** (გერმანია) - 20 წლისა და 273 დღის.

## ინდივიდუალური

**გოლი**

| | | |
|---|---|---|
| 3 | იგუაინი | არგენტინა |
| 2 | ტიაგო | პორტუგალია |
| 2 | ელანო | ბრაზილია |
| 2 | ა. გიანი | განა |
| 2 | ვილია | ესპანეთი |
| 2 | ლ. ფაბიანო | ბრაზილია |
| 2 | ფორლანი | ურუგვაი |

**საგოლე პასი**

| | | |
|---|---|---|
| 2 | კაკა | ბრაზილია |

**კარისკენ დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 15 | მესი | არგენტინა |
| 11 | გიანი | განა |
| 11 | იგუაინი | არგენტინა |
| 10 | ფორლანი | ურუგვაი |
| 10 | რონალდო | პორტუგალია |

**კარში დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 8 | იგუაინი | არგენტინა |
| 7 | მესი | არგენტინა |
| 6 | მონტოლივო | იტალია |
| 6 | ა. გიანი | განა |
| 6 | რონალდო | პორტუგალია |

**ხარიხა** (7 ფეხბურთელი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჟიგიჩი | სერბეთი |
| 1 | ხედირა | გერმანია |
| 1 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ვილია | ესპანეთი... |

**ძელი (11)**

| | | |
|---|---|---|
| 2 | გიანი | განა |
| 1 | მფელა | ს. აფრიკა |
| 1 | ელია | ჰოლანდია |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ოკაზაკი | იაპონია... |

**საჯარიმო დარტყმა (16)**

| | | |
|---|---|---|
| 3 | ციგლერი | შვეიცარია |
| 3 | ტაივო | ნიგერია |
| 3 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 2 | ანელკა | საფრანგეთი |
| 2 | ფერნანდესი | ჩილე... |

**დარტყმის სიზუსტე %-ში** (3 და მეტი დარტყმის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 100% | ტომასონი | დანია |
| 100% | სალპინგიდისი | საბერძნ. |
| 100% | ტიაგო | პორტუგ. |
| 100% | ჯ. პარკი | ს. კორეა |
| 75% | მონტოლივო | იტალია |

**ზუსტი დარტყმა (8)** (საჯარიმოდან)

| | | |
|---|---|---|
| 5 | იგუაინი | არგენტინა |
| 4 | მესი | არგენტინა |
| 4 | ა. გიანი | განა |
| 3 | ემანა | კამერუნი |
| 3 | სანჩესი | ჩილე... |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| 9 | შულერი | სლოვენია |
| 9 | ლიხტშტაინერი | შვეიცარია |
| 8 | ალკარასი | პარაგვაი |
| 8 | ჰალიჩე | ალჟირი |
| 8 | რი კვან ჩონი | ჩ. კორეა |

**ბურთისართმევა (9)** (გუნდისთვის დაბრუნებული ბურთი)

| | | |
|---|---|---|
| 7 | ისაგირე | ჰონდურასი |
| 7 | ბულერა | ალჟირი |
| 5 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 5 | მასკერანო | არგენტინა |
| 4 | მ. პერეირა | ურუგვაი |

**მოგებული ორთაბრ. (10)**

| | | |
|---|---|---|
| 4 | ისაგირე | ჰონდურასი |
| 4 | მასკერანო | არგენტინა |
| 4 | ბულერა | ალჟირი |
| 4 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 3 | გრიხტინგი | შვეიცარია... |

**სეივი (7)**

| | | |
|---|---|---|
| 14 | ენიეამა | ნიგერია |
| 13 | ბენალიო | შვეიცარია |
| 12 | რი მიონ გუკი | ჩ. კორეა |
| 10 | სორენსენი | დანია |
| 9 | ჰოვარდი | აშშ... |

**გაძევება**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეჰილი | ავსტრალია |
| 1 | ხუნე | ს. აფრიკა |
| 1 | კიუელი | ავსტრალია |
| 1 | ბეჰრამი | შვეიცარია |
| 1 | კაიტა | ნიგერია |

**ორი ყვითელი ბარათი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | გეზალი | ალჟირი |
| 1 | ლუკოვიჩი | სერბეთი |
| 1 | ლოდეირო | ურუგვაი |
| 1 | კაკა | ბრაზილია |
| 1 | კლოზე | გერმანია |

**ზუსტი დარტყმა** (საჯარიმოს გარედან)

| | | |
|---|---|---|
| 6 | მონტოლივო | იტალია |
| 5 | რონალდო | პორტუგალია |
| 3 | იგუაინი | არგენტინა |
| 3 | მესი | არგენტინა |
| 3 | ვილია | ესპანეთი... |

**სოლორეიდი**

| | | |
|---|---|---|
| 14 | რონალდო | პორტუგალია |
| 14 | მესი | არგენტინა |
| 14 | მაიკონი | ბრაზილია |
| 13 | პოდოლსკი | გერმანია |
| 13 | რობინიო | ბრაზილია |

**ზუსტი პასი მეტოქის საჯარიმოში (6)**

| | | |
|---|---|---|
| 5 | ბონეტი | პარაგვაი |
| 5 | ჩავი | ესპანეთი |
| 5 | ციგლერი | შვეიცარია |
| 5 | რონალდო | პორტუგალია |
| 5 | მესი | არგენტინა... |

**თამაშგარე (10)**

| | | |
|---|---|---|
| 5 | ჰესკი | ინგლისი |
| 4 | სუარესი | ურუგვაი |
| 4 | იოზილი | გერმანია |
| 4 | ნოვაკოვიჩი | სლოვენია |
| 4 | ვან პერსი | ჰოლანდია... |

**ბურთის დაკარგვა** (მეკარეთა გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 12 | მიულერი | გერმანია |
| 12 | ნავასი | ესპანეთი |
| 11 | ისლა | ჩილე |
| 11 | ჯონსონი | ინგლისი |
| 10 | რიბერი | საფრანგ... |

**წაგებული ორთაბრძ. (9)**

| | | |
|---|---|---|
| 8 | კაკა | ბრაზილია |
| 8 | მატმური | ალჟირი |
| 6 | რუნი | ინგლისი |
| 5 | მოდისე | ს. აფრიკა |
| 5 | ვერა | პარაგვაი |

**დაჯარიმდა (6)**

| | | |
|---|---|---|
| 12 | ფელონი | ახ. ზელანდია |
| 10 | კილენი | ახ. ზელანდია |
| 10 | ჰონდა | იაპონია |
| 10 | დიაბი | საფრანგეთი |
| 9 | ინლერი | შვეიცარია... |

**მასზე დაჯარიმდნენ**

| | | |
|---|---|---|
| 12 | სანჩესი | ჩილე |
| 11 | ნაკაზავა | იაპონია |
| 11 | სუარესი | ურუგვაი |
| 10 | ჰონდა | იაპონია |
| 9 | ვან ბომელი | ჰოლანდია |

**ხელით თამაში (6)** (მეკარეების გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 2 | იაკინი | შვეიცარია |
| 2 | ალტიდორი | აშშ |
| 2 | ვიდალი | ჩილე |
| 2 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 2 | სუასო | ჰონდურასი... |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| 175 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 168 | მაიკონი | ბრაზილია |
| 161 | ფ. მელო | ბრაზილია |
| 161 | ლამი | გერმანია |
| 160 | ჩავი | ესპანეთი |

**ზუსტი პასი**

| | | |
|---|---|---|
| 144 | ფ. მელო | ბრაზილია |
| 144 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 143 | მაიკონი | ბრაზილია |
| 138 | ლამი | გერმანია |
| 131 | ბაშტოში | ბრაზილია |

**პასის სიზუსტე (%)** (100 და მეტი პასის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 93% | ლუსიო | ბრაზილია |
| 92% | რ. კარვალიო | პორტ. |
| 91% | ჟუანი | ბრაზილია |
| 89% | მელო | ბრაზილია |
| 89% | ჟ. სილვა | ბრაზილია |

**ჩაწოდება**

| | | |
|---|---|---|
| 21 | ნავასი | ესპანეთი |
| 18 | მიულერი | გერმანია |
| 16 | რიბერი | საფრანგეთი |
| 16 | ჩავი | ესპანეთი |
| 16 | დონოვანი | აშშ |

**ზუსტი ჩაწოდება (6)**

| | | |
|---|---|---|
| 7 | ნავასი | ესპანეთი |
| 6 | ჩავი | ესპანეთი |
| 6 | მიულერი | გერმანია |
| 5 | ელანო | ბრაზილია |
| 5 | კრასიჩი | სერბეთი |

**აუტი**

| | | |
|---|---|---|
| 31 | ძამბროტა | იტალია |
| 28 | ბონეტი | პარაგვაი |
| 26 | ვან დერ ვილი | ჰოლანდია |
| 26 | ბელჰაჯი | ალჟირი |
| 25 | ჯონსონი | ინგლისი |

**კუთხური**

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჩავი | ესპანეთი |
| 14 | კარაგუნისი | საბერძნეთი |
| 12 | პეპე | იტალია |
| 11 | ფერნანდესი | ჩილე |
| 10 | მესი | არგენტინა |

**ზუსტი კუთხური** (ბურთი მიიღო თანაგუნდელმა)

| | | |
|---|---|---|
| 9 | ჩავი | ესპანეთი |
| 6 | ლამპარდი | ინგლისი |
| 6 | მესი | არგენტინა |
| 5 | ფერნანდესი | ჩილე |
| 5 | პეპე | იტალია |




პონსე და მედელი, ჩილეს წარმატების სულისჩამდგმელები

**კუთხურის სიზუსტე (6)** (3 და მეტი კუთხურის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 100% | მონტოლივო | იტალია |
| 75% | ფაბრეგასი | ესპანეთი |
| 75% | კამორანეზი | იტალია |
| 75% | ებუე | კოტ დივუარი |
| 75% | ლამპარდი | ინგლისი |

*(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მოანოდა კუთხური ზუსტად)*

**მოკლე პასის სიზუსტე (6)** (25 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 93% | ა. აეუ | განა |
| 92% | მესი | არგენტინა |
| 92% | ჟილ. სილვა | ბრაზილია |
| 91% | იებდა | ალჟირი |
| 90% | დინდანე | კოტ დივუარი |

**საშ. პასების სიზუსტე (6)** (25 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 100% | სტეკელენბურგი | ჰოლანდია |
| 97% | ნოიერი | გერმანია |
| 97% | ჰეიტინგა | ჰოლანდია |
| 95% | ლუსიო | ბრაზილია |
| 94% | ფერეირა | პორტუგ.. |

**გრძელი პასებ. სიზუსტე** (25 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 87% | ფ. მელო | ბრაზილია |
| 86% | პიკე | ესპანეთი |
| 80% | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 79% | შვაინშტაიგ. | გერმანია |
| 76% | ბრავო | ჩილე |

**გარბენა (6)**

| | | |
|---|---|---|
| 24,82 | ვალერი | ავსტრალია |
| 24,22 | ტორადო | მექსიკა |
| 24,16 | ხედირა | გერმანია |
| 23,83 | ჰუგელი | შვეიცარია |
| 23,81 | ბრედლი | აშშ... |

**მაქსიმალური სისწრაფე**

| | | |
|---|---|---|
| 31,6 კმ/სთ | პაპადოპ. | საბერ. |
| 31,5 კმ/სთ | კაცურან. | საბერ. |
| 31,1 კმ/სთ | ოგინა | ნიგერია |
| 30,9 კმ/სთ | იგუაინი | არგენტინა |
| 30,7 კმ/სთ | ფ. მელო | ბრაზილია |

**აქტიური ფაზა (9)**

| | | |
|---|---|---|
| 20 | ვალერი | ავსტრალია |
| 18 | ტორადო | მექსიკა |
| 18 | უილკშირი | ავსტრალია |
| 17 | ან იონ ჰაკი | ჩ. კორეა |
| 17 | იებდა | ალჟირი |

## გუნდური

**გოლი (11)**

| | |
|---|---|
| 7 | პორტუგალია |
| 5 | არგენტინა |
| 5 | ბრაზილია |
| 4 | გერმანია |
| 3 | ჰოლანდია... |

**დარტყმა**

| | |
|---|---|
| 46 | ესპანეთი |
| 42 | არგენტინა |
| 40 | ჩილე |
| 38 | ბრაზილია |
| 38 | განა |

**კარში დარტყმა (6)**

| | |
|---|---|
| 18 | არგენტინა |
| 16 | ბრაზილია |
| 16 | ესპანეთი |
| 15 | პორტუგალია |
| 14 | გერმანია... |

**დარტყმის სიზუსტე**

| | |
|---|---|
| 57% | სლოვენია |
| 53% | იაპონია |
| 45% | პორტუგალია |
| 45% | გერმანია |
| 44% | ჰოლანდია |

**შეტევა (6)**

| | |
|---|---|
| 40 | ესპანეთი |
| 37 | საბერძნეთი |
| 34 | ინგლისი |
| 34 | იტალია |
| 31 | არგენტინა... |

**შეტევა მარცხენა ფლანგიდან (6)**

| | |
|---|---|
| 14 | იტალია |
| 14 | არგენტინა |
| 13 | ჩილე |
| 13 | საბერძნეთი |
| 12 | ესპანეთი... |

**შეტევა ცენტრიდან (9)**

| | |
|---|---|
| 16 | ინგლისი |
| 13 | განა |
| 11 | პორტუგალია |
| 10 | მექსიკა |
| 10 | იტალია... |

**შეტევა მარჯვენა ფლანგიდან**

| | |
|---|---|
| 18 | ესპანეთი |
| 16 | გერმანია |
| 14 | საბერძნეთი |
| 12 | ბრაზილია |
| 11 | ჩილე |

**თამაშგარე (6)**

| | |
|---|---|
| 13 | ჩილე |
| 10 | გერმანია |
| 10 | მექსიკა |
| 9 | ჰონდურასი |
| 7 | ურუგვაი |

**სოლორეიდები**

| | |
|---|---|
| 53 | ბრაზილია |
| 49 | ესპანეთი |
| 48 | პორტუგალია |
| 47 | გერმანია |
| 47 | საბერძნეთი |

**ზუსტი პასი საჯარიმოში**

| | |
|---|---|
| 27 | ესპანეთი |
| 24 | ჩილე |
| 22 | იტალია |
| 20 | კამერუნი |
| 14 | პორტუგალია |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| 37 | ალჟირი |
| 33 | ინგლისი |
| 32 | ჩ. კორეა |
| 32 | შვეიცარია |
| 32 | ურუგვაი |

**მოგებული ორთაბრ. (6)**

| | |
|---|---|
| 11 | ალჟირი |
| 10 | დანია |
| 10 | კოტ დივუარი |
| 9 | ურუგვაი |
| 9 | ს. აფრიკა... |

**გაფრთხილება**

| | |
|---|---|
| 8 | ჩილე |
| 7 | შვეიცარია |
| 6 | მექსიკა |
| 6 | სლოვენია |
| 6 | სერბეთი |

**დაჯარიმდა**

| | |
|---|---|
| 47 | შვეიცარია |
| 43 | საფრანგეთი |
| 42 | ახ. ზელანდია |
| 41 | კოტ დივუარი |
| 40 | ჩილე... |

**ხელით თამაში (10)** (მეკარის გარდა)

| | |
|---|---|
| 6 | ჩილე |
| 5 | ჰოლანდია |
| 5 | აშშ |
| 4 | მექსიკა |
| 3 | იტალია |

**ზუსტი პასი**

| | |
|---|---|
| 1051 | ბრაზილია |
| 1013 | ესპანეთი |
| 975 | ჰოლანდია |
| 933 | გერმანია |
| 870 | პორტუგალია |

**პასის სიზუსტე**

| | |
|---|---|
| 83% | ბრაზილია |
| 79% | ჰოლანდია |
| 79% | გერმანია |
| 77% | პორტუგალია |
| 77% | ესპანეთი |

**ჩაწოდება**

| | |
|---|---|
| 78 | ესპანეთი |
| 56 | საბერძნეთი |
| 49 | იტალია |
| 44 | საფრანგეთი |
| 43 | კამერუნი |

**კუთხური**

| | |
|---|---|
| 24 | ესპანეთი |
| 23 | იტალია |
| 22 | საბერძნეთი |
| 18 | ინგლისი |
| 16 | არგენტინა |

**დისტანცია**

| | |
|---|---|
| 225,0 | მექსიკა |
| 223,3 | შვეიცარია |
| 220,0 | ინგლისი |
| 219,7 | პორტუგალია |
| 218,5 | იაპონია |

## მატჩები

**ყველაზე მეტი დარტყმა**

| | |
|---|---|
| 41 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 37 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 37 | საბერძნეთი-ნიგერია |
| 36 | კამერუნი-დანია |
| 35 | არგენტინა-ს. კორეა |

**ყველაზე მეტი დარტყმა კარში**

| | |
|---|---|
| 17 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 15 | საბერძნეთი-ნიგერია |
| 14 | კამერუნი-დანია |
| 13 | არგენტინა-ს. კორეა |
| 13 | ბრაზილია-ჩ. კორეა |

**ყველაზე მეტი შეტევა (6)**

| | |
|---|---|
| 33 | საბერძნეთი-ნიგერია |
| 29 | ინგლისი-ალჟირი |
| 28 | ესპანეთი-ჰონდურასი |
| 28 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 28 | პორტუგალია-ჩ. კორეა... |

**სოლორეიდები**

| | |
|---|---|
| 54 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 50 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 49 | გერმანია-სერბეთი |
| 45 | საბერძნეთი-ნიგერია |
| 43 | ინგლისი-ალჟირი |

**ორთაბრძოლა (6)**

| | |
|---|---|
| 32 | ინგლისი-ალჟირი |
| 25 | კამერუნი-დანია |
| 22 | ს. აფრიკა-ურუგვაი |
| 18 | იტალია-პარაგვაი |
| 18 | ბრაზილია-ჩ. კორეა... |

**ყველაზე უხეში თამაში**

| | |
|---|---|
| 49 | იაპონია-კამერუნი |
| 48 | საფრანგეთი-მექსიკა |
| 45 | ჩილე-შვეიცარია |
| 40 | განა-ავსტრალია |
| 40 | ბრაზილია-კოტ დივუარი |

**დისტანცია**

| | |
|---|---|
| 235,0 | ს. აფრიკა-მექსიკა |
| 225,6 | გერმანია-ავსტრალია |
| 224,2 | ესპანეთი-შვეიცარია |
| 218,7 | ინგლისი-ალჟირი |
| 216,1 | იტალია-პარაგვაი |

**კასტროლ ინდექსი**

5 საუკეთესო მეკარე

| | | |
|---|---|---|
| 8.84 | ედუარდო | პორტუგალია |
| 8.65 | კინგსონი | განა |
| 8.64 | სტეკელენბ. | ჰოლანდია |
| 8.63 | სორენსენი | დანია |
| 8.53 | ნოიერი | გერმანია |

5 საუკეთესო მცველი

| | | |
|---|---|---|
| 9.77 | მედელი | ჩილე |
| 9,72 | პონსე | ჩილე |
| 9.67 | ალკარასი | პარაგვაი |
| 9.59 | ვან დერ ვილი | ჰოლანდია |
| 9.52 | ძამბროტა | იტალია |

**5 საუკეთესო ნახევარმც.**

| | | |
|---|---|---|
| 9.56 | კარმონა | ჩილე |
| 9.24 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 9.17 | ელანო | ბრაზილია |
| 9.11 | ჯერარდი | ინგლისი |
| 8.92 | მიულერი | გერმანია |

**5 საუკეთესო ფორვარდი**

| | | |
|---|---|---|
| 9.63 | იგუაინი | არგენტინა |
| 8.95 | რონალდო | პორტუგალია |
| 8.93 | კუიტი | ჰოლანდია |
| 8.76 | ბოსეჟური | ჩილე |
| 8.74 | სანჩესი | ჩილე |

ნიკოლოზ ნეფარიძე

C ჯგუფი

# მატჩი, რომელსაც ცხოვრების შეცვლა შეუძლია

23 ივნისი. პრეტორია. ლოფტუსი. 18:00

**აშშ-ალჟირი**

სავარაუდო შემადგენლობები

**აშშ (4-4-2):** ჰოვარდი - ჩერუნდოლო, ონიეუ, დიმერიტი, ბოკანეგრა - დონოვანი, ბრედლი, ედუ, დემპსი - ალტიდორი, ფინდლი.

**ალჟირი (4-4-2):** გაუაუი - ჰალიჩე, ბუღერა, მესბაჰი, ბელჰაჯი - კადირი, ლასენი, იებდა, ზიანი - ჯებური, მატმური.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)

პრეტორიაში C ჯგუფის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩია, ერთმანეთს აშშ-ის და ალჟირის გუნდები ხვდებიან. გუნდები ქულათა მცირე მარაგით მივიდნენ ბოლო ტურამდე, ამერიკელებს მხოლოდ 2 ქულა აქვთ, ხოლო ალჟირელებს - 1, მაგრამ მერვედფინალში გასვლის შანსი ორივე გუნდს შერჩა. ამერიკელებს ერთი უპირატესობა აქვთ, მათ შეუძლიათ საერთოდ არ იფიქრონ, რა ხდება „ნელსონ მანდელა ბეიზე", სადაც ერთმანეთს სლოვენიისა და ინგლისის ნაკრებები ეთამაშებიან, გამარჯვების შემთხვევაში ისინი ბრძოლას აგრძელებენ.

მუნდიალი ჯერ ახლა გახურდა, მაგრამ **ბობ ბრედლის** გუნდმა უკვე მოიპოვა გულშემატკივართა სიმპათია, ჯერ ინგლისელ ფავორიტებთან ფრის თამაშით, შემდეგ სლოვენიასთან 0:2-ის „ამოქაჩვით". ის კი არა, რომ არა მსაჯის სავალალო შეცდომა ამერიკის ნაკრები **ედუს** ალალი გოლით იმ მატჩს მოიგებდა კიდეც. სამაგიეროდ, ჩაგრულ ამერიკელებს კიდევ უფრო მოემატა მხარდამჭერი.

ვნახოთ, გამოდგება თუ არა ამერიკის ნაკრებისთვის არბიტრ **კულიბალის** უხეში შეცდომა დამღუპველი. *„ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავით თამაშის შემდეგ. წარმოიდგინეთ, როგორ ალმაფრენას გამოიწვევდა 0:2-ს შემდეგ შეხვედრის 3:2 მოგება ნაკრებში. სულ სხვა განწყობა იქნებოდა გუნდში და სულ სხვა მოტივაცია. მაგრამ რადგან ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ვერ შევცვლით, არჩათვლილი გოლი უკვე დავიწყებას მივეცით. ვიცით, რომ ალჟირის დამარცხება მერვედფინალის საგზურს მოგვიპოვებს, შეიძლება ჯგუფი პირველ ადგილზეც კი დავამთავროთ"*, - განაცხადა ამერიკელთა მთავარმა მწვრთნელმა.

**რაბაჰ საადანეს** გუნდმა ინგლისელებთან ფრით, მწყობრი თამაშით, მოგებული ორთაბრძოლებით და ბრწყინვალე მარცხენა მცველით, **ნადირ ბელჰაჯით** გულშემატკივართა მოწონება დაიმსახურა. ამ გუნდს პლეი ოფის შანსიც შერჩა, მაგრამ ამისთვის მთავარია გასაკეთებელი, რაც საადანეს ბიჭებმა ჯერ ვერ შეძლეს - გოლი უნდა გაიტანოს, თანაც იმაზე მეტი, ვიდრე მეტოქემ.

**მაჯიდ ბუღერას** მიაჩნია, რომ სლოვენიასთან მარცხი, რომელიც გოლკიპერის უხეშ შეცდომას მოჰყვა, უბრალოდ უიღბლობის ბრალი იყო: *„პირველ მატჩში სრულიად შემთხვევით წავაგეთ, ჩვენს მეკარეს დასანანი შეცდომა მოუვიდა, რას ვიზამთ, ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება. მჯერა, რომ ალჟირის ნაკრებს შეუძლია შემდეგ ეტაპზე გასვლა. ჩვენ კიდევ უკეთ ვითამაშებთ, ამერიკასთან მოსაგებად გავალთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ის მატჩია, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალოს"*.

ამერიკელთა ბანაკში ისევ საეჭვო იყო **ტიმ ჰოვარდის** თამაში, თუმცა გოლკიპერმა ამჯერადაც დაამტკიცა, რომ ჯანზეა და ალჟირის ნაკრებთანაც ის ითამაშებს. სლოვენიასთან მატჩის პირველ ტაიმში ცუდად ითამაშა **ხოსე ტორესმა**, ის შესვენებაზე შეცვალეს კიდეც. არც მის შემცვლელ **მორის ედუს** უფრენია (თუ არჩათვლილ გოლს არ გავიხსენებთ), მაგრამ ტორესზე უკეთესი იყო და ალბათ ედუ სასტარტოში ითამაშებს.

ალჟირელთა ბანაკში რეგულარულად ვერ ვარჯიშობს **ქარიმ ზიანი**, თუმცა ზიანიმ მაინც შეძლო გამოჯანმრთელება და ის აუცილებლად ითამაშებს ამერიკელთა წინააღმდეგ. რაბაჰ საადანეს მატჩი მოსაგები აქვს, ამიტომ ის ტაქტიკას შეცვლის, **რიად ბუდებუზი** ამოვარდება შუა ხაზიდან, შეტევაში კი გუნდს **რაფიკ ჯებური** დაემატება.

ეს ნაკრებები აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს, არც ოფიციალურ და არც ამხანაგურ მატჩებში. ერთი საინტერესო დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით - მაჯიდ ბუღერა და ამერიკელი მორის ედუ თანაგუნდელები არიან გლაზგოს „რეინჯერსში".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟაინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ინგლისი



ჯონ ტერის პრესკონფერენცია

# მტერი დამარცხდა, აჯანყება არ შედგა!

**ჯონ ტერი** დამარცხდა! რუსტენბურგში, რამდენიმე დღის წინ ჩატარებული სკანდალური პრესკონფერენციის შემდეგ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი გაზეთ „დეილი მეილს" დაუკავშირდა და ბოდიში მოიხადა. „ჩელსის" ვარსკვლავმა თქვა, რომ ის ძალიან ნანობს ჩადენილს. იმავე დღეს ტერის გამოხდომას **ფაბიო კაპელომაც** დიდი შეცდომა უწოდა. შეგახსენებთ, რომ სკანდალურ პრესკონფერენციაზე ტერიმ მწვრთნელს რეჟიმსა და ტაქტიკაში სასწრაფო ცვლილებები მოსთხოვა და რაც მთავარია, ამას რომ აკეთებდა გამარჯვებული პუტჩისტის ტონი ჰქონდა. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, „პუტჩის ჩახშობის" შემდეგ „ჩელსის" კაპიტანი „დეილი მეილის" კორესპონდენტ **მეტ ლოუტონს** დაუკავშირდა და ასე უთხრა:

*„იმ პრესკონფერენციაზე სრულიად გულწრფელი განზრახვით მივედი. შემდეგ ჯო კოულის შესახებ მკითხეს და როგორც ჩანს, პასუხისას ძალიან გავერთე. მერწმუნეთ, არც მწვრთნელის შეურაცხყოფა მქონია მიზნად და არც ფეხბურთელების. ასეთი რამ გუნებაშიც არ გამივლია და თუ ვინმეს ჩემდა უნებურად ვაწყენინე, დიდ ბოდიშს ვიხდი. მე მწვრთნელს ვუთხარი, რომ მის მხარდამჭერად უნდა მიგულოს და ვერც წარმოვიდგენდი გუნდში ცუდი განწყობის დათესვა თუ დამბრალდებოდა. ახლა ერთადერთი რამ მინდა - ეს ამბავი წარსულს ჩავაბარო და ინგლისის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანეს შეხვედრაზე ვიფიქრო. სლოვენებთან თამაშს მაქსიმალური ყურადღება სჭირდება. მინდა გავიმეორო: იმ დღეს ერთადერთი განზრახვა მქონდა - მინდოდა ყველასთვის მეჩვენებინა თუ როგორ მინდა ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვოს. ახლა, დიდი იმედი მაქვს, რომ ხალხი დაინახავს და დააფასებს იმას, რომ დრო გამოვნახე, დაგირეკეთ და ეს განცხადება გავაკეთე"*.

„დეილი მეილის" კორესპონდენტი წერს, რომ ეს უკვე მართლა შეწუხებული და ჩაფიქრებული ტერი იყო, პრინციპულად განსხვავებული იმისგან, კვირას საპრესკონფერენციო დარბაზში 1990 წლის ამბების გამეორებას რომ ცდილობდა და დიდი რიხით წარმოთქვამდა პრეტენზიას, რომელთაც ულტიმატუმს უფრო დაარქმევდა კაცი. ის კატეგორიულად მოითხოვდა კაპელოსგან ახალ შემადგენლობას, ახალ ტაქტიკასა და დისციპლინის შემსუბუქებას. თან, ტერის პრესკონფერენცია იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საფრანგეთის ნაკრებში **ნიკოლა ანელკასთან** დაკავშირებული სკანდალი ატყდა და ფორვარდი (სხვათა შორის, ტერის თანაკლუბელი) ფრანგებმა ბანაკიდან დაითხოვეს. ტერი ირიბად ამ ამბავსაც კი გადასწვდა. მაშინ, მან თქვა: *„შეიძლება ამ საღამოს შემდეგ რამდენიმე ჩვენგანი გააგდონ კიდეც გუნდიდან"*.

ამას ტერიმ ისიც დაამატა, რომ მისთვის სულერთია მოეწონება კაპელოს მისი გამოსვლა თუ არა: *„თუ ჩემი სიტყვები მას გაანაწყენებს, მაშინ მე ვეტყვი: მე აქ ინგლისის ნაკრებთან ერთად გასამარჯვებლად ვარ ჩამოსული და სხვა არაფერი მაინტერესებს"*.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: სად, როდის დამარცხდა აჯანყებული ტერი? რამ გამოიწვია „კეიპტაუნის პუტჩის" ჩაცხრობა? პასუხი მარტივია: იმან, რომ ინგლისის ნაკრების საერთო კრებაზე შესულმა ცენტრალურმა მცველმა აღმოაჩინა, დანარჩენი ფეხბურთელები მხარს არ მიჭერენო. ხოლო პუტჩის „ჩახშობის" შემდეგ კაპელო ფეხბურთელს პირადად ელაპარაკა და ოთახიდან გამოსულმა პრესასთან განაცხადა, რომ ის, რაც ჩელსელმა გააკეთა დიდი შეცდომა იყო. ისე, როგორც ჩანს, ტერი მალევე მიხვდა, რომ მოქმედების გეგმა სწორად ვერ გათვალა და პლუს, არ ეგონა ფეხბურთელები და პრესა, განსაკუთრებით კი გაზეთი „დეილი მეილი" თუ მის საწინააღმდეგო პოზიციას დაიკავებდნენ, თან ფრიად კატეგორიულს.

აგრეთვე ჩანს, რომ მეტ ლოუტონთან საუბარში ტერი მისთვის მეტისმეტად მტკივნეულ თემებსაც შეეხო. ეს თემებია: რომანი მეგობრის **უეინ ბრიჯის** ცოლთან, ფრანგ მოდელ **ვანესა პერონსელთან**, რის გამოც ინგლისის ნაკრების კაპიტნობა ჩამოართვეს და „უემბლიზე" კერძო ლოჟის გაქირავება. სკანდალური პრესკონფერენციის შემდეგ, „დეილი მეილმა" დაწერა, რომ ტერიმ „კეიპტაუნის აჯანყება" ამ ყველაფრის გამო შურისძიების მიზნით წამოიწყო, თუმცა ლოუტონთან ლაპარაკისას ფეხბურთელმა ყველა ღონე იხმარა იმის დასამტკიცებლად, რომ მისი გამოხდომის მოტივი შურისძიება კი არა, ინგლისის ნაკრებისთვის უკეთესის სურვილი გახლდათ.

პრობლემას კაპელოც შეეხო: *„ითქვა, თითქოს ფეხბურთელთა მთელი ჯგუფია უკმაყოფილო. მე ბევრს ველაპარაკე, მაგრამ უკმაყოფილება ერთადერთმა ჯონ ტერიმ გამოთქვა. სხვებს პრობლემებზე ხმა არ ამოუღიათ. მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ ჩემი ოთახის კარი ნებისმიერისთვის ღიაა და თუ ვინმეს ჩემთან ლაპარაკი უნდა, შეუძლია შემოვიდეს და მელაპარაკოს. ყოველი თათბირის დროს კაპიტანს ვეკითხები: რა პრობლემები გვაქვს? რაიმეს თქმა ხომ არ გინდათ? პასუხი სულ ერთი და იგივეა: არაფრის. მე ჯონ ტერის პრესკონფერენციის ამბავი გაზეთში წავიკითხე და პირველი რეაქცია ასეთი მქონდა: კი მაგრამ, თუ ასეთ რამეებს ფიქრობდა, მე რატომ არ მითხრა? ვფიქრობ, ტერიმ რამდენიმე ფეხბურთელსაც ძალიან აწყენინა. საერთოდ, ყოველთვის სჯობს პრესასთან კი არა, ადამიანთან ილაპარაკო. მერწმუნეთ, არანაირი რევოლუცია არ ყოფილა, მხოლოდ ეს იყო: ერთი ფეხბურთელი შეცდა. თუმცა, ხანდახან დიდ შეცდომას დიდებული თამაში მოჰყვება ხოლმე. ახლა, ტერის გუნება-განწყობას რომ ვაკვირდები, ვფიქრობ, გასული მატჩების წინ ის ასე შემართებული არ იყო"*.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| ალჟირი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

C ჯგუფი

# ინგლისი კატასტროფის ზღვარზე

23 ივნისი. პორტ ელიზაბეთი. ნელსონ მანდელა ბეი. 18:00

**სლოვენია–ინგლისი**

სავარაუდო შემადგენლობები

**სლოვენია:** ს. ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, შულერი, ცესარი, იოკიჩი - კირმი, კორენი, რადოსავლიევიჩი, ბირსა - ნოვაკოვიჩი, ლუბიანკიჩი.

**ინგლისი:** ჯეიმი - ჯონსონი, ტერი, აპსონი, ე. კოული - ჯ. კოული, ბერი, ლემპარდი, ჯერარდი - რუნი, დეფო.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ეს უკვე მართლაც მეტისმეტია: ინგლისის ნაკრებს მუნდიალის ნაადრევად დატოვების რეალური საფრთხე ემუქრება! არ დაგვავიწყდეს, ლაპარაკია გუნდზე, ესპანეთისა და ბრაზილიის ნაკრებებთან ერთად ამ ჩემპიონატის დაწყების წინ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად რომ მიიჩნეოდა. თუმცა, ორივე შეხვედრაში (აშშ-თან და ალჟირთან) ინგლისელებს ღირებული არაფერი უჩვენებიათ; ვერც იმას იტყვის ვინმე, იმავე ამერიკელებისგან განსხვავებით, მსაჯებისგან დაიჩაგრაო; ვერც უიღბლობას დააბრალებენ (პირველ მატჩში **რობერტ გრინის** მიერ გაშვებულ კურიოზულ გოლს თუ არ მივიღებთ მხედველობაში).

მოკლედ, ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში ინგლისელთა ყოფნა, ვფიქრობთ, ლოგიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. გასაგებია, რომ მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტებს საკადრო პრობლემები მოეძალათ, მაგრამ ამ გუნდის ქომაგებს (თან, არა მხოლოდ - ინგლისში) ვერაფრით აუხსნიათ ნაკრების ლიდერების (**უეინ რუნი, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლემპარდი**) ასეთი ულიმღამო ასპარეზობა. ამერიკასთან პირველ ტურში ნათამაშები ფრე, ასე თუ ისე, დიდ სენსაციად არავის უნდა მიეჩნია, მაგრამ, როცა მეორე ტურშიც ვერაფერი მოუხერხეს ალჟირის ნაკრებს (ინგლისელებს მეტოქის კართან, ფაქტობრივად, სახიფათო მომენტი არც შეუქმნიათ) და მატჩი უგოლოდ დაამთავრეს, ეს უკვე იმედგაცრუებაზე მეტი იყო! ახლა კი, მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხილ გუნდს ბოლო ტურში მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროება!

არის კიდევ ერთი, ოღონდ მართლაც თეორიული ვარიანტი: სლოვენიამ და ინგლისმა... უხვგოლიანი ფრე (3:3, 4:4) უნდა „გააგორონ“, ხოლო ალჟირისა და აშშ-ის ნაკრების შეხვედრა, პირიქით - ნულოვან ფრედ დასრულდეს!.. მეორე ვარიანტი, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა დაუჯერებლად გვეჩვენება და ინგლისის ნაკრების ქომაგებსაც ისღა დარჩენიათ, თავიანთი საყვარელი გუნდის პირველი გამარჯვების მოლოდინში იყვნენ. სხვანაირად ხომ **ფაბიო კაპელოს** გუნდი მერვედფინალში ვერ გავა! ასეთ მძიმე სატურნირო მდგომარეობას „შიდა პრობლემებიც“ დაემატა: **ლედლი კინგი** ჯერაც ვერ გამოჯანმრთელებულა, **ჯეიმი კარაგერს** დისკვალიფიკაცია აქვს; აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ჯონ ტერის** დაცვის ცენტრში **მეთიუ აპსონი** შეუწყვილდება.

თუმცა საკადრო პრობლემები რა მოსატანია იმ არაჯანსაღ ატმოსფეროზე, ბოლო დღეებში ინგლისის ნაკრების ქომაგები გვარიანად რომ აალელვა. ჰო, ამ მუნდიალზე „მოდაში“ შემოვიდა ფეხბურთელებისგან... მთავარი მწვრთნელების ლიად გაკრიტიკება! ახლა, ჯონ ტერიმ აიმაღლა ხმა და კაპელოს... ტაქტიკა თუ შემადგენლობის შერჩევა დაუწუნა! ძნელი სათქმელია, რამდენად იმოქმედებს ინგლისის ნაკრების თამაშზე გუნდში არსებული არაჯანსაღი სიტუაცია.



უეინ რუნი და ფრენკ ლემპარდი

ისიც გაურკვეველია, როგორი სახით წარდგება ინგლისის ნაკრების შეტევის ხაზი: ყოველ შემთხვევაში, „მეორე ფორვარდად“ **ემილ ჰესკის** ნაცვლად კაპელოს ოპონენტები **ჯერმენ დეფოს** კანდიდატურისკენ უფრო იხრებიან. არ არის გამორიცხული, რომ ძირითადში ვიხილოთ **ჯო კოული**, - ტექნიკური ნახევარმცველი, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რომ შეუძლია თამაშის გამწვავება.

აი, სლოვენიელთათვის კი უკვე ახლავე შეიძლება წარმატებად მივიჩნიოთ ამ მუნდიალზე ასპარეზობა. მართლაც ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, ორი ტურის შემდეგ ეს გუნდი ერთპიროვნული ლიდერი რომ იქნებოდა. სლოვენიელთათვის ამ შეხვედრაში ხომ მთავარი არწაგებაა - ასეთ შემთხვევაში, როგორც უნდა დასრულდეს ალჟირი-აშშ-ის მატჩი, **მატიაჟ კეკის** გუნდი მერვედფინალის საგზურს მოიპოვებს. ეგ კი არა, იმის თეორიული შანსიც არის, რომ სლოვენია წაგების შემთხვევაშიც გავიდეს შემდეგ ეტაპზე: ამისათვის „საჭიროა“, რომ ალჟირმა ერთბურთიანი სხვაობით მოუგოს აშშ-ს, ოღონდ, თვითონ სლოვენიაც არ უნდა დამარცხდეს დიდი ანგარიშით ინგლისთან.

ჰო, მართლაც საინტერესო მატჩები გველოდება ამ ჯგუფში და ისიც უცნაურია, რომ აუტსაიდერობისთვის განწირულ გუნდს ბოლო ტურის წინ ყველაზე მეტი ქულა აქვს. საინტერესოა, რომ ინგლისელებს, როგორც წესი, მუნდიალზე ჯგუფიდან გასვლის პრობლემა არასოდეს ჰქონიათ (1958 წლიდან მოყოლებული ასეა); ეგ კი არა, ბოლო ორ მუნდიალზე მეოთხედფინალშიც გადიოდნენ. აი, სლოვენია კი მეორედ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე და 2002 წლისგან განსხვავებით წლევანდელი მუნდიალი მართლაც წარმატებულია. შეგახსენებთ, რომ 8 წლის წინათ კორეა/იაპონიაში ჩატარებულ მუნდიალზე **სრეჩკო კატანეცის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე სლოვენიამ ჯგუფში სამივე მატჩი წააგო; ახლა კი გუნდს მერვედფინალში გასვლის შანსიც გაუჩნდა და, ერთი შეხედვით, მართლაც უცნაურია, რაც ვერ მოახერხა **ზლატკო ზახოვიჩისა** თუ **მილენკო აჩიმოვიჩის** თაობამ, მათზე ბევრად დაბალი კლასის სლოვენიელმა ფეხბურთელებმა შეძლეს.

სლოვენიის ამჟამინდელ ნაკრებს გამოკვეთილი ვარსკვლავები არ ჰყავს. სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვა, გუნდური თამაში და სწრაფი კონტრშეტევები, - აი, მატიაჟ კეკის კრებულის ძირითადი კოზირები. სხვათა შორის, სლოვენიელთა მწვრთნელი იშვიათად ცვლის ძირითად შემადგენლობას და დღევანდელ გადამწყვეტ მატჩშიც იმ თერთმეტ ფეხბურთელს ვიხილავთ, რომლებმაც აშშ-თან თამაში დაიწყეს.

ინგლისმა და სლოვენიამ დღემდე მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარეს: შარშან, ხუთ სექტემბერს „უემბლიზე“ ფაბიო კაპელოს გუნდმა 2:1 გაიმარჯვა. ერთი საინტერესო დეტალიც: სლოვენიელებმა ზუსტად იმ შემადგენლობით იასპარეზეს, ამ მუნდიალის პირველ შეხვედრაში ალჟირის წინააღმდეგ, რაც იყო! ინგლისელთა კარში გოლის ავტორი **ზლატან ლუბიანკიჩი** მაშინაც შეცვლაზე შევიდა, თუმცა დღეს სავარაუდოდ უკვე ძირითადში ვიხილავთ. რაც შეეხება ინგლისელებს, ფაბიო კაპელომ იმ დღეს 17 ფეხბურთელი ათამაშა და იმათგან სამხრეთ აფრიკაში მხოლოდ **ჯოლეონ ლესკოტი** და **კარლტონ კოული** არ წამოიყვანა. მაგრამ, ის მატჩი ხომ ამხანაგური იყო, აი, დღეს კი მერვედფინალის საგზურის ბედი წყდება!..

**გია ტუხაშვილი**



D ჯგუფი

# ეს უკვე მეთექვსმეტედფინალია

23 ივნისი. იოჰანესბურგი. სოკერ სითი. 22:30

**განა-გერმანია**

სავარაუდო შემადგენლობები

**განა:** კინგსონი - პენტსილი, ფორსა, ჯონ მენსა, სარპეი - ტაგოე, კ. ბოატენგი, ანანი, ასამოა, აიუ - გიანი.

**გერმანია:** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ბადშტუბერი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი, იოზილი, პოდოლსკი - კაკაუ.

**არბიტრი:** კარლუშ სიმონი (ბრაზილია)

თუ პარალელურად მიმდინარე მატჩში სერბეთმა ავსტრალიას მოუგო, გერმანიას მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება დასჭირდება. ბუნებრივია, ბუნდესგუნდის წევრები სერბთა ნაფორხილების იმედად ვერ იქნებიან და ამიტომაც დიდი ბრძოლის მოლოდინში არიან. განას განვლილ მატჩებში დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია, მაგრამ უდავოა, რომ **იოახიმ ლიოვის** ბიჭებს დიდი ჯაფა დაადგებათ. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გერმანელებს მუნდიალის ფლეი ოფი დღეიდან ეწყებათ. ისინი მეთექვსმეტედფინალის რანგის შეხვედრას გამართავენ და დაგვანახებენ, რამდენად მართებულია მათი ამბიციები.

განა-გერმანიის მატჩს ინტრიგა ისედაც არ აკლია, მისი ერთ-ერთი საინტერესო დეტალი კი ძმების დაპირისპირებაა. შესაძლოა, მოედანზე ორივე მათგანი არ გავიდეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ეს მაინც უნიკალური ფაქტია. **კევინ პრინს ბოატენგმა** დიდი ხანი არაა, რაც განის ნაკრების მაისური მოირგო და მუნდიალზე აფრიკელთა ძირითადი ფეხბურთელია, მისი უმცროსი ძმა **ჟერომ ბოატენგი** კი გერმანიის ნაკრების განაცხადშია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ არ უთამაშია.

ისიც გეხსომებათ, რომ **მიხაელ ბალაკი** მუნდიალს მიღმა სწორედ კევინ პრინსმა დატოვა, როცა გერმანელთა ლიდერი ინგლისის თასის ფინალში დაამტვრია და ამან ძმებ ბოატენგებს შორისაც კი შუღლი ჩამოაგდო.

ლიოვი ძირითად შემადგენლობაში ცვლილებებს არ გეგმავს. ცხადია, აქ არ ვგულისხმობთ ერთ იძულებით ცვლილებას. სერბეთთან მატჩში გაძევებულ **მიროსლავ კლოზეს კაკაუ** შეცვლის, რომელმაც განვლილ შეხვედრებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ავსტრალიელთა კარში გოლიც გაიტანა. გერმანული პრესისგან განსაკუთრებული კრიტიკა დაატყდა **ჰოლგერ ბადშტუბერს**, რომელიც სერბმა მილოშ კრასიჩმა 90 წუთი ბავშვივით აპამპულავა. ამის მიუხედავად, ლიოვი ახალგაზრდა ბაიერნელს სრულ ნდობას უცხადებს და მის სათადარიგოთა სკამზე დასმას არ აპირებს.

განელებმა წინა ტურში ათკაციან ავსტრალიას რომ ვერ მოუგეს, ეს ცენტრალური მცველების სუსტ თამაშსაც უნდა დააბრალონ. ტრავმების გამო, ავსტრალიასთან მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს **ჯონ მენსამ** და **ისააკ ფორსამ**. ბოლო ინფორმაციით, ორივე მათგანი მომჯობინდა და გერმანიასთან განელები დაცვის ოპტიმალური ხაზით ითამაშებენ. **მილოვან რაევაცის** გუნდს საკადრო პრობლემები არც სხვა რგოლებში აწუხებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# სერბეთს პირველობაც კი შეუძლია

23 ივნისი. ნელსპრუიტი. მბომბელა სთედიუმი. 22:30

**ავსტრალია-სერბეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ავსტრალია:** შვარცერი - უილკშირი, ნილი, ბოშამპი, ქერნი - კულინა, ვალერი - ემერტონი, კეჰილი, ჩიპერფილდი - კენედი.

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი - ივანოვიჩი, ვიდიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი - კრასიჩი, კაჩარი, კუზმანოვიჩი, იოვანოვიჩი - სტანკოვიჩი - ჟიგიჩი.

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

თუკი პირველი ტურის მატჩიდან გამომდინარე, ავსტრალია ვინმეს სუსტი გუნდი ეგონა, განასთან ჩატარებულმა შეხვედრამ ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ **პიმ ფერბეეკს** სულაც არ ჰყავს ხელწამოსაკრავი კრებული. ათი ფეხბურთელის შემადგენლობით მოთამაშე ავსტრალიელებმა განასთან შეხვედრაში ვაჟკაცურად შეძლეს საყაიმო ანგარიშის შენარჩუნება და ვინ იცის, მსაჯს **ჰარი კიუელი** რომ არ გაეძევებინა, დღეისთვის მათ გაცილებით უკეთესი სამერვედფინალო შანსები ჰქონოდათ. ახლა კი ავსტრალიელთა საფლეიოფო პერსპექტივა იმდენად მიზერულია, რომ მასზე საუბარიც კი ზედმეტად მიგვაჩნია.

სამაგიეროდ, შესანიშნავი შანსი აქვთ სერბებს, რომელთაც განა-გერმანიის შედეგი ნაკლებად აინტერესებთ. **რადომირ ანტიჩი** და მისი ფეხბურთელები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულები. გამარჯვების შემთხვევაში, ისინი ავტომატურად აღმოჩნდებიან მერვედფინალში, ხოლო თუ განა და გერმანია ფრედ ითამაშებენ, სერბები სულაც ჯგუფის გამარჯვებულებად მოგვევლინებიან

ავსტრალიას, რომელსაც განვლილ მატჩებში სრული შემადგენლობით თამაში არ დასცალდა, ორი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი დააკლდება. ესენი არიან განასთან გაძევებული კიუელი და გამოცდილი ცენტრალური მცველი **კრეიგ მური,** რომელმაც ორივე წინა შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღო და თანაგუნდელის მსგავსად, დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა გერმანიასთან მატჩში გაძევებული **ტიმ კეჰილი**, რომელიც ორთამაშიან დისკვალიფიკაციას გადაურჩა და მხოლოდ განასთან დაპირისპირებას დააკლდა. ავსტრალიელთა ძირითადი შემადგენლობის განჭვრეტა არცთუ იოლია, რადგან ფერბეეკმა განასთან მატჩში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ათამაშა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მათი ქმედებით კმაყოფილი დარჩა და ამიტომაც ბოლო შეხვედრის შემდეგ ბევრ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ.

სერბეთის ნაკრები ამ უპრინციპულესი შეხვედრისთვის ოპტიმალური შემადგენლობით ემზადება. გუნდს უბრუნდება პირველ ტურში გაძევებული **ალექსანდარ ლუკოვიჩი**, მაგრამ დაცვის ცენტრში **ნემანია ვიდიჩის** მეწყვილედ მასზე მეტად, **ნევენ სუბოტიჩის** გამოჩენაა მოსალოდნელი. სწორედ ამ უკანასკნელმა შეცვალა გერმანიასთან მოგებულ მატჩში ლუკოვიჩი და საიმედოდაც გაისარჯა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 3 |
| სერბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჰოლანდია

# ვან მარვიიკი თავს იმართლებს

## რატომ არის სანახაობრივი ფეხბურთი შედეგზე მნიშვნელოვანი?

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის ორ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი აიღო, **ბერტ ვან მარვიიკს** კრიტიკოსები მაინც არ აკლია. იაპონელების მინიმალური ანგარიშით ძლევის შემდეგ, ჰოლანდიელთა თავკაცს ჟურნალისტებთან საუბრისას თავის მართლებაც კი მოუხდა. აი, რას ამბობს ვან მარვიიკი:

*„ვერაფრით ვხვდები, რატომ არის სანახაობრივი ფეხბურთი შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი? - კი, ჩვენ შეგვიძლია უკანმოუხედავად შევუტიოთ და გაცილებით უფრო ეფექტური იერიშები განვახორციელოთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, დაცვაში შეგვექმნება პრობლემები. ორ გამართულ პაექრობაში, არც ერთი გოლი არ გვაქვს გაშვებული, ნუთუ ეს წარმატება არ არის? - გადახედეთ მსოფლიო ფეხბურთის გრანდების შედეგებს და ნახეთ, რა რთული მდგომარეობა აქვთ. დიდია შანსი, არაერთი ძლიერი საფეხბურთო ქვეყანა ჩარჩეს ჯგუფში, ჩვენ კი ექვსი ქულა გვაქვს და წინასწარ დავიბევეთ ადგილი მერვედფინალში“.*

ჰოლანდია ჯგუფის ლიდერია, იტალიას კი სავარაუდოდ მეორე ადგილის დასაკავებლად მოუწევს ბრძოლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ დიდია იმის შანსი, პლეი ოფში ბერტ ვან მარვიიკს **მარჩელო ლიპისთან** მოუწიოს ურთიერთობის გარკვევამ.

*„სიმართლე გითხრათ, ჯერ მხოლოდ ჯგუფური ეტაპის მესამე შეხვედრაზე ვარ კონცენტრირებული. ნაკლებად მაინტერესებს, რა მდგომარეობაა იტალიის ქვეჯგუფში და ვინც არ უნდა შეგვხვდეს, ყველასთან გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. რა თქმა უნდა, „სკუადრა აძურასთან“ თამაშს, შედარებით სუსტ გუნდთან პაექრობა ჯობია, მაგრამ ამას იმხელა მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რომ პოტენციურ მეტოქეებზე ფიქრით ტვინი ვიჭყლიტო. თუ ჩვენ ფეხბურთს ვითამაშებთ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია“*, - ასე სჯერა ჰოლანდიელთა თავკაცს.

**ლაშა წიკლაური**

კომპეტენტური აზრი

# ფერგიუსონი: ასეთ ცუდ ჩემპიონატს ველოდი კიდეც...

როგორც გაზეთი „სანი“ იუწყება, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** სამხრეთ აფრიკაში **უეინ რუნის** დაუკავშირდა და მასთან ლაპარაკის შემდეგ დაასკვნა, რომ ინგლისელთა ბანაკში ურთიერთობები მთლად დალაგებული არ არის. მოგეხსენებათ, ჯგუფური ეტაპის პირველ ორ შეხვედრაში ნათამაშები ფრეების გამო ინგლისელებს დღეს, სლოვენიელებთან მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს.

*„ხანდახან რალაცის მოლოდინმა შეიძლება დაგღალოს. მე ამას მივხვდი და ამიტომ დავურეკე უეინ რუნის. ერთადერთი, რაც ვუთხარი ეს იყო: უბრალოდ, მოეშვი და ფეხბურთის თამაშით ისიამოვნე. ინგლისელთა ბანაკიდან ბევრი ხმა გამოვიდა და თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც მე შევიტყე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ ყველაფერი მთლად დალაგებული არ არის. მართალი გითხრათ, ალჟირთან თამაში არ მინახავს, რადგან მეგობრებთან ერთად სხვაგან ვიყავი წასული, მაგრამ ისე ვგრძნობ, რომ გამარჯვების და კარგი თამაშის მოლოდინმა და ზეწოლამ ბიჭებზე ცუდად იმოქმედა“.*

ფერგიუსონის გუნდის მთავარმა ვარსკვლავმა რუნიმ, ვერც პირველ შეხვედრაში გამოიჩინა თავი (ინგლისელებმა აშშ-ის ნაკრებთან 1:1 ითამაშეს) და ვერც მეორეში, როდესაც მათი და ალჟირის დაპირისპირება უგოლოდ დასრულდა. მეტიც, მეორე შეხვედრა რომ დასრულდა, მოედნიდან გასახდელის გვირაბისკენ მიმავალი რუნი იმდენად გაღიზიანებული იყო, რომ კამერაში საკუთარ ფანებზე თქვა ცუდი რამ. საქმე ის გახლავთ, რომ ფანები ტრიბუნებიდან ტრადიციულ ინგლისურ „ბუუს“ იძახდნენ. ამის გამო ფორვარდს მას-მედიასა და ქომაგებში დიდი რისხვა დაატყდა თავს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ინგლისის ნაკრებს ჯერჯერობით უჭირს, თუმცა მარტო ინგლისის ნაკრებს? ფერგიუსონის აზრით მთელი ჩემპიონატი უინტერესოა.

*„ცუდი ჩემპიონატია და რომ არ დაგიმალოთ წინათგრძნობაც ასეთი მქონდა. საერთოდ ვერაფერმა ვერ მომხიბლა. არც გუნდების ხარისხი ვარგა და არც სხვა რამ. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპაში ყოველი სეზონი ძალიან მძიმეა. პრემიერლიგაში ხომ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოვირჩევით. დახეთ, რა მოხდა: დასრულდა მრავალთვიანი, ძალიან მძიმე, დამღლელი ჩემპიონატი და ფეხბურთელები სამ-ოთხ დღეში ისევ ერთად შეყარეს. არადა, ინგლისის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელებს რომ სთხოვო, კვლავ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთი აჩვენონ, არარეალურია“.*

**ილია ბაბუნაშვილი**




სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
**კონსულტაცია უფასოა**
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის“ საავადმყოფო

მუნდიალის საინტერესო ფრაგმენტები

# ფეხბურთი და უფრო მეტი

**მსოფლიოს ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ბუნებრივია, თითოეული თამაში უდიდეს ინტერესს იწვევს. ძალიან ბევრ ისეთ ფაქტსა და ასპექტზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი დარჩებოდა. მუნდიალი მხოლოდ ფეხბურთი არ არის, კიდევ უფრო მეტია და ამაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდით. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრათა უმეტესობა არცთუ მაღალ ტემპში მიმდინარეობს და თამაშების ხარისხიც თითქოს გაცილებით დაბალია, ვიდრე იმავე ჩემპიონთა ლიგაში, მუნდიალი მაინც ნომერი პირველია და ერთადერთი ტურნირი, რომელიც ცდება სპორტის ფარგლებს. გავიხსენოთ რამდენიმე საინტერესო ფრაგმენტი მიმდინარე ჩემპიონატიდან და მათზე გავამახვილოთ ყურადღება.**

## იონგ ტაე-სე, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა

ვინც ბრაზილია-ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთა პაექრობას უყურა, უთუოდ შეამჩნევდა, როგორ იტირა ჰიმნის მოსმენისას **იონგ ტაე-სემ**. ასეთი ეპიზოდები ალბათ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხდება და ბუნებრივია, გულგრილს არავის ტოვებს. ტაე-სე იაპონიაში ცხოვრობს, იქაურ კლუბში თამაშობს და სანახევროდ სწორედ იაპონელია, მაგრამ როგორც დავრწმუნდით, მისი გული კორეისთვის ძგერს. გარდა იმისა, რომ ასე ემოციურად მოქმედებს მასზე საკუთარი ქვეყნის ეროვნული ჰიმნი, თამაშითაც უთუოდ გამორჩეულია. მართალია, მისმა გუნდმა პორტუგალიასთან 7:0 წააგო და საერთოდაც, ნული ქულა აქვს, მაგრამ თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, უთუოდ ის გახლავთ. განსაკუთრებით კარგად ბრაზილიასთან წარმოჩნდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიელ უკანახაზელებს გვარიანი თავსატეხი გაუჩინა. ისე ჩაატარა მთელი სეზონი **დუგლას მაიკონმა**, რომ კაცი ვერ გაექცა და თუ დააკვირდით, იონგ ტაე-სესთან ერთობ გაუჭირდა თამაში. ორ ეპიზოდში სულაც სუფთად მოტყუვდა და მდევრის როლშიც ალმოჩნდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ძალიან გაბრაზდა და ამ მუხტით წინ წასულმა, ჩრდილოეთ კორეას საბედისწერო გოლი გაუტანა. ტაე-სე კი სამშობლოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, აი რას ამბობს თავად ფეხბურთელი იმ განწყობაზე, რომელიც ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობისას ეუფლება::

*„ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია და რამდენიც უნდა ვილაპარაკო, ამ ემოციას მაინც ვერ მოგაწვდით. ეს არის ყველაზე მთავარი, რაც კი შეიძლება ფეხბურთელმა განიცადოს. ამად არის, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებ, თუმცა ხანდახან ეს ძალიან მინდა. სამწუხაროა, რომ ქულის ალებაც ვერ მოვახერხეთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ძალა არ დაგვიკლია. ვეცდებით, ერთ შეხვედრაში მაინც გავიმარჯვოთ და ჩემპიონატი თავაწეულებმა დავტოვოთ".*

ალსანიშნავია, რომ კორეელებს აკრძალული აქვთ უცხოელ ჟურნალისტებთან ურთიერთობა. თუმცა, ტაე-სემ იმდენად დააინტერესა მედია, რომ მასთან გასაუბრება თვით ფიფას ჟურნალისტებმა მოისურვეს. კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს ვერ დაუპირისპირდა და მედიის წარმომადგენლებს ფეხბურთელთან გასაუბრების საშუალება მისცა. აი ასე გავიგეთ, რომ ჩრდილოკორეელებს თურმე ძალიან უყვართ სამშობლო.

## მილოვან რაიევაცი, განის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

განის ნაკრებს სერბი სპეციალისტი **მილოვან რაიევაცი** თავკაცობს. ბევრისთვის უცნობი მწვრთნელი, რომელიც თავის დროზე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ედგა სათავეში. ასევე, წვრთნიდა მოკრძალებული ამბიციების გუნდებს: „სლობოდას" და „ვოევოდინას", 2008 წლიდან კი განის ეროვნული გუნდის მესაჭედ მუშაობს. ეს აფრიკული ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა და შესაბამისად, განაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

დროა მთავარზე გადავიდეთ და განა-სერბეთის მატჩი გავიხსენოთ. როგორც უკვე ალვნიშნეთ, რაიევაცი სერბი გახლავთ და მუნდიალის პირველ ტურში საკუთარი ქვეყნის ნაკრებთან მოუწია დაპირისპირებამ. მთელი შეხვედრის განმავლობაში, ემოციურად კარნახობდა შეგირდებს თუ როგორ უნდა ემოქმედათ და მთელი ენერგიით იყო ჩართული თამაშში. ანუ, მოიქცა როგორც ნამდვილი პროფესიონალი, მაგრამ ამასთანავე, როგორც ნამდვილი პატრიოტი. განელთა გოლი არ უზეიმია, პირიქით, თითქოს სადღაც ეწყინა კიდეც. რაც მთავარია, ეს არ იყო სიყალბე, მას სახეზე ეწერა, რომ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ თამაში მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, რომელმაც განელთა გამარჯვება გვამცნო, რაიევაცისკენ მოზეიმე აფრიკელი ფეხბურთელები გაემართნენ, რათა მასთან ერთად გაეზიარებინათ ეს დიდი სიხარული. თუმცა, მილოვანმა ყველანი უხეში ჟესტით მოიცილა, დღეს მე არ მეზეიმებაო და მოედანი დატოვა.

სერბის ასეთი საქციელი იშვიათი და ვფიქრობთ, ძალიან დასაფასებელია, რადგან არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფეხბურთი და გნებავთ, პროფესიონალიზმია. გაცილებით უკეთესი სანახავია ასეთი რაიევაცი, ვიდრე ჰოლანდიელთა დამარცხებით მთელ სტადიონზე მოკუნტრუშე და მოხტუნავე **გუუს ჰიდინკი**. გახსოვთ ალბათ, რა ამბები დაატრიალა, როდესაც მისმა გაწვრთნილმა რუსეთმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატიდან ჰოლანდია დაიფრინა.

## ზინედინ ზიდანი

**ზინედინ ზიდანი** სამხრეთ აფრიკაშია და ყურადღებით ადევნებს თვალს მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს. უკვე არაერთხელ მოექცა ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საფრანგეთის ნაკრები და **რაიმონ დომენეკი** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. პირდაპირ თქვა, გუნდის მეტი ყველაფერია და არ მიკვირს, რომ ჯგუფირ ეტაპზე საფრანგეთის ნაკრები ასე წარუმატებლად ასპარეზობსო. ზიდანი ალჟირის ორივე თამაშს დაესწრო და თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ზინედინი წარმოშობით ალჟირელია და მას შემდეგ, რაც საფეხბურთო კარიერა დაასრულა, დიდ დროს სწორედ ისტორიულ სამშობლოში ატარებს. იქაური ფეხბურთის განვითარებას უწყობს ხელს და როგორც ამბობენ, დიდ ინვესტიციებს აბანდებს. ვის უგულშემატკივრებდა ზიდანი, ერთმანეთს რომ საფრანგეთის და ალჟირის ნაკრებები შეხვედროდნენ? – ვფიქრობთ, საინტერესო კითხვაა, რომელზეც პასუხს თავად ლეგენდარული ფეხბურთელი გასცემს:

*„თუ მატჩი ორივე გუნდისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, მაშინ არც ერთს არ ვუგულშემატკივრებ. უფრო სწორად, ორივეს ვუქომაგებ და ნებისმიერ შემთხვევაში, კმაყოფილი დავრჩები. ჩემთვის ალჟირიც სამშობლოა და საფრანგეთიც, ასე რომ, არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია. ისე, ამ საფრანგეთთან ალჟირს წარმატების კარგი შანსი ექნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დომენეკს ფეხბურთელთა დიდი არჩევანი აქვს, გუნდი ერთსულოვანი არ არის და შესაბამისად, ვერც წარმატება ექნება. საპირისპირო მდგომარეობაა ალჟირელთა ბანაკში, სადაც მონდომება და ერთ მუშტად შეკვრა არ აკლიათ, მაგრამ საშემსრულებლო ოსტატობა არ ჰყოფნით. აი, რომ გავაერთიანოთ ჩემი ორი სამშობლოს ნაკრებთა დადებითი მხარეები, ერთი ძალიან კარგი გუნდი გამოვიდოდა".*

**ლაშა ნიკლაური**



ზინედინ ზიდანი



იონგ ტაე-სე



მილოვან რაიევაცი

მუნდიალს მიღმა



ჯო კოული

# კოულმა მეგობრებს გაუმხილა...

დიახ, **ჯო კოულმა** მეგობრებს უთხრა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შანსი გამოუჩნდა. „ჩელსის" გარემარბს ინგლისის ჩემპიონთან კონტრაქტის ვადა დღეს ამოეწურა, ასე რომ, ის უკვე თავისუფალი აგენტია და დაუბრკოლებლად შეუძლია ნებისმიერი გუნდის ფეხბურთელი გახდეს. არადა, 28 წლის ფეხბურთელისგან უფრო „არსენალში" გადაბარგებას ელოდნენ.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „მეთოფეთა" თავკაცი **არსენ ვენგერი** თავის მუდმივ მოწინააღმდეგესთან, სერ **ალექს ფერგიუსონთან** ამ ბრძოლასაც წააგებს. იყო ხმები, რომ ფეხბურთელის გადაბირება „რეალის" თავკაც **ჟოზე მოურინიოსა** და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაც **ჰარი რედნაპსაც** სურდათ, მაგრამ ახლა, უკვე, ესეც არარეალური ჩანს.

თანაგუნდელის ამბავმა „ჩელსის" კაპიტან **ჯონ ტერის** გაკვირვებისგან პირი დაალებინა. ტერიმ თქვა: *„ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ მოახერხა ჩვენმა კლუბმა ჯოს დონის ფეხბურთელს ასე შელეოდა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

# ისტლენდზე ხუთიც წაამატეს

როგორც კი ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან შინ დაბრუნდება, „მანჩესტერ სიტი" **ჯეიმს მილნერისთვის** ბრძოლას განაახლებს. როგორც ისტლენდელთა საქმეებში ჩახედული ხალხი ამბობს, „სიტიმ" გადაწყვიტა ვაჭრობა გააგრძელოს და „ასტონ ვილას" 24 წლის ვარსკვლავის სანაცვლოდ ახლა უფრო მეტი, 25 მილიონი ფუნტი შესთავაზოს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ბირმინგემელებმა „სიტის" ნახევარმცველის 20 მილიონად მიყიდვაზე უარი უთხრეს. ისტლენდზე ფიქრობენ, რომ **მარტინ ონილი** 25 მილიონ ფუნტად ფეხბურთელს, რომელმაც ჯერ არცთუ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში „ნიუკასლშიაც" მოუსწრო თამაში, უეჭველად შეელევა. საინტერესოა, რომ მილნერს - თუკი ის „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" გადავა, ნახევარდაცვაში „ბარსელონაში" თამაშით ცნობილ **იაია ტურესთან** მოუწევს პარტნიორობა. ამბობენ, რომ ისტლენდელთა და კატალონიელთა შორის გარიგებას წინ აღარაფერი უდგას. ტურეს ფასიც მილნერის სავარაუდო ფასის მსგავსად 25 მილიონი ფუნტია.

გაირკვა ისიც, რომ „სიტიდან" არც **ემანუელ ადებაიორი** წავა სადმე. საქმე ის გახლავთ, რომ ტოგოელ ვარსკვლავს მომდევნო სეზონში, ისტლენდზე შესაძლოა დიდი კონკურენცია შეხვდეს და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს. ამბობენ, რომ „სიტი" „ლივერპულისგან" **ფერნანდო ტორესის** ხოლო „ვოლფსბურგიდან" **ედინ ძეკოს** შეძენას აპირებს. ადებაიორმა თქვა:

*„შემდგომ სეზონს მოუთმენლად ველოდები. ვიცი, დიდი კონკურენცია მელის, მაგრამ ეს ფეხბურთია, კონკურენცია კი ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია".*

**ილია ბაბუნაშვილი**

# ფრიდრიხი უკვე მგელია, მალე ბალაკიც...

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ნაკრების მცველი **არნე ფრიდრიხი** მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „ჰერტას" ტოვებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ცენტრალური მცველი კარიერას „ვოლფსბურგში" გააგრძელებს. გუშინ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაავრცელეს ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 31 წლის ფრიდრიხი „ვოლფსბურგს" უკვე ყველაფერზე მოურიგდა. არნე „მგლებთან" ორწლიან ხელშეკრულებას აფორმებს.

ფრიდრიხი, რომელიც ოთხშაბათს განასთან თავის რიგით 75-ე სანაკრებო მატჩს ჩაატარებს, გერმანიის ექსჩემპიონს ორი მილიონი ევრო უჯდება. არნე ფრიდრიხი „ვოლფსბურგისთვის", 18 წლის შვეიცარიელ ტალანტ **ნასიმ ბენ ხალიფას** შემდეგ, რიგით მეორე ახალწვეულია.

ზოგადად, გერმანელი მიმომხილველები „ვოლფსბურგს" ჩაგდებული სეზონის შემდეგ დიდ სატრანსფერო აქტივობებს უწინასწარმეტყველებენ. მართალია, მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** არაფერს ადასტურებს, მაგრამ „კიოლნერ ექსპრესი" წერს, რომ „ვოლფსბურგისთვის" ყველაზე პრიორიტეტული **მიხაელ ბალაკის** ტრანსფერია, რომელმაც „ჩელსისთან" კონტრაქტი გაწყვიტა და უფასოა. ზემოთ ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, „ვოლფსბურგის" მფლობელის, ავტოკონცერნ „ფოლკსვაგენის" შეფმა **მარტინ ვინტერკორნმა** ბალაკის ტრანსფერისთვის 20 მილიონი ევრო გამოყო, ანუ, „მგლები" გერმანიის ნაკრების ტრავმირებულ კაპიტანს ოთხწლიან კონტრაქტს და წელიწადში 5 მილიონ ევროს სთავაზობენ. „ვოლფსბურგის" მთავარი კონკურენტი ბალაკის ყოფილი კლუბი ლევერკუზენია. „ფარმაცევტები" ბალაკს სამწლიან კონტრაქტს და წელიწადში 4 მილიონ ევროს სთავაზობენ. თვითონ ბალაკი კომენტარებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. მიხაელი აშშ-ში ისვენებს.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსაზრება

# აფრიკული ფიასკოს კანონზომიერება

ყველაზე კარგად მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთამერიკული გუნდები ასპარეზობენ. არგენტინა და ბრაზილია უდანაკარგოდ მიდიან, პარაგვაიმ იტალიას არ დაუდო ტოლი და ჯგუფიდან ალბათ ყველა შემთხვევაში გავა, ურუგვაიმ კი საფრანგეთს გამოუყვანა წირვა და ყველა ლოგიკით, მერვედფინალში უნდა იასპარეზოს. დიდი მოწონება დაიმსახურა ჩილეს უმთავრესმა გუნდმა, რომელიც ძალიან სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. მექსიკა მთლად სამხრეთ ამერიკა არ არის, მაგრამ ჩამოთვლილი ქვეყნების გვერდით თავისუფლად შეგვიძლია დავაყენოთ. ყველაზე ცუდად კი ჯერჯერობით აფრიკელები ასპარეზობენ და ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ტენდენცია ბოლომდე შენარჩუნდება. მართალია, განამ მოიპოვა ქულები და მერვედფინალში გასვლის შანსი აქვს, იქ ალჟირმა გაახერხა ფრე ინგლისთან, მაგრამ ეს უფრო ლოკალური წარმატებებია - ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ განამ და ამ ალჟირმა დიდ შედეგებს მიაღწიონ. არადა, შავი კონტინენტის წარმომადგენლებს სწორედაც რომ ძალიან დიდ შედეგებს უწინასწარმეტყველებდნენ - ექსპერტთა უმეტესობა დაჟინებით ამტკიცებდა, ერთ-ერთ აფრიკულ გუნდს აუცილებლად ნახევარფინალში ვიხილავთო.



მიმდინარე მუნდიალზე აფრიკულმა ფეხბურთმა თავი ვერაფრით წარმოაჩინა

არადა, როგორც მიმდინარე მუნდიალი გვიჩვენებს, აფრიკული ფეხბურთი არც ისეთი სწრაფად მიიწევს წინ, როგორც ეს ბევრს ჰგონია. ფაქტია, რომ თუნდაც ათი წლის წინ, მათ გაცილებით ბევრი მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელი ჰყავდათ. თუნდაც ნიგერია და კამერუნი ავიღოთ. ალბათ, ყველაზე ტრადიციული აფრიკული გუნდები. იყო დრო, როდესაც ნიგერიაში მართლა მსოფლიო დონის ვარსკვლავები ასპარეზობდნენ, ევროპის გრანდებიდან. დღეს კი რას ვხედავთ? - საშუალო დონის ფეხბურთელების უმეტესობა მეორეხარისხოვან ევროპულ ლიგებში ასპარეზობს. კამერუნელებს გამონაკლისის სახით **სამუელ ეტო'ო** ჰყავთ, მაგრამ აბა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი რას გახდება? აფრიკელთათვის მთავარი თავშესაფარი საფრანგეთის ჩემპიონატია, მაგრამ თუ დააკვირდებით, აღარც პრემიერდივიზიონში ასპარეზობენ ძველებურად ბევრნი და ისეთივე წამყვანი როლებით, როგორც წინა წლებში. ყველაზე კარგი შემადგენლობა კოტდ'ივუარს ჰყავს, მაგრამ მათ ყველაზე მეტად არ გაუმართლათ. **დიდიე დროგბა** და კომპანია ჯგუფურ ეტაპზე ბრაზილიასა და პორტუგალიასთან მოხვდნენ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მართლაც ძალიან კარგი გუნდის შანსები. დღევანდელი გადასახედიდან, აბსურდულად ჟღერს ის ამბავი, რომ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მასპინძელთა ნაკრებს ოთხეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდა. არადა, პირველმა ორმა ტურმა დაგვანახა, რომ სამხრეთ აფრიკას ძალიან სუსტი გუნდი ჰყავს. დიახ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სუსტი გუნდი. ძალიან მონდომებულნი არიან, ბევრს დარბიან და ამის ხარჯზე გამოჰკრეს ხელი იმ კინკილა ქულას, მაგრამ მათი თამაშის ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

რატომ უნდა გაებრწყინათ აფრიკელებს 2010 წლის მუნდიალზე? - იმიტომ, რომ მასპინძლები არიან - იმიტომ, რომ სხვა კონტინენტის წარმომადგენლებს მძიმე კლიმატურ პირობებში უნდა ეთამაშათ - იმიტომ, რომ არსებობს აფრიკული პატრიოტიზმი და სამხრეთაფრიკელი გულშემატკივრები შავი კონტინენტის სხვა წარმომადგენლებსაც მხურვალედ უქომაგებდნენ. თუმცა, ჯერჯერობით, მსგავსი არაფერი ხდება. გულშემატკივრობა უბრალოდ არ არის და თუ რაიმე ისმის ტრიბუნებიდან, ეს ვუვუზელას გამაყრუებელი ბზუილია. შესაძლოა, ვუვუზელა სამხრეთაფრიკელებს სალამურივით ჩაესმით ყურში, მაგრამ არა გვგონია, რომ ანალოგიური რამ ხდებოდეს სხვა აფრიკულ გუნდებთან მიმართებაში. რაც შეეხება მძიმე კლიმატურ პირობებს, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამინდი ყველაზე უფრო მძიმე სწორედ აფრიკელთათვის გახლავთ. ეჭვი გვეპარება, კამერუნელები, განელები, კოტდ'ივუარელები, ნიგერიელები და ალჟირელები ძალიან კომფორტულად გრძნობდნენ თავს მოედანზე, როდესაც ტემპერატურა სამი გრადუსია.

რაც შეეხება სუფთა სათამაშო კომპონენტებს, რჩება შთაბეჭდილება, რომ აფრიკელები ზედმეტად ევროპულ ფეხბურთს თამაშობენ და ეს მაინცდამაინც კარგად არ გამოსდით. გაცილებით ბუნებრივი სანახავი გახლდათ 1990 წლის კამერუნის და 1994 წლის ნიგერიის გუნდები, რომლებიც ნამდვილ აფრიკულ ფეხბურთს თამაშობდნენ: ცოტა არაორგანიზებულს, შემტევს, აგრესიულს და ყველა ამ კომპონენტის გათვალისწინებით, არაპროგნოზირებადსა და ეგზოტიკურს. დღეს კი ევროპელი მწვრთნელების მიერ დალაგებულ და „დავარცხნილ" აფრიკულ გუნდებს ვუყურებთ, რომლებიც არაფერ განსხვავებულს არ გვთავაზობენ, არაფერს თავისებურს. მაგალითად, **ლარს ლაგერბაკი** და ნიგერია ისეთივე შეუთავსებელი ჩანს ერთმანეთთან, როგორიც შვედეთის ნაკრები და ნიგერიელი მწვრთნელი იქნებოდა...

აქამდე ყოველთვის ისე იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს რაიმე ახალი უნდა მიეცა ფეხბურთისთვის. ახალი ტენდენციები უნდა გამოკვეთილიყო და ახალი საფეხბურთო მოდა უნდა დამკვიდრებულიყო. მოკლედ, რაღაც ახალი უნდა გაგვეგო, მაგრამ ჯერჯერობით, ამ მხრივ, სათქმელი პრაქტიკულად არაფერია. როგორც ჩანს, იმდენად დიდი დოზით ვუყურებთ ფეხბურთს მთელი სეზონის განმავლობაში და იმდენად ნაცნობია ყველაფერი ის, რაც მოედნებზე ხდება, რომ რაიმე ახლის დაჭერა უბრალოდ შეუძლებელია. თუმცა, ერთი რამის თქმა მაინც შეიძლება - ბოლო წლების მუდმივი საუბრები აფრიკული ფეხბურთის გიგანტური და რაც მთავარია, პროგრესული ნაბიჯების შესახებ, სერიოზული დარტყმის წინაშე აღმოჩნდა.

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის მოლოდინში

# გიორგი ალავერდაშვილი: ბოავიშტაში სინჯებზე მელიან

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ექსფეხბურთელი და თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილი თავდამსხმელი გიორგი ალავერდაშვილი პორტუგალიაშია და მესამე ლიგის სერია F-ის კლუბ „ლუსიტანო ევრორაში" თამაშობს.**

**22 წლის თავდამსხმელი გველაპარაკება, როგორ მოხვდა პორტუგალიაში და რა პერსპექტივის იმედი აქვს. ჩვენი მხრივ კი განვმარტავთ, რომ გიორგი საკმაოდ დაუჯერებელ ისტორიას გვიყვება, მაგრამ თავად სჯერა, რომ უახლოეს პერიოდში ძლიერ კლუბში მოხვდება. ნეტავ, ასეც მოხდეს.**

**ალავერდაშვილი დიდი ხანია ქართული საფეხბურთო სამყაროდან გაქრა და მისი კვალს ინტერნეტში შემთხვევით მივაკვლიეთ. პორტუგალიური კლუბის, „ლუსიტანოს" ინტერნეტგვერდმა ზამთარში მის ჩასვლას სტატიაც უძღვნა...**

*ახალი შენაძენი გიორგი ალავერდაშვილია*

*„ლუსიტანო ევრორას" ახალნვეული აღმოსავლეთ ევროპიდანაა. 22 წლის გიორგი ალავერდაშვილი საქართველოს დედაქალაქ თბილისიდანაა და „ლუსიტანოს" ბოლო შენაძენია. გიორგის შეუძლია შეტევის ორივე ფლანგზე თამაში და გასინჯვის შემდეგ დაარწმუნა რობერტო პაულო ფილიო („ლუსიტანოს" მთავარი მწვრთნელი), რომ მისი დატოვება ღირდა.*

*მას უთამაშია „ლოკომოტივში", საქართველოს 19-წლამდელთა (5-ჯერ) და ახალგაზრდულ ნაკრებებში (2-ჯერ). აღმოჩნდა, რომ მას ბოლო სამი თვე არ უთამაშია, რადგან ფინეთის კლუბ „ჰაკაში" დაშავდა, ახლა კი კარიერის პორტუგალიაში გაგრძელება სურს.*

*კლუბის დირექტორატთან მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ის საკმაოდ დიდი ხანი ელოდა პორტუგალიაში მუშაობის უფლებისთვის საჭირო ვიზას.*

გიორგის პორტუგალიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით, რადგან ასეთ საფეხბურთო ქვეყანაში ქართველები ბევრნი არ არიან და ამას გარდა, ცოტა დაუჯერებლად გვეჩვენებოდა ჩვენამდე მოღწეული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას პორტუგალიის უმაღლეს ლიგაში იწვევდნენ.

**- გიორგი, პორტუგალიაში როგორ მოხვდი?**

- ფინეთის დაბალი ლიგის კლუბ „ჰაკაში" ვთამაშობდი. ტრავმის გამო საქართველოში დაბრუნება მომიხდა და მოვემჯობინდი, მაგრამ მთელი სამი თვე უთამაშებელი ვიყავი. „შავი ზღვის უნივერსიტეტში" ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობდი. მოულოდნელად პორტუგალიაში წასვლა შემომთავაზეს.

**- ვინ და რანაირად?**

- პორტუგალიაში ჩემი მეგობარია, რომელიც დამეხმარა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ჩემი გასინჯვა სთხოვა. თანხმობაც მიიღო და მიმიწვიეს. პორტუგალიაში 5 იანვარს ჩავედი და ჩემთან ერთად, კიდევ ოთხი ფეხბურთელი ისინჯებოდა, ერთი „ვალენსიას" გაზრდილი, მეორე „ხეტაფეს", სენეგალელი და მეოთხე მე ვიყავი. ერთი კვირა საკმარისი აღმოჩნდა და მე და სენეგალელს წლინახევრიანი კონტრაქტები შემოგვთავაზეს. ექვსი თვე უკვე ვითამაშე და ამპლუაც შემიცვალეს, მარცხენა ნახევარმცველად გადამიყვანეს. ახლა კი კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა გამანდო, რომ რამდენიმე კლუბი დაინტერესდა და შესაძლოა, მოსამზადებელი ეტაპი უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთ ძალიან ცნობილ კლუბში დავიწყო.

**- რომელ გუნდში?**

- ჩემი გასინჯვა „ბოავიშტას" უნდა. ახლა შესვენებაა, ივლისში ბევრი რამ გაირკვევა, რადგან სხვა გუნდებიც დაინტერესდნენ. იქ ვამჯობინებ გადასვლას, სადაც ვითამაშებ. ჯერ სინჯებზე მიწვევენ და თუ მოვეწონები, კონტრაქტს გააფორმებენ. როცა პორტუგალიაში მოვდიოდი, არ მეგონა, მესამე ლიგაში ასეთი დონე თუ იქნებოდა. აქაც ძალიან რთულია თამაში. პირველივე ვარჯიშზე მივხვდი, რომ ჩემი წარმოდგენა და რეალობა ერთმანეთისგან ძალიან ბევრით განსხვავდებოდა. მესამე ლიგის გუნდებში ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთაც უმაღლეს ლიგაში უთამაშიათ და კარიერას ამთავრებენ. ასე რომ, მათ გვერდით თუ წინააღმდეგ ბევრს ვსწავლობ. ასე იზრდებიან ახალგაზრდები და შემდეგ უფრო ძლიერ გუნდებში გადადიან.

**- ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მესამე ლიგის კლუბიდან უცებ „ბოავიშტაში" თამაში რეალური გგონია?!**

- სავსებით რეალურია. აქ ლიგების დონე განისაზღვრება არა იმდენად ფეხბურთელების კლასით, არამედ ფიზიკური და მატერიალური მდგომარეობით. ორი კვირის წინ, ჩემი გუნდელი „ნაციონალში" იყიდეს. აქ თუ თამაშობ და პერსპექტივას გატყობენ, ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა. 99 პროცენტით გადაწყვეტილია, მომზადებას „ბოავიშტაში" რომ დავიწყებ. ამაზე ჩემი აგენტი მუშაობს და თავად შემატყობინებს, ვარჯიშზე როდის უნდა გამოვცხადდე. იმედი მაქვს, ჩემი შესაძლებლობების გამოვლენას შევძლებ.

**- წარმოუდგენელია, კლასში განსხვავება არ იყოს.**

- თუნდაც, მაგალითი ავიღოთ: ლისაბონის „სპორტინგი" მე-2 ლიგის მეთერთმეტეადგილოსან გუნდ „მაფრასთან" ფრედ (4:4) ეთამაშა. განსხვავება არის, მაგრამ მე-2 და მე-3 ლიგის გუნდები თასზე „პორტუს", „ბენფიკას" და „სპორტინგს" წინააღმდეგობას უწევენ. თასის ფინალში მე-2 ლიგის გუნდი „დესპორტივო ჩავესი" გავიდა და „პორტუსთან" 1:2 წააგო. პორტუგალია არ არის ფინეთი ან რომელიმე მსგავსი ქვეყანა, სადაც უმაღლესი ლიგა ნორმალურია და დანარჩენში ძალიან დაბალი დონეა. პირველი ლიგაში საკმაოდ მაღალი დონის კლუბები არიან, მეორეშიც არაა ცუდი ფეხბურთი. აქ ახალგაზრდები დიდი მიზნებისთვის ემზადებიან და ტრამპლინად იყენებენ. სხვათა შორის, რაც ძალიან მომეწონა, სათამაშო დისციპლინის სიყვარულია. ნებისმიერ შემთხვევაში, ბევრ რამეს ისწავლი და გაიზრდები. სავარჯიშო პირობები კი ისეთია, ნეტავ ჩვენს უმაღლეს ლიგაში ბევრს ჰქონდეს. ჯერ პირობები ნახეთ მესამე ლიგის გუნდში - პირველივე ვარჯიშზე მაისურაზე ჩემი სახელი ეწერა და მთლიანი ეკიპირება გადმომცეს. საქართველოს რომელიმე ლიდერ კლუბში ასეთი რამ გინახავთ? მე პირადად არც მინახავს და არც მსმენია.

**- პორტუგალიურის არცოდნა პრობლემას არ გიქმნის?**

- რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი დეტალია. აქ სამ ფაქტორს აქცევენ გამორჩეულ ყურადღებას: უნდა იცოდე პორტუგალიური ენა, რომელიც ვისწავლე და ვსაუბრობ, შრომისმოყვარეობას და დისციპლინას, რაც ნამდვილად მაკლდა. თუმცა, ვცდილობ, დავიხვეწო, ჩემს საქმეს ვაკეთებ და ვვარჯიშობ იმისთვის, რომ რაც შეიძლება უკეთეს გუნდში გადავიდე, მეტი ვისწავლო და სერიოზულ პროგრესს მივაღწიო. რამდენიმე წელია ფეხბურთს ვთამაშობ და განვითარებისთვის ასეთი სასურველი გარემო და პირობები არასდროს მქონია. აბა, სხვა რა დამრჩენია? და როცა მწვრთნელი ხედავს, რომ ფეხბურთელი მონდომებულია, მას აუცილებლად დაეხმარება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

## ნავალოვსკის ვოლგაში?

მახაჩყალის „ანჟიმ" ავსტრიაში მოსამზადებელი შეკრება დაიწყო. გუნდის მთავარ მწვრთნელ **გაჯი გაჯიევის** განკარგულებაში ორის გარდა ყველა ქართველია. ეს ორი გამონაკლისი ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე** და მცველი **გიორგი ნავალოვსკი** არიან. შეგახსენებთ, რომ ნავალოვსკი აზერბაიჯანში, ბაქოს „ინტერში" იყო განათხოვრებული, მისი საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოიწურა და მახაჩყალელებმა დაიბრუნეს.

ავსტრიაში გაჯიევის განკარგულებაში მყოფ 24 ფეხბურთელს შორის, 5 ქართველია - მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, მცველი **დავით კვირკველია**, ნახევარმცველები **ზურაბ არზიანი** და **გოჩა ხოჯავა**, თავდამსხმელი **გიორგი ილურიძე**.

როგორც ჩანს, მახაჩყალელთა გუნდის თავკაცი გაჯი გაჯიევი ბარაბაძით კმაყოფილი არ არის. ტრავმების გამო ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელს ბევრი გაუცდა. მიმდინარე სეზონში რეზომ „ანჟის" რიგებში მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა. რაც შეეხება გიორგი ნავალოვსკის, ჩვენი ინფორმაციით, მას მახაჩყალელები **ოთარ მარცვალაძის** მსგავსად ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გაანათხოვრებენ.

დაბოლოს, რაც შეეხება „ანჟის", ჩვენებურთა გუნდს 10 მატჩში ამდენივე ქულა აქვს და ცხრილში მე-12 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

## დვალიშვილი რუბინში?

ეროვნული ნაკრების ფორვარდ **ლადო დვალიშვილს** კიდევ ერთი მთხოვნელი გამოუჩნდა - რუსეთის მოქმედი ჩემპიონი ყაზანის „რუბინი". შეგახსენებთ, რომ მისი გადაბირებით თურქული „ტრაბზონი" და „ქაისერისფორი", გასულ ზამთარში კი „პარმა" და „ლაციო" იყვნენ დაინტერესებული. როგორც ჩანს, ჰაიფას „მაქაბის" ჩვენებური არ ეთმობა, თორემ ლადო უკვე სხვა კლუბში იქნებოდა. ცნობისათვის, დვალიშვილს 2 წლის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი ჰაიფელებთან და მისი სატრანსფერო ფასი მილიონი ევროა.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ **ალესანდრ ბუხაროვი** ყაზანელთა გუნდიდან სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში" გადავა. „რუბინის" მთავარ მწვრთნელ **ყურბან ბერდიევი** ბუხაროვის შემცვლელს უკვე ეძებს. სანდო წყაროს ინფორმაციით, ყაზანელები „მაქაბისთან" დვალიშვილის თაობაზე მალე დაიწყებენ მოლაპარაკებას. „ტრაბზონი" და „მაქაბი" ქართველ თავდამსხმელის ტრანსფერზე ვერ შეთანხმდნენ. ვნახოთ, მოურიგდებიან თუ არა ჰაიფელებს ყაზანელები.

**დავით ცაბაძე**

## გოგუას და ალექსიძის გოლები

მსოფლიოს ჩემპიონატით გამოწვეულ პაუზას გუნდები მოსამზადებლად იყენებენ და ვარჯიშებთან ერთად საკონტროლო მატჩებს ატარებენ. სხვებთან ერთად ჩვენებურთა გუნდებიც სპარინგობენ და გოლები ქართველებსაც გააქვთ. ამჯერად **გოგიტა გოგუასა** და **რატი ალექსიძის** მიერ გატანილ ბურთებზე უნდა გაცნობოთ.

მოგეხსენებათ, ნაკრების მცველმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შოთა არველაძის „ქაისერისფორთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ნალჩიკის „სპარტაკში" ორი ჩვენებური დარჩა - ნახევარმცველი გოგიტა გოგუა და თავდამსხმელი **დავით სირაძე**. ნალჩიკელები კისლოვოდსკში გადიან მზადებას და ახალგაზრდული გუნდი „კროპოტკინი" ტესტმატჩში 2:1 დაამარცხეს. „სპარტაკის" რიგებში ერთი გოლი გოგუამ გაიტანა.

მზადებას აგრძელებს უნგრეთის ბრინჯაოს პრიზიორი „დიორ ეტო", რომელშიც რამდენიმე ჩვენებური ასპარეზობს. დიორელებმა „სოლნასთან" საკონტროლო შეხვედრა 1:1 ფრედ ითამაშეს. „დიორ ეტოდან" ეს ერთადერთი გოლი რატი ალექსიძემ გაიტანა. ამ შეხვედრაში ალექსიძემ მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. მეორე 45 წუთი კი მცველმა **ლაშა თოთაძემ**, ნახევარმცველმა **გიორგი განუგრავამ**, თავდამსხმელებმა **თემურ შარაშენიძემ** და **ვახტანგ ფანცხავამ** ითამაშეს.

სხვათა შორის, ალექსიძემ წინა შეხვედრაშიც გაიტანა ერთი ბურთი. როგორც ჩანს, რატი კარგ ფორმაშია და ალბათ არ იქნება ურიგო, თუ ეროვნული ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია ალექსიძეს 11 აგვისტოს, მოლდოვასთან გასვლითი ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში გამოიძახებს და მის თამაშს დააკვირდება.

**დავით ცაბაძე**

## აბრამიძე ინტერში ერთი წლით

**კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი დაიმატა. ბაქოს „ინტერმა" **ბაჩანა ცხადაძის** შემდეგ, მცველ **ვალერი აბრამიძესთან** გააფორმა კონტრაქტი. აბრამიძე, რომელმაც გასული ჩემპიონატი ბაქოს „ნეფთჩიში" ჩაამთავრა, ახალ კლუბთან ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ასე რომ, **გიორგი ლომაიას, კახა მჟავანაძეს, დავით ოდიკაძეს** და ბაჩანა ცხადაძეს, ვალერი აბრამიძეც დაემატა.

*„დიახ, „ინტერთან" მოლაპარაკებები უკვე დასრულდა და უკვე ამ კლუბის წევრი ვარ. ამ გუნდში თამაში ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. ჯერ ერთი, სასიამოვნოა ისეთ კლუბში ასპარეზობა, რომელიც ყოველ წელს ამბიციური მიზნებისთვის იბრძვის. გარდა ამისა, „ინტერში" ბევრი თანამემამულე და მეგობარი მყავს", - აზერბაიჯანულ პრესასთან საუბარში აღნიშნა აბრამიძემ.*

„ინტერის" ახალწვეულს დაეკითხნენ, გუნდის თავკაცი თქვენი თანამემამულეა, რაც სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრებას გაგიადვილებთო. ამ კითხვას აბრამიძემ ასე უპასუხა.

*„ვერაფრით დაგეთანხმებით. „ინტერის" მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს კარგად ვიცნობ. ის არასდროს ყოფს გუნდს „თავისიანებად" და „უცხოებად". ასე რომ, მწვრთნელის ქართველობა ჩემთვის არანაირი პლუსი არ არის. სხვები დარად მეც უნდა ვიბრძოლო და დავიმსახურო ძირითად შემადგენლობაში თამაში".*

**დავით ცაბაძე**

ჭაბუკთა ნაკრებები

საერთაშორისო ტურნირი

## ჰუფნაგელი და კიდევ ორი ლეგიონერი

საქართველოს 17-წლამდელთა და 15-წლამდელთა ნაკრებები საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობისათვის ესპანეთში, კუნძულ იბისაზე გაემგზავრნენ. ჩვენი ჭაბუკთა გუნდები მასშტაბურ ტურნირზე ითამაშებენ, რომელსაც 16 მონაწილე ჰყავს.

უცხოეთის ქვეყნებში ასობით ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელია ჭაბუკთა ასაკში. მათ მოძიებას ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელები ყოველთვის დიდ დროს უთმობენ და შედეგიც სახეზეა. 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** ესპანეთში, იბისას ტურნირზე დასაკვირვებლად გერმანიასა და ჩეხეთში მოთამაშე უცნობ ქართველებს უხმო. კერძოდ, „ბაიერნის" ჭაბუკთა გუნდში მოასპარეზე **ლუკას ჰუფნაგელს**, რომელსაც დედა ჰყავს ქართველი. ასევე **ლუკა ჩხაიძეს**, რომელიც მიუნხენში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შთამომავალია და ჟიჟკოვის „ვიქტორიას" ჭაბუკთა გუნდის ფეხბურთელ **გიორგი პაპუჩელაშვილს**.

ჟორჟიკაშვილმა ტურნირისთვის 18 ფეხბურთელი შეარჩია:

**გაბრიელ თებიძე, დაჩი ცნობილაძე, შოთა ბიწკინაშვილი, ბაჩანა არაბული, გიორგი ფანცულაია** (ყველა ოლიმპი), **ლევან გუდავაძე** (ბაია-მგლები), **გიორგი მთივლიშვილი, სანდრო ჭილვარია, ლაშა კვარაცხელია** (ყველა ლოკომოტივი), **ნიკა სანდუხაძე, გიორგი ჯავახიშვილი, ვაჟა მათიაშვილი** (ყველა დინამოს აკადემია), **გიორ[illegible]როგავა, გურამ სამუშია** (ორივე ბაია), **გიორგი სარჯველაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **ლუკას ჰუფნაგელი** (ბაიერნი, გერმანია), **ლუკა ჩხაიძე** (მიუნხენ 1860, გერმანია), **გიორგი პაპუჩელაშვილი** (ვიქტორია ჟიჟკოვი, ჩეხეთი).

ასევე 18 ფეხბურთელი წაიყვანა ესპანეთში 15-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გელა შეყილაძემ**. მისი შემადგენლობა ასეთია.

**ლუკა კალაძე, გიორგი ხორხელი** (ორივე ოლიმპი), **რომან ჭანტურია** (ლოკომოტივი), **ავთო ეგუტიძე** (ზესტაფონი), **ბაკურ გაბედავა, თორნიკე ტურავა, გიორგი თევზაძე, ჯემალ ტაბიძე, ზურა მალანია** (ყველა ბაია), **გიორგი ბუნტური, გიორგი ჩაფიძე** (ორივე ვეფხვები), **ანრი არველაძე** (იმედი, ქუთაისი), **ილია კერძევაძე** (ოლიმპი), **ერეკლე ლომიძე, ლუკა ზარანდია, დავით ბააზოვი, ცოტნე მესხი** (ყველა 35-ე საფეხბურთო სკოლა), **გაგი კირთაძე** (ოლიმპი, რუსთავი);

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

## ბარაბაძე ანჟიდან წამოვიდა

მახაჩკალის „ანჟიმ" რუსეთის პრემიერლიგის მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ფეხბურთელებს შვებულება დაუსრულდათ და მახაჩკალაში შეიკრიბნენ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა** „ანჟის" ძირითადი და სარეზერვო შემადგენლობები ერთმანეთს დაუპირისპირა. ძირითადებმა 3:0 მოიგეს, ერთ-ერთი გოლი საქართველოს ნაკრების მცველის **დავით კვირკველიას** ანგარიშზეა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა გაჯიევმა, რომელი ფეხბურთელები წაეყვანა ავსტრიაში დაგეგმილ შეკრებაზე.

გაჯიევის სიაში თითქმის ყველა ქართველი მოხვდა: მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, მცველი დავით კვირკველია, ნახევარმცველები **გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი** და თავდამსხმელი **გიორგი ილურიძე**. თვალში მოსახვედრი მხოლოდ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდის **რეზო ბარაბაძის** არყოფნა გახლდათ.

ბუნებრივია, დავინტერესდით, რატომ არ აღმოჩნდა „ანჟის" 24-კაციან განაცხადში ბარაბაძე. ჩვენთვის არახალია ფეხბურთელის სურვილი, დაეტოვებინა მახაჩკალის კლუბი, რადგან გამუდმებით პრობლემები ექმნებოდა. როგორც ცნობილია, მას რუსეთის მოქალაქეობა არ გააჩნია, რაც ამ პრობლემების თავი და თავია: ყოველთვე სამუშაო ვიზის განახლება, საამისოდ კი, საკონსულოსთან ერთთვიანი ლოდინი სჭირდებოდა, ამასობაში, ფორმიდან ამოვარდა, რაც 30 მაისს საქართველო-შვეიცარიის მატჩის დროსაც გამოჩნდა - როგორც ყოველთვის, ბევრს მოძრაობდა, არც მონდომება აკლდა, მაგრამ სათანადო მომზადების ნაკლებობა აშკარად დაეტყო და ძველებურად სასარგებლო ბარაბაძე ვერ ვიხილეთ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ამხელა, თანაც სისტემატური პაუზები, ნებისმიერ მოთამაშეს მწყობრიდან ამოაგდებდა.

22 წლის ქართველ ფორვარდს, „ანჟისთან" კონტრაქტის გაწყვეტა მაისშიც სურდა. ბარაბაძე ამჟამად თბილისშია, გუნდის დატოვებამდე კი, მახაჩკალის „ანჟის" ხელმძღვანელობას კონტრაქტის გაწყვეტა შესთავაზა. დაღესტნელებმა წინასწარი თანხმობა თქვეს, ახლა კი სიტყვიერი შეთანხმება ოფიციალურად უნდა გაფორმდეს. ბარაბაძეების ოჯახში გვითხრეს, რომ „ანჟიდან" რეზოს წამოსვლა 100 პროცენტით გადაწყვეტილია და მიზეზი რამდენიმე საინტერესო შეთავაზებაა. თუმცა ჯერ კლუბების სახელებს არ ამხელენ. მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ რუსეთის კლუბში თამაშს გამორიცხავს, რადგან ვიზის პრობლემების მოგვარება შეუძლებელია, რამაც ფეხბურთელი დაღალა - მოედანზე მეტ დროს, საკონსულოში სიარულს ანდომებდა. და კიდევ: ერთ-ერთი დაინტერესებული კლუბი გერმანულია.

მოკლედ, უახლოეს პერიოდში გაირკვევა, სად გააგრძელებს კარიერას რეზო ბარაბაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესტივალი 2015

# შემფასებელი კომისიის მოლოდინში

როგორც ცნობილია, 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად თბილისი და ჩეხეთის ქალაქი ბრნო იბრძვიან. ჩვენი შესაძლებლობებისა და უპირატესობის წარმოსაჩენად, აგრეთვე პროპაგანდის თვალსაზრისით, სეოკ-მა ქალაქის მუნიციპალიტეტთან ერთად არაერთი ღონისძიება ჩაატარა.

წლეულსვე, ნოემბერში ბელგრადში ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე საბოლოოდ გაირკვევა, რომელ ქალაქს მიეცემა უპირატესობა. მანამდე კი, 23 ივნისს, გამთენიისას თბილისს ეოკ-ის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე, მალტელი **იოსეფ კასარი** და ნორვეგიელი **იასპერ ლარსენი** ეწვევიან. ისინი ევროპის ოლიმპიური კომიტეტების სახელით იმოქმედებენ და რეგლამენტის თანახმად, საქართველოში მხოლოდ 36 საათს დაყოფენ.

შემფასებელი კომისიის წევრებს პროგრამა დეტალებში აქვთ გაწერილი. ისინი სამი საათის განმავლობაში გულდასმით დაათვალიერებენ ყველა სპორტულ ობიექტს და შემდეგ სეოკ-ში ქართულ მხარესთან იმსჯელებენ „ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალების კანდიდატი ქალაქების სახელმძღვანელო ცნობარის“ შესაბამისად, ანუ იგეგმება შეხვედრა ქალაქის ხელმძღვანელობასთან.

სტუმრები თბილისს 24 ივნისს დატოვებენ და დასკვნას ეოკ-ის და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების კომისიას, ხოლო შემდგომ - გენერალურ ასამბლეას წარუდგენენ.

სეოკ-ის პრესსამსახური

ძიუდო — ევროპის ჭაბუკთა პირველობა

# დღეს ჩეხეთში გაემგზავრნენ

ამ დილით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებები ჩეხეთში გაფრინდნენ, სადაც 25-27 ივნისს თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში გამოვლენ. ეს ტურნირი ჩვენი ვაჟთა ნაკრების თავკაც **რამაზ ჩოჩიშვილისთვის** პირველი ოფიციალური შეჯიბრებაა ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში. მწვრთნელის არ იყოს, შეგირდთა უმეტესობასაც დებიუტი ექნება ევროპის ჩემპიონატზე, გუნდის შემადგენლობაში კი **გელა კელეხაშვილი** (50), **ომარ ნიაზაშვილი** (55), **მიხეილ მეზურნიშვილი** (60), **პავლე ქავთარაძე** (66), **თამაზ ონიანი** (73), **ლაშა ტაველური** (81), **ომარ გასიტაშვილი** (90) და **კარლო ნემსიწვერიძე** (+90) მოხვდნენ.

მწვრთნელმა ეს შემადგენლობა საქართველოს ჩემპიონატისა და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის შედეგების მიხედვით შეარჩია. ამათგან მეზურნიშვილს, ქავთარაძეს, ტაველურს და გასიტაშვილს სწორედ უცხოეთში მოუწიათ თავიანთი სიძლიერის დამტკიცება, თორემ საქართველოს პირველობაზე ფინალური შეხვედრები წააგეს.

გუნდში ყველა ჯანმრთელადაა და სრულად გაიარა მთელი მოსამზადებელი ციკლი. ჯანზეა თამაზ ონიანიც, რომელიც ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე დაშავდა - მხარი იტკინა და გაჩნდა საშიშროება, რომ იქნებ ვერ ეჭიდავა ამ ჩემპიონატზე. საბედნიეროდ, ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც მიდის ჩეხეთში. არადა, მან ყველა შესარჩევი ტურნირი მოიგო, სადაც კი იჭიდავა.

ვაჟების გვერდით ჩეხეთში ორი ქართველი გოგოც იჭიდავებს - **მარიამ ციხელაშვილი** (52) და მძიმეწონოსანი **ელენე ქებაძე**. ვაჟებისგან ხომ ველოდებით მედლებს და არც გოგოებისგან გამოვრიცხავთ წარმატებას. მაგალითად, ქებაძემ ანთალიაში გამართული ასაკობრივი ევროპის თასიც მოიგო.

პირველ დღეს - 25 ივნისს ვაჟთაგან 50, 55 და 60, გოგოებიდან კი 40, 44 და 48 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ. მეორე დღეს - 66 და 73 ვაჟებიდან, 52, 57 და 63 გოგოებიდან. ბოლო დღე ვაჟთაგან 81, 90 და +90-ის წარმომადგენლებს დაეთმობათ, გოგოებიდან კი 70 და +70-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი



მაია ჩიბურდანიძე



ნანა ძაგნიძე

# ეპიცენტრმა ჯერმუკში გადაინაცვლა

სომხეთის საკურორტო ქალაქ ჯერმუკში დღეს დაიწყება ფიდეს ქალთა გრან-პრის სერიის მეოთხე გათამაშება, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის 12 მოჭადრაკე იბრძოლებს. ესენი არიან (რეიტინგის მიხედვით): **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2589), ევროპის 2002 წლის ჩემპიონი **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2560), ორგზის ევროპის ჩემპიონი (2003, 2010) **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2536), ორგზის ევროპის ჩემპიონი (2007, 2009) **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2534), ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო, 2514), მსოფლიოს თასის მფლობელი **სოუ იუჰუა** (ჩინეთი, 2484), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2478), ევროპის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი **ლილით მკრტჩიანი** (სომხეთი, 2477), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2473), **შენ იანი** (ჩინეთი, 2452), **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი, 2366) და **მარტა ფიერო** (ეკვადორი, 2663).

ტურნირის საპრიზო ფონდია 40 000 ევრო. გამარჯვებული 6500 ევროს მიიღებს. მომდევნო ადგილებზე კი თანხები ასე განაწილდება: II-4750, III-4000, IV-3750, V-3500, VI-3250, VII-3000, VIII-2750, IX-2500, X-2250, XI-2000, XII-1750 ევრო. ფულად ჯილდოსთან ერთად ადგილების მიხედვით მოჭადრაკეები გრან-პრის საერთო ჩათვლისთვის 10-დან 160 ქულასაც დაიმსახურებენ. სერიის 3 ასპარეზობის შემდეგ 250-250 ქულით პირველ-მეორე ადგილებს ჰოუ იფანი (ორი ტურნირის ჯამით) და მისი თანამემამულე ჟაო სიუ (3) ინაწილებენ. მესამე-მეოთხე ადგილებზე ნანა ძაგნიძე (2) და ინდოელი ჰამფი კონერუ (2) არიან.

სომხეთში გამგზავრებამდე ჩიბურდანიძემ და ძაგნიძემ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ბაზალეთზე საწვრთნელი შეკრება გაიარეს. ჯერმუკში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონს საერთაშორისო ოსტატი **ხვიჩა სუპატაშვილი**, ხოლო ძაგნიძეს დიდოსტატი **ზურაბ სტურუა** დაეხმარება. ასპარეზობის მონაწილეები ერთმანეთს წრიული სისტემით შეხვდებიან.

ვაჟა დანელია

ჭიდაობა — მეტოქე

# ქართველის რუსულ-ბერძნული თავსატეხი

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების გზაზე ჩვენმა კიდევ ერთმა მთავარმა კონკურენტმა გადადგა პირველი ნაბიჯი - ამ დღეებში რუსეთის პირველობა გამართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატი სექტემბრის დასაწყისში მოსკოვში ტარდება და იქაურები აქედანვე საგანგებოდ ემზადებიან მომავალი ტრიუმფისთვის.

ამ ტურნირისთვის რუსთა ქართველმა თავკაცმა **გოგი კოლუაშვილმა** რამდენიმე ტიტულოვანი ფალავანი გაათავისუფლა - ოლიმპიური ჩემპიონი და წლევანდელი ევროპირველობის გამარჯვებული **ასლანბეკ ხუშტოვი** (96), ასევე ოლიმპიური ჩემპიონები, მაგრამ წლევანდელ კონტინენტის პირველობაზე ფინალში დამარცხებულები **ნაზირ მანკიევი** (55) და **ალექსეი მიშინი** (84) და ევროპის ზედიზედ ორგზის ჩემპიონი ქართველი **ამბაკო ვაჩაძე** (66). მათ არყოფნაში რუსეთის ჩემპიონები პირველად გახდნენ **ვალერი ბორგოიაკოვი** (55), **რუსტამ ხაჩბაროვი** (60), **ემილ შარაფეტდინოვი** (74), **ევგენი ბოგომოლოვი** (84) და **ნიკიტა მელნიკოვი** (96). 66 კილოგრამში პირველად იჭიდავა და კიდეც გაიმარჯვა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ისლამ-ბეკ ალბიევმა**, მძიმე წონაში კი სპორტში დიდი ხნის შემდეგ დაბრუნებულმა ასევე ყველა ტიტულის მფლობელმა **ხასან ბაროევმა** იყოჩაღა. თუმცა იქნებ ამ ტურნირით ბევრი არც არაფერი გარკვეულა, რადგან ნაკრებში ადგილი დაჯავშნული არავის აქვს, ხოლო კოლუაშვილი უცხოეთშიც აპირებს უკლებლივ ყველა პრეტენდენტის გამოცდას - ივლისში ბაქოში გასამართ „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირზე და აგვისტოში ჩასატარებელ პეტლიასინსკის საერთაშორისო ტურნირზე პოლონეთში. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კოლუაშვილმა საინტერესოდ მიმოიხილა ყოველ წონაში შექმნილი მდგომარეობა.

55-ში თუ ნაზირ მანკიევი მწვრთნელმა გაათავისუფლა, მისმა უმცროსმა ძმამ - **ბეკხან მანკიევმა** ტრავმის გამო ვერ იჭიდავა. არადა, კოლუაშვილი მიიჩნევს, რომ ის ნაზირზე უფრო ნიჭიერია და სინანულით შენიშნავს, რომ ამ ნიჭის გამოვლენაში ტრავმების კასკადმა შეუშალა ხელი. მწვრთნელმა ბორგოიაკოვის გამარჯვებას დამსახურებული უწოდა და აღნიშნა, რომ ეს დიდად მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ბოლო წლებში ის მუდმივად შედიოდა ნაკრების უახლოეს რეზერვში, შარშან კი ფინალშიც გავიდა, მაგრამ ნაზირ მანკიევთან დამარცხდა. შარშანვე ის მშობლიურ ხაკასიის რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელეს, მერე კი ჯარში გაიწვიეს და სპორტსაც ნაწილობრივ ჩამოშორდა, თუმცა ახლა ხმაურიანად დაბრუნდა. არადა, სულ რაღაც ორი კვირის წინ ჩემპიონატში მისი მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა! „ვფიქრობ, ამ წონაში განვითარებული მოვლენები კანონზომიერია. ვალერი ბორგოიაკოვი, ივან ბლატცევი და სერგეი პოპრუშკო სხვებისგან გამოირჩეოდნენ და გახდნენ კიდეც მედალოსნები. *„ბორგოიაკოვს ვულოცავ ამ დამსახურებულ გამარჯვებას, ის განსაკუთრებით აქტიური იყო გადამწყვეტ შეხვედრაში ბლატცევთან“* - ასე შეაფასა ამ წონაში შექმნილი ვითარება ნაზირ მანკიევმა.

ალბიევის ზედა წონაში გადანაცვლების შემდეგ 60-ში ფავორიტებად მსოფლიოს პრიზიორი **ვიაჩესლავ ჯასტე** და ევროპის წლევანდელი ბრინჯაოსმედალოსანი **ზაურ კურამაგომედოვი** მიიჩნეოდნენ, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად მანკიევების ბიძაშვილმა რუსტამ ხაჩბაროვმა გაიმარჯვა. თან ნახევარფინალში კურამაგომედოვს მოუგო, ფინალში კი ჯასტე წმინდად დაამარცხა. *„ეს ჩემი პირველი სერიოზული გამარჯვებაა, მამა გახარებული იქნება. აქამდე ყოველთვის კვარცხლბეკის ახლოს ვტრიალებდი - რუსეთის ჩემპიონატზეც და პოდუბნის მემორიალზეც მეხუთე ვიყავი. ახლა გადავწყვიტე, მომეგო ეს ტურნირი. მეტოქეები არ იყვნენ სუსტნი. განსაკუთრებით - ნახევარფინალსა და ფინალში. ისინი ჩემთვის პრინციპული მოწინააღმდეგეები არიან და ღირსეული რევანშიც ავიღე - კურამაგომედოვმა 2008-ში მომიგო, როცა ჯერ კიდევ 55-ში გამოვდიოდი, ჯასტემ კი შარშან რუსეთის ჩემპიონატის ფინალში არ გამიშვა. ამიტომ ფინალურ ახლანდელ ფინალსაც ცოტა შიშით ვიწყებდი, ნაგების მეშინოდა. ჯასტე ძალიან გამოცდილი მეტოქეა, მაგრამ რწმენის დაბრუნებაში დიდად დამეხმარა ჩემი ბიძაშვილი ნაზირ მანკიევი, რომელიც სულ მიმეორებდა, რომ მე ძლიერი ვარ. მეორე ბიძაშვილი - ბეკხანი სპეციალურად ჩემთვის ჩამოვიდა ტურნირზე და მთელი ეს დრო მხარში მედგა. 2006 წელს ინგუშეთიდან ძმების რჩევით გადავედი სავარჯიშოდ კრასნოიარსკში. როცა ნაზირი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ეს ჩემთვისაც დიდი სტიმული იყო - მივხვდი, რომ შეუძლებელი არაფერია და ამის გაკეთება მეც შემეძლო“* - განაცხადა ხაჩბაროვმა. კოლუაშვილმა მისი დადებითი თვისებები აღნიშნა: *„მის გამარჯვებას მთლად მოულოდნელსაც ვერ ვუწოდებ, რადგან ყოველთვის შედიოდა სარეზერვოებში. ამ ჩემპიონატში მან გვიჩვენა არა მარტო ხარისხიანი ჭიდაობა, არამედ მებრძოლი ხასიათი და სპორტული ჟინი. თუმცა მას არ გააჩნია საერთაშორისო ტურნირების გამოცდილება და ამიტომ აუცილებლად გამოვცდით უცხოეთში. შანსს ჯასტესა და კურამაგომედოვსაც მივცემთ - მათ ისევ რჩებათ მსოფლიოს პირველობაზე მოხვედრის იმედი“.*

ეროვნებით ჩეჩენმა ალბიევმა, რომელიც წლებია, ინგუშეთში ემზადება, წარმატებით ჩააბარა მორიგი გამოცდა 66-ში - თვის დასაწყისში დორტმუნდის ტურნირიც მოიგო. კოლუაშვილი მიიჩნევს, რომ ახლა ამ წონაში ორი ისეთი დონის ფალავანი ჰყავს, რომლებსაც ყველანაირი ამოცანის წარმატებით გადაჭრა შეუძლიათ - ალბიევი და ვაჩაძე. ახლა მისი უმთავრესი ამოცანა ამათ შორის უკეთესის ამორჩევაა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანად. თვით ალბიევი მიიჩნევს, რომ ახალ წონაში გადასვლის პერიოდი დაამთავრა და 60-ში აღარ დაბრუნდება: *„ვფიქრობ, 66-ში გადასვლის პერიოდი ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის ბოლოს დაიწყო, როცა მივხვდი, რომ წონის დაკლება თანდათან სულ უფრო მიძნელდებოდა. ალალად ვამბობ, ახლა არ მაინტერესებს, რატომ არ უნდა იჭიდაოს მოსკოვში მსოფლიოს პირველობაზე ვაჩაძემ - ჩემთვის მთავარია, ვიმუშაო და გავიმარჯვო, როგორც ეს გავაკეთე რუსეთის ჩემპიონატში. მიმაჩნია, რომ მსოფლიოს პირველობამდე ტურნირი აღარ მჭირდება, მაგრამ თუ მწვრთნელები გადაწყვეტენ ჩემს შემოწმებას, ნებისმიერ წუთს მზად ვარ ამისთვის“.*

ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ვარტარეს სამურგაშევის** გარდა, 74-ში რუსებს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ და შარშან ისიც საშინლად დაუშავდათ - ყბის ძვალი გაიტეხა და გონებაც კი დაკარგა. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა ძალზე ბევრი გაუცდა, ახლა კი დაბრუნდა და ფინალშიც გავიდა, სადაც ორ სეტში დამარცხდა შარაფეტდინოვთან. ის თავისი გამოსვლით, ჭიდაობის ხარისხით კმაყოფილია, მაგრამ არა შედეგით, თუმცა დარწმუნებულია, მსოფლიოს პირველობაზე მოხვედრის შანსი ისევ მიეცემა და სულ მალე რომელიმე საერთაშორისო ტურნირშიც გამოვა. ვეტერანმა ხაზი იმასაც გაუსვა, რომ პირველიდან ბოლო შეხვედრამდე ყველა ორთაბრძოლა უაღრესად დატვირთული იყო და ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონია. მას რომ მსოფლიოზე მოხვედრის შანსი ისევ მიეცემა, ეს კოლუაშვილმაც დაადასტურა და დასძინა, რომ სამურგაშევი ინდივიდუალურად იმუშავებს, შარაფეტდინოვზე კი თქვა, მას კიდევ ერთხელ შევამოწმებ უცხოეთშიო. თან კმაყოფილმა დაამატა, რომ ის საზღვარგარეთ კარგად ჭიდაობს - ნოემბერში ფინეთში მოიგო საერთაშორისო ტურნირი, მარტში კი უნგრეთში „ოქროს დიდ პრიზზე“ გაიმარჯვა.

84-ზე მსჯელობისას კოლუაშვილმა ლამის პირდაპირ განაცხადა, რომ ისევ მიშინის იმედად რჩება. ყოველ შემთხვევაში, ღიად განაცხადა, რომ კონკურენტები მას კლასით ბევრად ჩამორჩებიან და როცა მიშინი ჭიდაობს, აუცილებლად იგებს.

96-ში სრულიად ახალგაზრდა მელნიკოვმა გაიმარჯვა. ის ქალაქ შახტიდანაა, თუმცა ორი წელიწადია, კრასნოიარსკში ვარჯიშობს ხუშტოვის გვერდით და ორივეს ერთი მწვრთნელი - **მიხეილ გამზინოვი** ამზადებს. მისი გადაბირება თურმე თავად ხუშტოვის იდეა ყოფილა - ადრე თუ გვიან სპორტიდან წავალ, ამ დარბაზში კი ჩემი ღირსეული შემცვლელი არ ჩანსო. აღმზრდელმაც დაუჯერა და გადაიბირა შეგირდი, რომელმაც სკოლაც წარჩინებით დაამთავრა და ახლა უნივერსიტეტშიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა. მეგობრები და ერთმანეთის სპარინგ-პარტნიორები ტურნირზე ერთმანეთს ერთადერთხელ შეხვედრიან და, ცხადია, ხუშტოვმა მოიგო. ისინი მუდმივად ერთად ვარჯიშობენ, რაც არა მარტო ხუშტოვს, მელნიკოვსაც წაადგა — ფინალში მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი **ვასილ ტეპლოუხოვი** დაამარცხა, პოდუბნის წლევანდელი ტურნირის ჩემპიონი **რუსტამ ტოტროვი** კი საერთოდ უმედლოდ დარჩა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა ბაროევმა თავის გამარჯვებას საინტერესო კომენტარი გაუკეთა - ამ ჩემპიონატისთვის მთებში ვემზადებოდი, სადაც სუფთა ჰაერი და გემრიელი რძეაო. მას ხელს აძლევს არა მარტო შედეგი, არამედ - ჭიდაობის ხარისხიც. განსაკუთრებით იმხელა პაუზის ფონზე. ის დარწმუნებულია, რომ თუ მომავალშიც ასე ივარჯიშებს, წარმატებებსაც მიაღწევს, მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ ამ წონაში რეზერვი არ ჩანს, ახალი სახეები არ გამოჩენილან. შეგირდის ჭიდაობით კოლუაშვილიც კმაყოფილია და მიესალმება მის წარმატებულ დაბრუნებას, რეზერვთან დაკავშირებით კი მანაც თითქმის იგივე გაიმეორა, რაც ბაროევმა თქვა და გულისტკივილი გამოხატა იმის გამო, რომ მთელი ორი წელიწადია, ამ წონაში ახალი არავინ უხილავს.

ირაკლი თავაძე

მშვილდოსნობა — ევროპის თასი

# ეჩმიაძინში მშვილდებს მოზიდავენ

დღეს სომხურ ეჩმიაძინში მშვილდოსანთა ევროპის „დიდი პრიზის“ რიგით მეორე ტურნირი იწყება, რომელშიც საქართველოდან ექვსი სპორტსმენი გამოვა. ქალთა შორის ჩვენი გუნდი უცვლელი სამეულით იასპარეზებს - **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე**. უფროსი ასაკის ვაჟებში მხოლოდ ერთი მონაწილე გვეყოლება - **დავით ლეკვეიშვილი**, ახალგაზრდა ვაჟებში კი ორი - **დავით ჭელიძე** და **ალექსანდრე აზნაურიძე**, გოგონათა ახალგაზრდულ შეჯიბრებაში ჩვენგან მხოლოდ **ნათია ცინცაძე** ისვრის.

დიდი არც ამ გუნდს ეთქმის, მაგრამ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, მაინც ბლომად ხალხია მასში. ჩვენგან ტურნირებზე ძირითადად ქალთა ნაკრები დადის, რადგან ვაჟთა შედეგები იმდენად დაბალია, მათ წაყვანას უპერსპექტივოდ მიიჩნევენ. თუმცა ბოლო ხანებში ახალგაზრდებში გამოჩნდა რამდენიმე იმედისმომცემი მშვილდოსანი, რომლებსაც სისტემატურად აგზავნიან შეჯიბრებებზე. ამას ისიც დაემატა, რომ ეს ტურნირი მეზობელ სომხეთშია, იქ ჩასვლა კი იმდენად ძვირი არ ჯდება და შედარებით მოზრდილი გუნდის გაგზავნაც ამითაა გამოწვეული.

ეჩმიაძინში გუშინ ოფიციალური ვარჯიშიც გაიმართა და გახსნის ცერემონიალიც, თუმცა შეჯიბრება დღეს დაიწყება - ჩატარდება საკვალიფიკაციო ეტაპი პირად პირველობაში, რომელიც გამოავლენს პლეი ოფის მონაწილეებს როგორც ინდივიდუალურში, ასევე - გუნდურში. ხვალ პლეი ოფის პირველი ნახევრის შეხვედრები გაიმართება პირადში, ანუ გამოვლინდებიან მედლებისთვის მებრძოლი წყვილები. 25 ივნისი გუნდურ პირველობას დაეთმობა, ტურნირი კი 26-ში გამართული ფინალური შეხვედრებით დამთავრდება.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ელვინ ჯენტრი: სანამ ვიმუშავებ, კოკოშკოვისთვის ადგილი ყოველთვის მექნება

წლევანდელი ზაფხული საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვისთვის** საინტერესოდ დაიწყო. ჯერ აშშ-ის საიმიგრაციო სამსახურმა ამერიკის მოქალაქეობა მიანიჭა, შემდეგ „ფინიქს სანსში" მწვრთნელად **ელვინ ჯენტრი** დარჩა და გაირკვა, რომ მომავალ სეზონში კოკოშკოვი კვლავ „ფინიქსის" სამწვრთნელო შტაბში იმუშავებს...

არიზონულმა გაზეთმა „აზ სენტრალმა" ამ მოვლენებთან დაკავშირებით ერთი სტატია საქართველოს ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს მიუძღვნა. ვფიქრობთ, იგი ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს.

*„ფინიქსელთა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. სპეციალურად ამ მოვლენასთან დაკავშირებით „სანსის" საშინაო დარბაზში, „ეალაინს არენაზე" კოკოშკოვის ახლობლები შეიკრიბნენ. ფიცის მიღების შემდეგ მას ოფიციალური საბუთი გადაეცა.*

*- სამშობლოს მოწყვეტილი ვარ და უცხო ქვეყანაში ვმუშაობ. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ შესაძლებლობების გამოსავლენად მეტი შანსი მაქვს. ამიტომაც ვაფასებ ამერიკას და მოხარული ვარ, რომ ამ ქვეყნის მოქალაქე გავხდი, - განაცხადა იგორ კოკოშკოვმა.*

*იგი ბელგრადში დაიბადა. მამამისი, სტეფანი ცნობილი ფეხბურთელი იყო, თუმცა იგორი თავიდანვე კალათბურთისკენ გადაიხარა. იგი სამშობლოში ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა და 19 წლისამ პირველი პროფესიული კონტრაქტიც გააფორმა, თუმცა კარიერის ნაადრევად დასრულებამ მოუწია - ავტოავარიაში მოჰყვა.*

*- მძღოლის შეცდომის გამო მთელი ჩემი ცხოვრება შეიცვალა, - იხსენებს 38 წლის კოკოშკოვი, - მუხლის ტრავმასთან ერთად თავის სერიოზული დაზიანება მივიღე და 9 თვე საავადმყოფოში ვიყავი. მადლობელი ვარ, რომ გადავრჩი...*

*რადგან კალათბურთელი ვერ გამოვიდა, 24 წლისამ მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი, „ბელგრადს" გაუძღვა და იუგოსლავიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა. ეს ის დრო იყო, როცა იუგოსლავიის ქვეყნებს შორის საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. კოკოშკოვი კი კალათბურთზე ფიქრობდა და სერბეთის მწვრთნელთა ასოციაციამ სტაჟირებაზე ამერიკაში გააგზავნა. იგორი აშშ-ში მოგვიანებით კიდევ დაბრუნდა და „მისურის" მწვრთნელის ქუინ სნაიდერისგან საქმიანი წინადადება მიიღო. 1999 წლიდან იგი პირველი არაამერიკელი სპეციალისტი შეიქნა კოლეჯების უმაღლეს ლიგაში.*

*საქმისადმი მიდგომისა და ცოდნის გათვალისწინებით კოკოშკოვი „ლოს ანჯელეს კლიპერსის" მთავარმა მწვრთნელმა ელვინ ჯენტრიმ თანაშემწედ მიიწვია.*

*ჯენტრი ამჟამად „ფინიქსის" თავკაცია და ახლახან გუნდთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. იგორისთვის ამერიკის მოქალაქის პასპორტის გადაცემის ცერემონიალს ელვინ ჯენტრიც ესწრებოდა. აი, რა თქვა მან ასისტენტზე:*

*- ჩემი აზრით, იგორს ძალიან ნათელი გონება აქვს, რაც თამაშის წარმართვისას კარგად ჩანს. იგი შესანიშნავი მასწავლებელია - გორან დრაგიჩის საოცარი პროგრესი სწორედ კოკოშკოვის დამსახურებაა. ვიდრე სადმე ვიმუშავებ, სამწვრთნელო შტაბში იგორისთვის ერთი თავისუფალი ადგილი ყოველთვის მექნება.*

*კოკოშკოვი თავის მომავალ მეუღლე პატრიციას დეტროიტში შეხვდა და ერთი წლის წინათ მასთან ხელიც მოაწერა.*

*- მიჩიგანის შტატიდან ორი ბეჭედი შემრჩა - ერთი NBA-ს ჩემპიონობის, მეორე საქორწინო, - ამბობს სერბი სპეციალისტი.*

*მოქალაქეობის მიღების ოფიციალური ცერემონიალის ბოლოს ამერიკის დროშით შეიარაღებულმა იგორ კოკოშკოვმა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიდეომესიჯი მოისმინა და ფიცი დადო:*

*...ყოველთვის დავიცავ ამერიკის კონსტიტუციას და ამ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო მტრების წინააღმდეგ ვიბრძოლებ (საშა ვუიაჩიჩისა და კობი ბრაიანტის წინააღმდეგ?).*

*...სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს სამოქალაქო მიმართულებით პირნათლად შევასრულებ (NBA-ს ტიტულის მოგება ელვინ ჯენტრის ხელმძღვანელობით)."*



როგორც მიხვდით, ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები არიზონელი ჟურნალისტის იუმორისტული ჩანამატია. გასულ სეზონში „ფინიქსი" ნახევარფინალიდან სწორედ კობი ბრაიანტის „ლეიკერსმა" გამოაგდო.

**NBA-ს** ჩემპიონობამდე კოკოშკოვს გაცილებით დიდი საქმე აქვს: საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეა გასაყვანი...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ მიხეილ ბერიშვილთან

# 101-ე ქულის მომტანი...

**2008 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ნაკრებმა სლოვაკეთში ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ჩვენმა კრებულმა შვიდწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გადალახა 100-ქულიანი ბარიერი. ბოლო წამებზე საფინალო ანგარიში მიხეილ ბერიშვილმა სამქულიანით დააფიქსირა - 101:78. ეს მიშას პირველი მატჩი იყო ეროვნულ ნაკრებში... თუმცა, არც მას მერე უთამაშია იქ. ბერიშვილი წლეულს ეცდება, ავსტრიულ შეკრებაზე მწვრთნელს თავი მოაწონოს და 12-კაციან განაცხადში მოხვდეს...**

**იგი შარშან ნაკრებს მიღმა არა მწვრთნელის გადაწყვეტილებით, არამედ ვიზასთან დაკავშირებული პრობლემის გამო აღმოჩნდა.**

- მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა 2009 წელსაც დამიძახა, მაგრამ ნაკრებს ავსტრიაში ვერ გავყევი. ამის მიზეზი სავიზო პრობლემა იყო: 2009 წლის გაზაფხულზე ესპანური „ხუვენტუდის" დუბლებში ვითამაშე. იქ შენგენის სამთვიანი ვიზით ვიყავი წასული. ასეთი წესია: როცა სამი თვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდები, მომდევნო სამი თვის განმავლობაში ამავე ვიზას ვერ მიიღებ. ეს საბუთი ვერ გავაკეთე და საქართველოს ნაკრებს ავსტრიაში ამიტომაც ვერ გავყევი, რაზეც გული ძალიან დამწყდა.

**- 2009-10 წლების სეზონიც ესპანეთში გაატარე. ვიზა ამჯერადაც ხელს ხომ არ შეგიშლის?**

- არა. ამჯერად ვიზა ჩემმა ყოფილმა კლუბმა „არიდანემ" გამიკეთა და შენგენის ვიზის აღება პრობლემა აღარ იქნება. პირველი ივლისისთვის აქტიურად ვემზადები. სწორედ ამ დღეს მივემგზავრებით ავსტრიულ შეკრებაზე.

**- როგორ ფიქრობ, დაიბრუნებ ადგილს თორმეტეულში?**

- შეკრებას 16 კალათბურთელი იწყებს. რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, თუმცა საბოლოო სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნის.

**- ვარჯიში როდის განაახლე?**

- ახლახან დავიწყე. მანამდე ვისვენებდი და მუხლს ვმკურნალობდი.

**- ესპანეთში რამდენიმე მატჩი ტრავმის გამო გამოტოვე?**

- თითქმის ერთი თვე გამიცდა. მუხლი მაწუხებდა და სრულყოფილად ვერ ვვარჯიშობდი. ახლახან გუნდთან წავივარჯიშე, რათა „არიდანეს" უქმებზე ება-ს ლიგის მატჩში დავხმარებოდი. შემდეგ ისევ დავისვენე, რთულ მდგომარეობაში ვიყავი.

**- მუხლი აღარ გაწუხებს?**

- საქართველოში ჩამოსვლისთანავე ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს მივაკითხე, რომელმაც 2008 წელს მუხლზე ოპერაცია გამიკეთა. მან ნემსები დამინიშნა და მალევე ვიგრძენი უკეთესობა. ახლა აღარაფერი მაწუხებს და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**- ახლა „არიდანეს" გამოსვლაზე ვთქვათ...**

- რეგულარული ეტაპი წარმატებით გავიარეთ და პლეი ოფში გავედით, სადაც პირველივე ეტაპზე „ურბანასთან" დავმარცხდით. სერიის პირველი მატჩი სტუმრად ცუდად ჩავატარეთ, 17 ქულის სხვაობით დავთმეთ. განმეორებით შეხვედრაში გვქონდა ამ სხვაობის აღმოფხვრის შანსი, მაგრამ საფინალო სირენის მოახლოებასთან ერთად ავჩქარდით, სამქულიანების სროლას მოვუხშირეთ და საბოლოოდ მიზანს ვერ მივაღწიეთ.

**- ბოლო შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულე.**

- 13 ქულა და 12 მოხსნა მომიგროვდა...

**- როგორ ფიქრობ, „არიდანეს" უკეთესი შედეგის ჩვენების შანსი ჰქონდა?**

- დიახ. ჩემთან ერთად ტრავმირებული იყო სასტარტო გამთამაშებელი. ძლიერი მოთამაშე იყო. ზოგჯერ პლეიმეიქერის ფუნქციების შესრულება მე მიწევდა... ტრავმები რომ არა, გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევდით.

**- „არიდანეში" დარჩენას აღარ აპირებ?**

- გუნდის მწვრთნელებთან კონტაქტი ახლაც მაქვს. მათ ჩემი დაბრუნება სურთ, მაგრამ 2010-11 წლების სეზონში სად ვითამაშებ, ჯერ არ ვიცი. ამ საკითხზე ჩემი მენეჯერი მუშაობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

რენას და დათოს თასი

# ისევ ისინი და მოქმედება მეორე

**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ შეჯიბრების მონაწილეებმა „დინამოზე" გადაინაცვლეს და ახლა „რენას და დათოს თასისთვის" ბრძოლაში ჩაებნენ. გაუწყებთ პირველი წრის შეხვედრათა ანგარიშებს:**

14 წლიანები. ვაჟები. შოთა მეფარიძე (საქართველო)-გიორგი მაღლაკელიძე (ბელარუსი) 6:1, 6:0, დემეტრე მაღრაძე (საქართველო)-ერეკლე კლიმიაშვილი (საქართველო) 6:2, 6:1, სურენ ბაღდასარიანი (სომხეთი)-გიორგი ბუზალაძე (საქართველო) 6:3, 6:2, მაქსიმ ბულატი (მოლდოვა)-არშაკ ხაზარიანი (სომხეთი) 6:3, 6:2, ალექსანდრე ბაკში (საქართველო)-გიორგი კაკულია (საქრთველო) 6:0, 6:1, მიქაელ ხაჩატრიანი (სომხეთი)-ირაკლი მეტრეველი (საქართველო) 6:3, 6:2, სანდრო სვანიძე (საქართველო)-ეგე ბოიასი (თურქეთი) 6:0, 6:1, მერთ ზინგირლი (თურქეთი)-რაფაელ რაფაელიანი (სომხეთი) 6:3, 6:4, ანტონ ბანდარუკი (ბელარუსი)-რატი ძიძიგური (საქართველო) 6:0, 6:2, დიმიტრის სტავროპულოსი (საბერძნეთი)-ბილფინგერ-სანჩეს ლინუსი (გერმანია) 6:1, 6:7, 6:3, დავიდ მურადიანი (სომხეთი)-ირაკლი მესტვირიშვილი (საქართველო) 6:3, 6:4, დავიდ ფან რიზენი (გერმანია)-ლევან ფაშიაშვილი (საქართველო) 6:3, 6:0, ბორის პოკოტილოვი (რუსეთი)-საბა ხუციშვილი (საქართველო) 6:0, 6:3, ლუკა კოხრეიძე (საქართველო)-გიორგი ფოცხვერია (საქართველო) 7:5, 6:0, სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი)-დემურ დავითაძე (საქართველო) 4:6, 6:1, 7:5, მიქაელ ავეტისიანი (სომხეთი)-დენის ოგელქანი (თურქეთი) 6:0, 6:2.

გოგონები. ეკატერინე ლასარეიშვილი (საქართველო)-ანა ყიფიანი (რუსეთი) 6:3, 7:6, თამარ კუტუბიძე (საქართველო)-გუარ მინა (თურქეთი) 6:0, 4:6, 6:3, არევიკ დუმანიანი (სომხეთი)-მარიამ ბაიათიანი (სომხეთი) 6:0, 6:1, კარინა გურგენიანი (რუსეთი)-მარიამ კაციტაძე (საქართველო) 6:3, 7:5, ოლგა შარიპოვა (რუსეთი)-ქრისტინე გეგეშიძე (საქართველო) 6:4, 6:3, მარიამ კიმბერიშვილი (საქართველო)-მედეა პეტრიაშვილი (საქართველო) 6:4, 6:3, მარგალიტა ჭიჭაშვილი (საქართველო)-სედა ვარდანიანი (სომხეთი) 6:2, 6:1, მარიამ დგებუაძე (საქართველო)-ანა დობორჯგინიძე (საქართველო) 6:0, 6:3, მუგე ტოფსელი (თურქეთი)-ჯესიკა რეგერი (გერმანია) 6:2, 5:7, 6:2, თინათინ სიხარულიძე (საქართველო)-მარიამ ბოლქვაძე (საქართველო) 6:2, 6:2, ანა ახალკაცი (საქართველო)-ელენე ყარანგროზიშვილი (საქართველო) 6:4, 3:6, 7:5, ლიზა ნადიბაიძე (საქართველო)-კატერინა სტოიანოვა (უკრაინა) 6:4, 6:4, ეგე ტომი (თურქეთი)-ანა მუჯირი (საქართველო) 6:0, 6:0, მარია ბოცა (საბერძნეთი)-მარიამ მითაიშვილი (საქართველო) 6:0, 6:3, ანა ილიკიანი (რუსეთი)-ნანო ჯანელიძე (საქართველო) 3:6, 6:2, 6:3, იანა მინასიანი (მოლდოვა)-ეკატერინე ბალავაძე (საქართველო) 6:0, 6:1.

16-წლიანები. ვაჟები. პიოტრ ლომაცკი (პოლონეთი)-ნიკოლოზ ყაჭეიშვილი (საქართველო) 6:3, 6:0, დენის ილდიზი (რუსეთი)-ორხან ბოიასი (თურქეთი) 6:4, 6:1, ფილიპ ალექსანიანი (რუსეთი)-გიორგი შუხოშვილი (საქართველო) 6:1, 6:0, ალექსანდრე დავლიანიძე (საქართველო)-ნიკო მურადაშვილი (რუსეთი) 7:5, 6:4, ნიკა ხუბულური (საქართველო)-ორხან რუსტამოვი (აზერბაიჯანი) 6:0, 6:0, გიორგი ჯავახიშვილი (საქართველო)-პავლე ვაშაკიძე (საქართველო) 6:4, 6:4, კონსტანტინ სტრიჟკოვი (რუსეთი)-გიორგი კვერნაძე (საქართველო) 6:2, 6:0, ანდრეი რეჩკინი (რუსეთი)-კარენ სარქისიანი (საქართველო) 6:0, 6:0, ანტონ კოზლოვი (რუსეთი)-ალიაქსანდრ პრუდნიკაუ (ბელარუსი) 6:3, 6:3, ომარ მიქელთაძე (საქართველო)-სამირ ჯაფაროვი (აზერბაიჯანი) 6:1, 6:0, ლუკა ფილფანი (საქართველო)-ალექსანდრე ანდღულაძე (საქართველო) 6:1, 6:0, პასკალ კლოსი (პოლონეთი)-გიორგი ლოქაპიშვილი (საქართველო) 6:3, 6:4, ანტონ ჰერასიმჩუკი (ბელარუსი)-ვაჟა ბენიძე (საქართველო) 6:2, 6:2, ნიკა დოლიძე (საქართველო)-ანტონ რედვანოვი (უკრაინა) 6:2, 6:3.

გოგონები. ალინა ზუბკოვა (ბელარუსი)-კლეოპატრა ქარუმაშვილი (საქართველო) 6:4, 6:1, ნაზ კარაგოზი (თურქეთი)-ლანა ფოსტიაშვილი (საქართველო) 6:3, 6:3, ბუსრა კაუსენი (თურქეთი)-სელენა ჰეფერი (თურქეთი) 6:0, 6:3, მარიამ სხირტლაძე (საქართველო)-ელენე კოკაშვილი (საქართველო) 6:7, 6:3, 6:4, ირინე ყარანგოზიშვილი (საქართველო)-მარიამ კიკნაძე (საქართველო) 6:1, 6:4, სქაი ჰოფერი (ავსტრალია)-მაშა კონიშნავა (ბელარუსი) 6:4, 6:4, გოზდემ აკისენი (თურქეთი)-ირემ ბუგდაისი (თურქეთი)) 6:2, 6:1, სუდე იუგე (თურქეთი)-ესთერ სარქისიანი (საქართველო) 6:2, 6:3, მარიამ დოლაშვილი (უკრაინა)-მარიამ სამუკაშვილი (საქართველო) 5:1 (თამაში შეწყდა), დიანა ტოკარი (უკრაინა)-ალინა აგეიჩიკი (ბელარუსი) 3:6, 6:1, 6:1, მარიამ გოგელაშვილი (საქართველო)-აიდან ალიზადა (აზერბაიჯანი) 6:3, 6:0, ანი პოპიაშვილი (საქართველო)-ექე მერსინი (თურქეთი) 6:1, 3:6, 6:3.

კოკისპირული წვიმების გამო გუშინ რამდენიმე შეხვედრა გადაიდო.

**ვაჟა დანელია**

# ჩახნაშვილი, შაფათავა და ქვაცაბაია დარჩნენ



შვედეთის ქალაქ კრისტინეჰამნში დაიწყო 25-ათასიანი ტურნირი, რომლის მოქმედი ჩემპიონი ჯერ კიდევ **ანა ტატიშვილია** (146). ანა წლეულს ტურნირზე არ გამოდის, მას ორ კვირაში (როცა მორიგი რეიტინგი გამოქვეყნდება) დაახლოებით 20-ადგილიანი უკანდახევა ელის. კრისტინეჰამნში საქართველოს მეორე ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (160) პირველ ნომრად განთესეს. საოცარია, მაგრამ 19 წლის კალაშნიკოვამ „უაილდ ქარდით" მიწვეულ ამერიკელ **ჟაკლინ კეიკოსთან** (444) წააგო, ჩოგბურთელთან, რომელსაც კლასიფიკაციაში ლამის 300 ადგილით უსწრებს - 7:6 (5), 5:7, 3:6.

საფრანგეთის ქალაქ პერიგოში 25-ათასიანი ტურნირის მონაწილე სამი ქართველიდან ორი ბრძოლას აგრძელებს. მე-4 ნომრად განთესილმა **მაკა ჩახნაშვილმა** (201) ფრანგ **ელიქსენ ლეშემიას** (510) მოუგო - 6:4, 6:2. **სოფიო შაფათავამ** (302) მასპინძელივე **მორგან პონსი** (804) დაამარცხა - 4:6, 6:3, 7:6 (5), ხოლო **ანა ჯიქიამ** (1042) მაროკოელ **ფატიმა ელ ალამისთან** (599) წააგო - 3:6, 3:6.

პორტუგალიის ქალაქ ალკობაკაში (10 ათასი დოლარი) პირველი შეხვედრა იოლად მოიგო მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ**, მან 6:2, 6:0 აჯობა მასპინძელ **ბარბარა ლუზს**. მერვედფინალში ქართველის მეტოქე ესპანელი **ისაბელ რაპისარდა-კალვოა** (770).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს ყოფილ უფროსს პაატა ჩხეიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდი: 23.06; დაკრძალვა 24.06, 14 სთ-ზე. მისამართი: ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მიკ.რ-ნი, IX კორპ.*

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებს პაატა ჩხეიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესტები

# გამარჯვებულები და დამარცხებულები

გასულ უქმეებზე თითქმის ყველა კონტინენტზე უმაღლესი კლასის რაგბობა გაჩაღდა. სპორტის არსი ასეთია, ერთნი წარმატებას აღწევენ და გამარჯვებას ზეიმობენ, მეორენი კი, ვინც მარცხი განიცადა განზილებულნი შეჰყურებენ გახარებულ მეტოქეს. ამჯერადაც, ივნისის ტესტების მეორე უქმეებზე, ცხადია, გამარჯვებულებიც და დამარცხებულებიც გვყავს. მივყვეთ თანამიმდევრობით.

**გამარჯვებულები**

## 1. ბენ იუნგზი

ინგლისის ნაკრებში ეს უნიჭიერესი ყმაწვილი საჭირო დროს, საჭირო ადგილზე გამოჩნდა. იუნგზმა უზარმაზარი პროგრესი განიცადა და თავისი პოტენციალი მიმდინარე სეზონის ბოლოსკენ სრულად წარმოაჩინა. „პომებმა" სტუმრად, სიდნეიში ავსტრალიის ნაკრების დამარცხება რომ შეძლეს, ამაში ბენს ლომის წილი მიუძღვის.

ახლა მასზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ავანსის გამართლებას. ბევრი უნდა იშრომოს, რათა მომავალ სეზონში უკვე მოპოვებული ავტორიტეტი შეინარჩუნოს. მანამდე კი, ის ახალგაზრდა კაცია, რომლის ნიჭიერებაზეც ყველა ლაპარაკობს.

## 2. მარტინ ჯონსონი

მას დიდი ხანია, უჩიჩინებენ, შეცვალოს გუნდის თამაშის სტილი, ვარჯიშების პრინციპი. მაგრამ ჯონსონი, ისევე, როგორც მორაგბეობისას, ფოლადივით უდრეკი მწვრთნელი გამოდგა. ის არასდროს ღალატობს პრინციპს და ყველაფერი ილონა, რომ ინგლისის ნაკრებს „ვოლაბები" სიდნეიში დაემარცხებინა. მისთვის ეს დაძაბული კვირა ბრწყინვალე უქმეებით დასრულდა.

## 3. ნამიბია

ალბათ გახსოვთ, რომ ნამიბიის ნაკრები ბოლო მსოფლიო თასზე ყველაზე სუსტი გუნდი იყო, რომელიც თამაშში საშუალოდ 7,5 ქულას აგროვებდა. ალბათ, იცით, რომ ნამიბია სამხრეთი აფრიკის ჩრდილოეთით მდებარეობს. ეს ქვეყანა IRB-ს წევრი 1990 წელს გახდა და სულ რაღაც შვიდი წლის წინ ავსტრალიის ნაკრებმა 142:0 მოუგო. აი, ამ ქვეყნის ნაკრებმა ახლახან ბუქარესტში რუმინეთის, საქართველოსა და შოტლანდიის A ნაკრებებს სძლია და IRB-ს ერთა თასის მფლობელი გახდა.

## 4. ნიკ მალეტი

მან სამხრეთ აფრიკასთან თამაშის წინ დაიქადა, თუ „სკუადრა აძურა" 20 ქულაზე ნაკლებს წააგებს, თავს გადაიპარსავდა. იტალიის ნაკრებმა 16 ქულით - 13:29 წააგო. ნიკ მალეტს ჰკითხეს, შეასრულებდა თუ არა დანაპირებს, რაზეც უპასუხა -" აბა, რა, სიტყვა სიტყვაა". ეს პრესტიჟის საქმეა. მოუთმენლად ველით თავგადაპარსული ნიკის გამოჩენას.

## 5. ენდი რობინსონი

შოტლანდიური რევოლუცია თუ ევოლუცია სწრაფად არ მიმდინარეობს. ენდი რობინსონი და კომპანია ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხილად მიიწევენ წინ. ზედიზედ ორი გამარჯვება არგენტინაში გმირობის ტოლფასია. რობინსონი ვერაფერს გახდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელობისას, მაგრამ „სკოტებთან" ერთად მან უკვე მოახერხა ისეთი გამარჯვებების მოპოვება, რითაც შეუძლია იამაყოს.

## 6. დენ კარტერი

ის დაბრუნდა. დენმა უმაღლესი კლასის რაგბი ითამაშა უელსის ნაკრებთან. ის თითქმის სრუყოფილებამდე დაოსტატდა, თამაშს უნარიანად აკონტროლებდა. მალე სამი ერის გათამაშება იწყება, სადაც კარტერი, ალბათ, თავისი ბრწყინვალებით მოგვევლინება.

## 7. მეთ გიტო

ავსტრალიის ნაკრების ინგლისთან მატჩში მოპოვებული ყველა, ოცივე ქულა მის ანგარიშზეა. ცხარე დებატებია გამართული, მეთ გიტომ შუამარბად უნდა ითამაშოს თუ მგეზავად. პასუხი ძალიან მარტივია - სადაც უნდა, იქ ითამაშოს, ოღონდ ითამაშოს.

**დამარცხებულები**

## 1. ბუჩ ჯეიმზი

მისი სუსტი თამაში შეიძლება, სათამაშო პრაქტიკის უქონლობით აიხსნას. მაგრამ რა ვუყოთ სრულიად უაზროდ „აკიდებულ" ყვითელ ბარათს? ბუჩ ჯეიმზმა თუ ასე გააგრძელა, დიდი შანსია, მომავალ მსოფლიო თასზე ვერ მოხვდეს.

## 2. უელსის ნაკრები

უელსელები ახალ ზელანდიასთან მატჩში 25 წუთის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ შეტევაში ვერაფერი სახეირო გვაჩვენეს. მერე ორი უხეში შეცდომა დაუშვეს, რამაც „ოლ ბლექსს" საშუალება მისცა, ორი ლელო გაეტანა და მეტოქე საბოლოოდ გაეტეხა. ერთი სიტყვით, ამაზე უფრო ტურისტული გუნდი ივნისის ტესტებზე არ არის.

## 3. ქარისბრუკი

დანიდინის „ქარისბრუკის" სტადიონი დიდ რაგბის ემშვიდობება. ეს სტადიონი ახალზელანდიური რაგბის მექაა, იქაური რაგბის კლასიკაა. ვფიქრობთ, დანიდინი და ახალზელანდიური რაგბი ბევრს კარგავენ მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტადიონი, რომელიც 2011 წლის მსოფლიო თასისთვის ააშენეს, ბევრად უკეთესია.

## 4. ვაითბანკის რაგბის თემი

„ვაითბანკის" სტადიონი სამხრეთ აფრიკისა და იტალიის ნაკრებების ტესტისთვის ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობის გამო შეარჩიეს. არჩევანმა არ გაამართლა. პატარა სტადიონზე, რომელიც ბოლომდე არ იყო შევსებული, საკმაოდ უსახური რაგბობა ვიხილეთ. ვფიქრობთ, სანამ არჩევანს გააკეთებდა, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს უფრო მეტი უნდა ეფიქრა.

## 5. ავსტრალიის ნაკრების შერკინება

მათ შანსი ჰქონდათ, საკუთარი ქომაგებისთვის დაემტკიცებინათ, რომ „ვოლაბების" შერკინების დაძაბუნება მხოლოდ მითია. როგორც აღმოჩნდა, ეს ასე არ არის და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „მწვანე კონტინენტის" ნაკრებს პირველ ხაზში სერიოზული პრობლემები აქვს, კრიზისის დაძლევის კი არანაირი ნიშანწყალი არ არსებობს.

## 6. დენ კარტერი

დენ კარტერი დამარცხებულებში? არასერიოზულია. მაგრამ არა, როგორც აღმოჩნდა, კარტერის კუთვნილი ტანსაცმლის სამი მაღაზიიდან ორს დახურვა ემუქრება. როგორც ჩანს, მსოფლიოს ყველაზე შემოქმედებით მორაგბესაც კი არ ძალუძს, გაასაღოს პროდუქცია მიმდინარე ეკონომიკური კრიზისისას.

## 7. მეთ გიტო

აქაც გიტო? დაუჯერებელია, მან ხომ ბრწყინვალედ ითამაშა. მაგრამ, შეუმჩნეველი არავის დარჩენია, რომ გიტომ მაშინ დაარტყა არაზუსტად, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა გუნდს. რას იზამ, ხანდახან **ტაიგერ ვუდსის** დარტყმებზეც ისმის განზილებული შეძახილები.



ნამიბიის ნაკრები

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი



# ახალზელანდიელებმა ტიტული შეინარჩუნეს

არგენტინაში დასრულებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ტიტული შეინარჩუნა: „ოლ ბლექსმა" ფინალში მეზობელი და მუდმივი მეტოქე, ავსტრალიის ნაკრები გაანადგურა - 62:17.

ახალზელანდიელებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს, აქედან სამი გარემარბ **ტელუსა ვეიანუს** ანგარიშზეა. კვლავ გამოირჩა ფეხჩუბინობით მგეზავი **ტაილერ ბლეიენდალი**, რომელმაც 6 გარდასახვა და 5 საჯარიმო გაიტანა (27 ქულა). მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კი ახალი ზელანდიის ნაკრების კიდევ ერთი გარემარბი **ჯულიან სავეა** დაასახელეს.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა მატჩი მესამე ადგილისთვის - სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა უძნელეს ბრძოლაში ინგლისის გუნდს მოუგო - 27:22.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს მე-11 ადგილისთვის მატჩი იწვევდა. სამოას ნაკრებმა ტონგელებთან 3:23 წააგო და ელიტას გამოეთხოვა. მის ადგილს მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე „ჩელენჯ ტროფის" გათამაშების წლევანდელი გამარჯვებული იტალიის ნაკრები დაიკავებს.

სამოელებს კი, ადვილი შესაძლებელია, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მოუწიოთ თამაშმა. საამისოდ „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" უნდა მოიგონ წლეულს, ოქტომბერში ბელგიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატი, რომელიც „ჩელენჯ ტროფის" შესარჩევი ტურნირიცაა.

XI ადგილისთვის: სამოა-ტონგა 3:23

**IX ადგილისთვის: ირლანდია-შოტლანდია 53:23**

VII ადგილისთვის: უელსი-ფიჯი 39:15

V ადგილისთვის: არგენტინა-საფრანგეთი 23:37

III ადგილისთვის: ინგლისი-სამხრეთი აფრიკა 22:27

ფინალი: ახ. ზელანდია-ავსტრალია 62:17

სატურნირო მდგომარეობა: 1. ახალი ზელანდია, 2. ავსტრალია, 3. სამხრეთ აფრიკა, 4. ინგლისი, 5. საფრანგეთი, 6 არგენტინა, 7. უელსი, 8. ფიჯი, 9. ირლანდია, 10. შოტლანდია, 11. ტონგა, 12. სამოა.

ტესტები

# არგენტინას გამარჯვება მოენატრა

ახლახან შოტლანდიის ნაკრებისგან ორჯერ ნაცემი არგენტინის ეროვნული გუნდი ივნისის ტესტების მესამე მატჩისთვის გაათკეცებული მონდომებით ემზადება. მორიგი მეტოქე საფრანგეთის ნაკრებია, რომელმაც ორი კვირის წინ სამხრეთ აფრიკაში, „ბოკესთან" სამარცხვინოდ წააგო.

ერთი სიტყვით, ორივე გუნდი არასახარბიელო მდგომარეობაშია და ივნისის ტესტების ბოლო მატჩში ქომაგთა წინაშე რეაბილიტაციას შეეცდება. არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** სასაფრანგეთოდ იმავე შემადგენლობას უხმო. კაპიტანი იქნება მგეზავი **ფელიპე კონტეპომი**, რომელმაც შოტლანდიელებთან მატჩში რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვა. „პუმებს" თავიანთი შერკინების იმედი აქვთ.

*„ადრეც ყოფილა, რომ ყველას ეგონა, გუნდს კრიზისი აქვს. ჩვენ ყოველთვის გვყოფნიდა ძალა დაგვემტკიცებინა, რომ ეს ასე არ არის. ამჯერადაც ყველაფერს ვილონებთ, ჩვენი რეალური ძალა ვანახოთ ყველას"* - თქვა არგენტინელთა მეორეხაზელმა **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობემ.**

**არგენტინის ნაკრები**

შერკინება: როდრიგო რონკერო (სტად ფრანსე), მარტინ სკელსო (კლერმონი), ხუან ფიგალო (მონპელიე), მარკოს აიერსა (ლესტერი), ალეხანდრო კამპოსი (მონტობანი), მარიო ლედესმა (კლერმონი), ავგუსტინ კრევი (სენ ლუსი), მანუელ კარისა (ბიარიცი), პატრისიო ალბასეტე (ტულუზი), სანტიაგო გუსმანი (ტუკმანი), მარიანო გალარსა (ლა პლატა), ხენარო ფესია (კორდობა), მიგელ დე აჩავალი (ალუმნი), ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე (ტულონი)

უკანა ხაზი: ავგუსტინ ფიგუეროლა (კასი), ნიკოლას ვერგალო (დაქსი), ფელიპე კონტეპომი (ტულონი), რაფაელ კარბალო (ბორდო), გონსალო ტიესი (ჰარლიქუინზი), ორასიო აგულა (ბრივი), ლუკას ბორხესი (ალბი), ბენიამინ ურდაპილეტა (კაბა), სანტიაგო ფერნანდესი (ინდუ), ლუკას გონსალესი (ლესტერი), მარტინ როდრიგესი (როსარიო), ხუან ლეგუსამონი (სტად ფრანსე).

# ოლ ბლექსს მულიაინა დაუბრუნდა

ახალი ზელანდიის ნაკრები მომავალ უქმეებზე უელსის ნაკრებთან ჰემილტონში მეორე შეხვედრას გამართავს. „ოლ ბლექსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრენ ჰენრიმ** გუნდის ძირითად შემადგენლობაში შვიდი ცვლილება განახორციელა.

ახალზელანდიელებს ტრავმამოშუშებული ფულბეკი **მალილი მულიაინა** დაუბრუნდათ. მან შეცვალა ახალგაზრდა **იზრაელ დაგი,** რომელმაც ტვინის შერყევა მიიღო. გარემარბ **ჯო როკოთოკოს** კი **ზაკ გუიდფორდი** შეცვლის.

ცვლილებებია შერკინებაშიც. ძირითად შემადგენლობაში არ იქნებიან პირველხაზელი ძმები **ბენ** და **ოუენ ფრენქსები**. მეტიც, ბენი განაცხადში საერთოდ არ არის. ერთი სიტყვით, ივნისის ტესტების ბოლო მატჩში ჰენრი თავის გამოჩენის საშუალებას ყველას აძლევს.

**ახალი ზელანდია**

15. მალილი მულიაინა, 14. ქორი ჯეინი, 13. რიჩარდ კაჰუი, 12. ბენსონ სტენლი, 11. ზაკ გუიდფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი

1. ტონი ვუდქოკი, 2. კევინ მეალამუ, 3. ნეემია ტიალატა, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი

16. ელ დე მალმანჩი, 17. ოუენ ფრენქსი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ადამ თომსონი, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. რენე რენგერი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი



# ბატონი მერსედესს უჩივის

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯენსონ ბატონი** „მერსედეს გრან-პრის" (ყოფილი „ბრაუნ გრან-პრი") სასამართლოში უჩივის. „მაკლარენის" პილოტმა თავის ყოფილ საჯინიბოს შეახსენა, რომ გუნდს მისთვის შარშანდელი საჩემპიონო ბოლიდი უნდა ეჩუქებინა.

„ბრაუნ გრან-პრისთან" კონტრაქტის მიხედვით, ბრიტანელ პილოტს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში საკუთრებაში გადაეცემოდა მანქანა - BGP 001.

გაზეთ „დეილი მეილის" ცნობით, შარშან ბატონისთვისა და მისი თანაგუნდელისთვის - **რუბენს ბარიკელოსთვის** ექვსი შასი დამზადდა - თითოს ღირებულება ერთ მილიონ ფუნტს აჭარბებს. მაგრამ ბრიტანელის ჩემპიონობიდან დიდი დრო გავიდა და როგორც ჩანს, არავინ აპირებს კონტრაქტის პუნქტის შესრულებასა და ბატონისთვის მანქანის ჩუქებას.

გასული წლის ნოემბერში „ბრაუნ გრან-პრი" გერმანულმა კონცერნმა „მერსედეს-ბენცმა" შეიძინა, რომელმაც გადაიბარა ყველანაირი საკონტრაქტო ვალდებულება. აპრილში ბატონმა ლონდონის სასამართლოში სარჩელი შეიტანა „მერსედეს გრან-პრის" წინააღმდეგ და იქ შარშანდელი კონტრაქტი წარმოადგინა, რომლის ერთ-ერთ პუნქტში სიტყვასიტყვით წერია: *„იმ შემთხვევაში, თუ პილოტი მოიგებს ჩემპიონატს, კომპანია მას მფლობელობაში გადასცემს იმ მოდელის ერთ-ერთ შასის (მანქანას), რომლითაც პილოტი საჩემპიონო სეზონში გამოდიოდა".*

ბატონის სარჩელს თან ერთვის „მერსედესის" წერილი, რომელიც ჯენსონმა იანვარში ელექტროფოსტით მიიღო: *„ჩვენ არ გაგვაჩნია 2009 წლის სათადარიგო შასი, რადგან თანხების დაზოგვის მიზნით, ის მინიმალური რაოდენობით იქნა დამზადებული.*

*ასე რომ, იმ მოდელის შასი, რომლითაც ჯენსონი 2009 წელს გამოდიოდა, კონტრაქტის პირობების თანახმად, შესაძლოა, ივლისში დამზადდეს, როცა ბაზა იქნება დაკეტილი, რადგან ახლა 2010 წლის მანქანის მოდერნიზაციით ვართ დაკავებული".*

მაგრამ ბატონმა განაცხადა, რომ ასლს არ ექნება ის „განსაკუთრებული და უნიკალური" ღირებულება, როგორიც ორიგინალს აქვს, რომლითაც მან ტიტული მოიგო.

თუმცა იმავე „დეილი მეილმა" გუშინ კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელა: ხანგრძლივი და მძიმე მოლაპარაკებების შემდეგ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. ბატონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი მაინც მიიღებს „მერსედესისგან" შარშანდელ BGP 001-ს: *„ჩვენ შეთანხმებას მივაღწიეთ, ამიტომაც სასამართლო გარჩევა შეწყვეტილია".*

■ ■ ■

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ „მაკლარენის" ყოფილი მთავარი ინჟინერი **პეტ ფრაი** „ფერარიში" გადავიდა სამუშაოდ. როგორც იტალიური საჯინიბოს ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, 46 წლის სპეციალისტი, რომელიც „მაკლარენში" 18 წელი მოღვაწეობდა, 1 ივლისიდან შეუდგება მუშაობას. ფრაი „სკუდერიაში" ტექნიკური დირექტორის პოსტს დაიკავებს.

*„ყოველთვის დასანანია, როცა ასეთი დონის თანამშრომელს კარგავ. მან ჩვენთვის ძალიან ბევრი გააკეთა. მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ფრაის ახალი მიზნები აქვს კარიერაში"*, - განაცხადა „მაკლარენის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯონათან ნილმა**.

■ ■ ■

რალის მსოფლიოს ჩემპიონატის უახლოეს ეტაპზე - „ფინეთის რალიზე" მნიშვნელოვან მოვლენას ექნება ადგილი. ტრასაზე გავა ლეგენდარული ფინელი რალისტი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, 51 წლის **იუჰა კანკუნენი**. მისი შტურმანი იქნება 52 წლის **იუჰა რეპო**, რომელთან ერთადაც კანკუნენი წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში.

სახელგანთქმული დუეტი სტარტზე „ფორდის" ავტომობილით გავა. კანკუნენის ბოლო რბოლა 2002 წლით თარიღდება, რეპოსი - 2003 წლით.

კალათბურთი

# სუდანის უგვირგვინო მეფე

**მანუტე ბოლი** ვირჯინიის ერთ-ერთ საავადმყოფოში 19 ივნისს გარდაიცვალა. ის სულ რაღაც 47 წლის იყო. NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კალათბურთელი (მისი სიმაღლე 231 სანტიმეტრი იყო) თირკმლის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა. ეს ავადმყოფობა, თავის მხრივ, სტივენ ჯონსონის სინდრომით (კანის უიშვიათესი დაავადება) იყო გამოწვეული.

სუდანელი გიგანტი საკალათბურთო სამყაროს არა სპორტული მიღწევებით, არამედ სამშობლოსთვის გაწეული უდიდესი სამსახურით დაამახსოვრდება. *„1991 წელი იყო, როცა სუდანიდან ამერიკაში პირველად ჩასულმა ტელევიზორში ვნახე ჩემი ქვეყანა, - იხსენებდა ბოლი. - ეს საშინელება იყო. სამხრეთ სუდანში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და მთავრობა უამრავ მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავდა. მაშინ მომინდა ხალხის გადარჩენა.*

*რაღაც უნდა გამეკეთებინა. უბრალოდ, გულზე ხელების დაკრეფა და ამ ყველაფრის გვერდიდან ყურება არ შეიძლებოდა. მაშინ გადავწყვიტე, გავმხდარიყავი სამართლიანობისთვის მებრძოლი".*

მანუტეს სამშობლო კოლორიტულია. აფრიკული საზომითაც კი უზარმაზარ ქვეყანაში სხვადასხვა ტომი სახლობს, რომელთა წეს-ჩვეულებები უცხოებისთვის სრულიად გაუგებარია. მაგალითად, ბოლი „ფილადელფია სიქსერზში" პარტნიორებს უყვებოდა, რომ ადრეულ ასაკში შუბით პირადად ნადირობდა ლომზე. მისი ბაბუის მამა, რომლის სიმაღლე თითქმის ორმეტრ-ნახევარს აღწევდა, ბელადი იყო და დაახლოებით 30 ცოლი ჰყავდა. ცრურწმენებმა ქვეყანა მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა. სუდანის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის თითქმის 20-წლიანმა სამოქალაქო ომმა მილიონობით მშვიდობიანი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. დარფურში სანავთობო კონფლიქტმა უამრავი დევნილი გააჩინა, ჰარტრუმი კი იფარებდა ისეთ საეჭვო პიროვნებებს, რომლებიც შემდეგ პლანეტის მთავარი ტერორისტები ხდებოდნენ.

*„საკმარისი თანხა გამოვიმუშავე იმისთვის, რომ საქველმოქმედო საქმიანობისთვის მიმეძღვნა თავი, - ჰყვებოდა ბოლი. - როცა სუდანში დავბრუნდი და უბრალო ხალხის სიღარიბე დავინახე, შეძრწუნებული დავრჩი. მეუბნებოდნენ, რომ მძიმე სიტუაცია იყო, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამდენად მიშვებული იქნებოდა ყველაფერი. ფული უნდა შემეგროვებინა და ხალხს დავხმარებოდი. 90-იან წლებში ვცდილობდი დამერწმუნებინა ამერიკის მთავრობა, რომ უახლოეს დროში სუდანში დამკვიდრებული ისლამისტური ფუნდამენტალისტებისგან რეალურ საფრთხეს მივიღებდით. მაგრამ ჩინოვნიკებმა მითხრეს: „ჩვენ აფრიკა არ გვაინტერესებს". სრულ იდიოტად ვიგრძენი თავი".*

NBA-ში 10 წელი თამაშის განმავლობაში ბოლი აქტიურად იყო დაკავებული ქველმოქმედებით და ამ მიმართულებით თითქმის მთელ ხელფასს ხარჯავდა. ხშირად სტუმრობდა დევნილთა ბანაკებს, ცდილობდა მათ დახმარებას. 2001 წელს ბოლს სუდანის სპორტის მინისტრის პოსტი შესთავაზეს, მაგრამ მანუტემ მასზე რელიგიური მოსაზრებებით თქვა უარი. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო თანამდებობის მისაღებად საჭირო იყო ქრისტიანობაზე უარის თქმა და ისლამზე გადასვლა, რასაც ბოლი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებდა. შედეგად, ის სუდანის განთავისუფლების არმიისთვის დახმარებაში დაადანაშაულეს, ვიზა არ მისცეს და ძალდატანებით დატოვეს ქვეყანაში. ამერიკულ მხარესთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ბოლი და მისი ოჯახი მაინც გაუშვეს ამერიკაში, მაგრამ კალათბურთელს უკვე გვარიანად ჰქონდა შერყეული ჯანმრთელობა. შიდაპატიმრობის დროს მას ართრიტი განუვითარდა. მაღალი ადამიანებისთვის ეს ავადმყოფობა სულაც არ არის უცხო, მაგრამ მუდმივი სტრესის პირობებში სენი სწრაფად პროგრესირებდა და გართულებები გამოიწვია.

ავადმყოფობის მიუხედავად, ბოლი შემდეგშიც ყველაფერს აკეთებდა თავისი ფონდისთვის თანხების მოსაძიებლად. მისმა პირადმა შემოწირულობამ 3.5 მილიონი დოლარი (NBA-ში 10 წლის განმავლობაში მან დაახლოებით 6 მილიონი გამოიმუშავა) შეადგინა, გარდა ამისა, მანუტე მუდმივად მონაწილეობდა სხვადასხვა აქციაში, ხანდახან ყოვლად გიჟურსა და დაუჯერებელში. მაგალითად, საკრივო შოუში, რომელშიც მან ფეხბურთელი **უილიამ პერი** დაამარცხა, ან ჰოკეის მატჩში, არადა, სუდანელმა ციგურებზე დგომა არ იცოდა. ამავე მიზნით მას ცხენზე ჯდომამაც მოუწია... წარმოიდგინეთ, როგორი შესახედავი იქნება 231-სანტიმეტრიანი აფრიკელი ჟოკეი?! მაგრამ ბოლს სულაც არ ეხამუშებოდა ის, რომ ასეთი აქციების დროს, შესაძლოა, სასაცილოდ გამოჩენილიყო. მთავარი იყო ბავშვებისთვის ფულის შეგროვება და მათთვის დახმარების გაწევა. მანუტეს უახლოეს გეგმებში შედიოდა მთელი სუდანის ტერიტორიაზე რიგით 41-ე სკოლის აშენება.

*„სუდანმა და მსოფლიომ გმირი დაკარგა, - განაცხადა ბოლის სიკვდილის შემდეგ ფონდ* Sudan Sunrise*-ის აღმასრულებელმა დირექტორმა* **ტომ პრიჩრდმა**. *- ჩვენ ის მოგვენატრება. ასეთი ადამიანები ცოტანი არიან".*

მანუტე ბოლმა საკალათბურთო მოედანზეც დატოვა გარკვეული კვალი. ის ოთხი კლუბის - „ვაშინგტონის", „ფილადელფიას", „გოლდენ სტეიტისა" და „მაიამის" ღირსებას იცავდა. ბოლი ერთადერთი კალათბურთელია NBA-ის ისტორიაში, ვინც კარიერაში უფრო მეტი დაფარება (2086) დააგროვა, ვიდრე ქულა (1599). იმის გათვალისწინებით, რომ დღეისთვის კალათბურთი უნივერსალიზაციისკენ მიისწრაფვის, რთული წარმოსადგენია ლიგაში მხოლოდ დაცვაზე ორიენტირებული კიდევ ერთი ასეთი ფიგურის გამოჩენა, რომელსაც საერთოდ არ შეუძლია შეტევაში თამაში. თუმცა ბოლს დაფარებების გარდა, კიდევ ერთი საყვარელი ილეთი გაუჩნდა. 1988-89 წლების სეზონში „გოლდენ სტეიტში" გადასვლის შემდეგ, აფრიკელმა მოულოდნელად სამქულიანების სროლა დაიწყო. ინტერნეტში არსებული ფრაგმენტების მიხედვით, მეტად სახალისო სანახაობაა. საინტერესოა, რომ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, სუდანელმა გიგანტმა 194 შესაძლებლიდან 40 სამქულიანი გამოიყენა.

ეს, რა თქმა უნდა, გართობა იყო. ბოლის მთავარი იარაღი დაცვაში თამაში გახლდათ. უკვე სადებიუტო სეზონში მან საშუალოდ მატჩში 5 (!) დაფარება დააგროვა და სეზონის დაცვითი მოთამაშეების მეორე სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. სუდანელის ყოფილი თანაგუნდელი **ჩარლზ ბარკლი** აღიარებს: *„ჩვენ მას ღირსეულად არასოდეს ვაფასებდით. მაგრამ თავის საუკეთესო შეხვედრებში მანუტე ბრწყინვალე იყო. განსაკუთრებით ეს დაცვაში თამაშზე ითქმის. ის არანორმალურად ბევრ დაფარებას აგროვებდა. ჩვენს ფართან მიახლოება ძალიან საშიში იყო".*




ამბები

## იგუოდალა სიქსერზს დატოვებს?

ამერიკული პრესა ვარაუდობს, რომ სულ მალე „ფილადელფია სიქსერზი" გამოეთხოვება თავის ერთ-ერთ ლიდერს - **ანდრე იგუოდალას**. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბი მომავალ დრაფტზე **ევან ტერნერს** აიყვანს.

*„თუ ტერნერი „სიქსერზის" მოთამაშე გახდება, მაშინ კლუბმა ანდრეს რაღაც უნდა მოუხერხოს. იგუოდალა ფიზიკურად ევანზე ძლიერია, მაგრამ ევანი თამაშს უკეთესად კითხულობს. მოედანზე ამ ორისთვის არასაკმარისი ადგილი იქნება"*, - წერს ერთ-ერთი მიმომხილველი.

## დენვერი კლეიზას იბრუნებს

„დენვერ ნაგეტსმა" ოფიციალური წინადადებით მიმართა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" ფორვარდ **ლინას კლეიზას**. ამერიკულ კლუბს NBA-ში ლიტველზე უფლებები გააჩნია, თუმცა კლეიზამ მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ბოლოს 2008-09 წლების სეზონში ითამაშა და შემდეგ საბერძნეთში გადავიდა.

„დენვერის" შეთავაზების დეტალები ცნობილი არ არის. შეგახსენებთ, „ოლიმპიაკოსთან" ლინასის კონტრაქტი (საერთო თანხა 12.5 მილიონი დოლარი) კიდევ ერთი წელი იქნება ძალაში.

## რეალში წმენდა დაიწყო

წარუმატებელი სეზონის შემდეგ „რეალის" ხელმძღვანელობამ ექვსი კალათბურთელის გაშვება გადაწყვიტა.

ეს მოთამაშეები არიან: ცენტრი **ტომას ვან დენ შპიგელი**, მცველები - **ტრევის ჰანსენი**, **რიმანტას კაუკენასი** და **მარკო იარიჩი**, ფორვარდები - **ვლადიმერ დაშიჩი** (სეზონი არენდით „გრან კანარიაში" დაასრულა) და **ლუის ბალოკი**, რომელმაც მადრიდში ექვსი წელი გაატარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

ინტერვიუ ანა კურნიკოვასთან

# ჩემი სხეული სპორტისთვის არ არის

რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა 2010 წლის უიმბლდონის ლეგენდების ტურნირზე ითამაშებს. ის წყვილთა თანრიგში თავის ძველ პარტნიორთან - მარტინა ჰინგისთან ერთად გამოვა, რომელთან ერთადაც პროფესიულ ტურში 11 ტიტული აქვს მოგებული, მათ შორის ორჯერ „დიდი სლემის" ჩემპიონატი.

ცნობისთვის, კურნიკოვას უიმბლდონზე 2002 წლის შემდეგ არ უთამაშია. სტარტის წინ რუსმა ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ Daily Mail-ს. გთავაზობთ ამ საუბრის რამდენიმე ნაწყვეტს.

**- ანა, უიმბლდონზე ბრუნდებით. რა გრძნობა გეუფლებათ ამასთან დაკავშირებით?**

- მართლაც მოუთმენლად ველოდები ამ მომენტს. აქ 2002 წლის შემდეგ არ ვყოფილვარ. შესაძლოა, ჩემი საუკეთესო მოგონებები სწორედ ამ ტურნირს უკავშირდება. უიმბლდონს განსაკუთრებული ატმოსფერო და ტრადიციები აქვს. ახლა ვცდილობ მეტი ყურადღება დავუთმო ჩემს ჯანმრთელობას, კერძოდ, ტრავმირებულ ზურგს, რის გამოც ნაადრევად მომიწია კარიერის დასრულებამ. იმ მომენტიდან, როცა ამ უიმბლდონისთვის მზადება დავიწყე, ძველმა ტრავმამ ისევ შემახსენა თავი.

**- რას გრძნობთ კარიერის გახსენებისას?**

- მხიარული დრო იყო. ხანდახან მგონია, რომ ეს ყველაფერი მე არ გადამხდენია თავს. ამავდროულად ვფიქრობ: „მე ხომ ეს ყველაფერი გავიარე! შესანიშნავია!" ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ტრავმებს ვერ გავუმკლავდი - პატარა გოგო ვარ და ჩემი სხეული სპორტისთვის გამოუსადეგარია. 12 წლის განმავლობაში დღეში ექვსსაათიანი ვარჯიში... ჩემი ძვლებისთვის ეს უდიდესი დატვირთვა იყო.

**- არ მიგაჩნიათ, რომ სპორტის გამო ბავშვობა არ გქონიათ?**

- შეიძლება ასეც იყოს. კარიერის გამო ძალიან მალე გავიზარდე. უკვე 15 წლის ასაკში ყველა კონტინენტზე ვიყავი ნამყოფი, მაგრამ 20 წლისა კოლეჯში სასწავლებლად არ წავედი. სასკოლო გამოცდილებიდან ბევრი რამ დამაკლდა, რასაც ჩვეულებრივი მოზარდი ყოველდღიურად აწყდება.

**- რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ მიღწევად სპორტულ კარიერაში?**

- ყოველი მატჩისგან დიდ სიამოვნებას ვიღებდი. მნიშვნელობა არ ჰქონდა - შტეფი გრაფს დავამარცხებდი, მარტინა ჰინგისს თუ მსოფლიოს რეიტინგის მე-200 ნომერს. უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონკრეტულ მატჩში ნაჩვენებ შედეგს. საერთო ჯამში, ჩემი კარიერით კმაყოფილი ვარ. ამერიკაში საბჭოთა კავშირიდან ჩავედი, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ დაკეტილი იყო და ბევრ სპორტსმენს არ შეეძლო მსოფლიოში თავისუფლად მოგზაურობა.

**- თქვენ არა მხოლოდ თამაშით, არამედ გარეგნული მომხიბვლელობით გახდით პოპულარული. ზოგიერთი თქვენს გარეგნობას ერთადერთ ღირსებად მოიხსენიებს...**

- რა თქმა უნდა, საწყენია ეს ყველაფერი - მე ხომ ადამიანი ვარ. მაგრამ დროთა განმავლობაში ამასაც ვუმკლავდები. ჩოგბურთის ნამდვილმა გულშემატკივრებმა იციან, რასაც მივაღწიე და მეც ვიცი, რომ ძალიან ბევრს ვმუშაობდი და შრომის გარეშე წარმატება არ მოსულა. დამეთანხმეთ - მე რომ რეიტინგის მეასე ნომერი ვყოფილიყავი, ხალხი ჩემ შესახებ არ ილაპარაკებდა, რადგან მსოფლიოში ისედაც მრავლად არიან ლამაზი ჩოგბურთელები. ხალხი არ ილაპარაკებს შენ შესახებ, თუ კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში არ მოხვდები.

**- ჩოგბურთის თამაში პრაქტიკულად ფეხის ადგმასთან ერთად ისწავლეთ. ალბათ, რთული იყო ასე ნაადრევად აქტიური კარიერის დასრულება?**

- მართლაც საშინელება იყო ასეთ ასაკში თამაშის დამთავრება. 2003 წელს სულ რაღაც 22 წლის ვიყავი, როცა პროფესიულ ტურში თამაში შევწყვიტე. ხუთი წლიდან ჩოგანი მეჭირა ხელში. ჩოგბურთი მთელი ჩემი ცხოვრება იყო და გარკვეული ხანი დამჭირდა იმისთვის, სანამ ახალ ცხოვრებას შევეჩვეოდი.



**- ვინ მოგწონთ დღევანდელი ჩოგბურთელებიდან?**

- ალბათ, დები უილიამსები. მათ სრულიად მშვიდად შეუძლიათ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმაღლეს დონეზე თამაში. ძალიან ჭკვიანები არიან. მათ ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ სრულად არ იტვირთებიან სეზონის განმავლობაში, მაგრამ 28 და 30 წლის ასაკში რთულია ამის გაკეთება. ისინი უმაღლესი დონის ჩოგბურთელები არიან და უდიდეს დატვირთვებს უძლებენ. ჩემი სხეული ამას ვერ აიტანდა. ვფიქრობ, ხანდახან ძალიან ბევრს ვთამაშობდი. ალბათ, ჩემი კარიერა უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა, უილიამსების მსგავსი გრაფიკი რომ შემედგინა.

**- მოდით ახლა ენრიკე იგლესიასზე ვისაუბროთ...**

- ის ძალიან კეთილი ადამიანია, იუმორის შესანიშნავი გრძნობა აქვს.

**- რა ენაზე ელაპარაკებით ერთმანეთს?**

- ინგლისურად. მე ესპანურად ნორმალურად ვლაპარაკობ, მაგრამ ეს ენა იდეალურად არ ვიცი. ენრიკემ ცოტა რუსული იცის. ბებიაჩემმა ასწავლა ფრაზები. ასე მგონია, რომ ისინი შეყვარებული არიან ერთმანეთზე. ჟესტებითა და მზერით აქვთ ურთიერთობა, რადგან ბებიაჩემმა ერთი სიტყვა არ იცის ინგლისურ ენაზე. ძალიან სასაცილოა მათი ყურება. ჩვეულებრივ, მე თარჯიმანის როლი მეკუთვნის.

**- თქვენ და ენრიკე - აღიარებული სექსსიმბოლოები ხართ. როგორ უმკლავდებით თქვენი პიროვნების მიმართ გადამეტებულ ინტერესს?**

- ჩვენთვის ეს ნორმალურია. რაც მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს ენრიკეს, მით უფრო გახარებული ვარ. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების მეგზურს უნდა ენდო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ღირს მასთან ყოფნა.

ველოსპორტი

# არმსტრონგი მზად არის

გასულ კვირას დასრულდა ტურ დე ფრანსისთვის მზადების კიდევ ერთი ეტაპი - შვეიცარიის ტური, რომელიც შემადგენლობით უფრო ვარსკვლავური იყო, ვიდრე ცოტა ხნით ადრე დასრულებული „კრიტერიუმ დოფინე". ევროპის ცენტრში შეიკრიბნენ პირველი დონის ვარსკვლავები - **ლენს არმსტრონგი, ფრანკ შლეკი, ანდრეას კლიოდენი, ლევი ლაიპჰაიმერი, ხოაკიმ როდრიგესი, რობერტ ჰესინკი** და ორი მასპინძელი - **ფაბიან კანჩელარა** და **სტივ მორაბიტო**. ეს უკანასკნელი უშუალოდ ამ რბოლაში ყაზახური „ასტანას" ლიდერი იყო და საერთო ჩათვლაში გამარჯვებაზე გამოაცხადა პრეტენზია.

XXI საუკუნეში შვეიცარიის ტური არაერთ ძლიერ ველომრბოლს მოუგია: არმსტრონგს, **იან ულრიხს, ალექსანდრ ვინოკუროვსა** და **რომან კროიციგერს**. შარშან, განცალკევებით რბოლების წყალობით, კანჩელარამ გაიმარჯვა.

გენერალურ კლასიფიკაციაში ძალთა გადანაწილებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველაზე რთულ მეექვსე ეტაპს. აქ კონკურენტებზე უკეთ გამოვიდნენ უფროსი შლეკი და არმსტრონგი. ისინი ერთად მივიდნენ ფინიშთან და ურთიერთობის გარკვევა ბოლო ეტაპისთვის გადადეს. ბოლოს ველომრბოლებს 27-კილომეტრიანი განცალკევებით რბოლა ელოდათ.

ამ ეტაპის ფავორიტი, რა თქმა უნდა, ფაბიან კანჩელარა იყო, მაგრამ ბრწყინვალე შვეიცარიელმა მოულოდნელად წააგო „კოლამბიას" გერმანელ წევრთან - ტონი მარტინთან. 25 წლის დებიუტანტმა შარშან გააცნო თავი ველოსპორტის მოყვარულებს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ახლა კი ოლიმპიურ ჩემპიონს გაუსწორდა.

საერთო ჩათვლის მოგების მთავარი პრეტენდენტები ბოლო ეტაპზე ათეულის მიღმა აღმოჩნდნენ. საბოლოოდ, გენერალურ კლასიფიკაციაში გამარჯვება წილად ხვდა ყველაზე სტაბილურ სპორტსმენს - ლუქსემბურგელ ფრანკ შლეკს, რომელსაც სამართლიანად ასახელებენ მომავალი ტურ დე ფრანსის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად. შლეკმა 12 წამით აჯობა არმსტრონგს, რომელსაც შვეიცარიის ტურში 9 წლის წინ გაუმარჯვია. მესამე ადგილზე აღმოჩნდა პერსპექტიული დანიელი **იაკობ ფუგლსანგი**, ვინც შარშან ვეულტაზე შეტევებით დაგვამახსოვა თავი. დანიელმა ბოლო ეტაპზე კარგი გამოსვლით საერთო ჩათვლაში მეცხრიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

შლეკისთვის ეს გამარჯვება პირველი იყო ამ სეზონში და როგორც აღმოჩნდა, მისთვის მეტად მოულოდნელი: *„ოდნავ გაკვირვებული ვარ შვეიცარიის ტურის მოგებით, რადგან განცალკევებით რბოლის სპეციალისტად არ მივიჩნევ თავს. ამ მხრივ ბევრს ვმუშაობდი და როგორც ჩანს, შრომამ ნაყოფი გამოიღო. ეს კარგი ნიშანია ტურ დე ფრანსის წინ. შვეიცარიის ტურს ბევრი ლეგენდარული ჩემპიონი ჰყოლია, ამიტომაც ეს ტრიუმფი განსაკუთრებულია ჩემთვის".*

**საერთო ჩათვლა**

1. **ფრანკ შლეკი** („საქსობანკი", ლუქსემბურგი) - 36.02,00; 2. **ლენს არმსტრონგი** („რადიოშეკი", აშშ) - - +0,12; 3. **იაკობ ფუგლსანგი** („საქსობანკი", დანია) - +0,17; 4. **სტივ მორაბიტო** („ასტანა", შვეიცარია) - +0,23; 5. **რობერტ ჰესინკი** („რაბობანკი", ჰოლანდია) - +0,27; 6. ტონი მარტინი („კოლამბია", გერმანია) - +0,27...

ჰოკეი. NHL

# 7 ოქტომბერს იწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ 2010-11 წლების სეზონის კალენდარი გამოაქვეყნა.

მომავალი რეგულარული ჩემპიონატი ევროპაში გაიხსნება. 7 და 8 ოქტომბერს „ბებერ კონტინენტზე" ექვსი მატჩია დაგეგმილი: ორ-ორჯერ ითამაშებენ ერთმანეთში კაროლინა-მინესოტა (ჰელსინკი), კოლამბუსი-სან ხოსე (სტოკჰოლმი) და ბოსტონი-ფინიქსი (პრაღა).

ჩრდილოეთ ამერიკაში სეზონი 7 ოქტომბერს დაიწყება და ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა იქნება „პიტსბურგსა" და სტენლის თასის ფინალისტ „ფილადელფიას" შორის. ამ მატჩით პიტსბურგში გაიხსნება ახალი არენა - Consol Energy Center.

ამავე დღეს შესაძლებელი იქნება შემდეგი მატჩების ხილვა: კოლორადო-ჩიკაგო, ედმონტონი-კალგარი, ტორონტო-მონრეალი. მომდევნო დღეს ითამაშებენ: ატლანტა-ვაშინგტონი, დეტროიტი-ანაჰაიმი, დალასი-ნიუ ჯერსი და ოტავა-ბაფალო.

2011 წლის პირველ იანვარს გაიმართება ტრადიციული - Winter Classic: პიტსბურგში ღია ცის ქვეშ ითამაშებენ ადგილობრივი „პინგვინზი" და „ვაშინგტონი". მომავალ სეზონში ღია ცის ქვეშ კიდევ ერთი მატჩია დაგეგმილი, რადგან NHL-ში Heritage Classic-ის აღდგენას აპირებენ. აქ ერთმანეთს კანადური კლუბები უპირისპირდებიან. ამჯერად 20 თებერვალს „კალგარი" და „მონრეალი" გაარკვევენ ურთიერთობას.

2011 წლის პლეი ოფი 13 აპრილს დაიწყება, ფინალური სერიის მეშვიდე მატჩის სავარაუდო თარიღად 10 ივნისი არის მონიშნული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**23 ივნისი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. C ჯგუფი. სლოვენია-ინგლისი (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. D ჯგუფი. განა-გერმანია (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**II არხი**

**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. C ჯგუფი. აშშ-ალჟირი (LIVE).
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. D ჯგუფი. ავსტრალია-სერბეთი (LIVE).

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რუბინი-ბარსელონა.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი.
**14:35** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-ინტერი.
**16:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**17:15** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-პსჟ.
**19:05** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
**20:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ატლეტიკო-ჩელსი.
**22:40** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ბარი-იუვენტუსი.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სევილია-შტუტგარტი.
**03:05** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
**04:45** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ლე მანი. საფრანგეთი.
**11:30** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**12:30** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
**13:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**14:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი.
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**16:30** ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრან-პრი. ციურიხი.
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**19:45** მულტისპორტი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
**21:00** ახალი ამბები.
**21:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**21:25** მულტისპორტი.
**21:35** ცხენოსნობა. ერთა თასი. როტერდამი. ჰოლანდია.
**22:35** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**22:40** გოლფი. ევროპის ტური.
**23:20** გოლფ-კლუბი.
**23:25** მულტისპორტი.
**23:35** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**23:50** მულტისპორტი.
**00:05** ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** ზაფხულის ბიატლონი. გერმანიის გრან-პრი. ბურშტატი.
**02:15** პარალიმპიზმი. მსოფლიოს თასი.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ლატვია** | |
| იურმალა-სკონტო | 0:4 |
| **ლიტვა** | |
| შიაულიაი-ატლეტასი | 1:1 |

ქალები





# ალმაფრენა ტინა ტერნერისგან

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა** უიმბლდონისთვის შექმნილი კაბის ისტორია გაუმხილა ჟურნალისტებს. როგორც ბრიტანული გაზეთი „დეილი მეილი" წერს, ჩოგბურთელს, რომელმაც ცოტა ხნის წინ ტანსაცმლის დიზაინერის განათლება მიიღო, ამ კაბის შექმნა ცნობილმა მომღერალმა **ტინა ტერნერმა** უკარნახა.

*„მე მას ვაღმერთებ! დიდი ხელოვანი და ნამდვილი მებრძოლია. ამ კაბის შექმნისას სწორედ ტერნერზე ვფიქრობდი. შთაგონება მისგან მოდიოდა"*, - განაცხადა უილიამსმა.

თეთრი კაბა, რომლითაც ვენუს უილიამსმა პირველი წრეში პარაგვაელ **როსანა დე ლოს რიოსთან** (6:3, 6:2) ითამაშა, ტინა ტერნერის კაბებს ჰგავს. ადრე მომღერალი ასეთი ჩაცმულობით ხშირად გამოდიოდა კონცერტებზე და შემდეგ მას ბევრი პოპვარსკვლავი და მსახიობი ბაძავდა.

ვენუსი დიდი ხანია გატაცებულია ტანსაცმლის დიზაინით. ის საკუთარი კაბით არაერთხელ გასულა კორტზე. ცოტა ხნის წინ, ჩოგბურთელმა წარმოებაში ჩაუშვა მოდური ხაზი სახელწოდებით - EleVen.




ჩოგბურთი

# მარიამ კარგად დაიწყო

უიმბლდონის მეორე სათამაშო დღეს ერთ ხმაურიან სენსაციას ჰქონდა ადგილი. როლან გაროსის ჩემპიონის, იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონეს** გავარდნის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა ამავე ტურნირის ფინალისტი - **სამანტა სტოსური**.

ავსტრალიელი წლევანდელ უიმბლდონს ქალთა ტურის ლიდერის რანგში შეხვდა - მას სეზონში ყველაზე მეტი (35) მატჩი ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, ის ასეთი მაღალი რეიტინგით (მე-7 ნომერი) არასოდეს შეხვედრია „დიდი სლემის" ჩემპიონატს. მაგრამ სამანტას პირადმა რეკორდებმა ვერ უშველა. სტოსურს იოლად მოუგო ესტონელმა **კაია კანეპიმ**, რომელმაც სამი ბრეიკპოინტის რეალიზება შეძლო, მისმა მეტოქემ კი შვიდი ასეთი შანსიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ასეთი ანგარიშში გამოიხატა - 6:4, 6:4 კანეპის სასარგებლოდ. სხვათა შორის, სტოსურმა მერვედ ითამაშა უიმბლდონზე და მეოთხედ წააგო პირველივე წრეში.

არანაკლებ მოულოდნელი იყო არგენტინელი **ხისელა დულკოს** მარცხი 137-ე ნომერ **მონიკა ნიკულესკუსთან**. დულკო ყოველთვის კარგად გამოდიოდა უიმბლდონზე. მაგალითად, შარშან აქ რუს **მარია შარაპოვას** მოუგო და მეოთხედფინალამდე მიაღწია. მაგრამ გუშინ სამხრეთამერიკელი საკუთარ თავს არ ჰგავდა და თითქმის უბრძოლველად წააგო - 3:6, 2:6. სხვათა შორის, დულკო მეორედ შეხვდა ნიკულესკუს და მეორედ დამარცხდა.

ქალებში ყველაზე დამაჯერებელი სტარტი მარია შარაპოვას ჰქონდა, რომელმაც 54 წუთი მოანდომა თანამემამულე **ანასტასია პივოვაროვას** განადგურებას. მარიამ აქტიური მოქმედებით 15 ქულა აილო და საკუთარ გათამაშებებზე მხოლოდ შვიდი ქულა დაუთმო მეტოქეს. საბოლოოდ, პივოვაროვამ ერთადერთი გეიმი აილო და არ გამოუვიდა უიმბლდონზე დებიუტი. სხვათა შორის, ანასტასიამ საკვალიფიკაციო ეტაპიც ვერ დაძლია, მაგრამ ძირითად ბადეში **დინარა საფინას** უარის შემდეგ მოხვდა.

**როჯერ ფედერერისგან** განსხვავებით, იოლი სტარტი ჰქონდა შარშანდელ ჩემპიონ **სერენა უილიამსს**. ამერიკელმა პორტუგალიელ **მიშელ ლარშერ დე ბრიტუსთან** მატჩში პირველი მოწოდებისას 100-პროცენტიანი (!) მაჩვენებელი დააფიქსირა - ყველა გათამაშება მოიგო, თანაც ამ 27-დან 15 ეისი იყო. შესაბამისად, სავსებით ლოგიკური გახლდათ საბოლოო ანგარიში - 6:0, 6:4.

სერენას მეორე წრეში რუსი **ანა ჩაკვეტაძე** ელის, რომელმაც ასევე მინისენსაცია შემოგვთავაზა - ბოლო დროს დაწინაურებულ გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩს** მოუგო. არადა, ამ უკანასკნელმა გასულ კვირას ჰერტოგენბოშში ფინალს მიაღწია და დამარცხების მიუხედავად, დიდი წინააღმდეგობა გაუწია **ჟუსტინ ანენს**.

■ ■ ■

2008 წელს გაჩემპიონების შემდეგ, უიმბლდონზე პირველი მატჩი ჩაატარა ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**. ორგანიზატორებმა ესპანელს ცენტრალური კორტი დაუთმეს, წილისყრამ კი როლან გაროსის ჩემპიონს იაპონელი **კეი ნიშიკორი** არგუნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, აზიელმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიოს პირველ ჩოგანს, თუმცა ორი საათი დააყოვნა კორტზე მეტოქე. ნადალმა მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება, თავად ხუთი ბრეიკი მიითვალა, თანაც საიმედო თამაშით გამოირჩეოდა, რაზეც 16 უნებლიე შეცდომა მეტყველებს.

მეორე წრეში რაფაელი ჰოლანდიელ **რობინ ჰაასეს** შეხვდება, რომელმაც მოულოდნელად ძალიან იოლად მოუგო გამოცდილ ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს**.

იოლად გაიმარჯვა ადგილობრივი პუბლიკის მთავარმა იმედმა **ენდი მიურეიმ**. მას მხოლოდ პირველ სეტში ჰქონდა პრობლემები ჩეხ **იან ჰაიეკთან**, როცა ბრეიკით დაწინაურებულმა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. 5:5-დან მიურეი მთლიანად გაბატონდა კორტზე და მომდევნო 17 გეიმიდან 14 თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5, 6:1, 6:2.

დღის ბოლოს, ერთი სენსაცია კაცებს შორისაც დაფიქსირდა. 2005 წლის შემდეგ პირველად „დიდი სლემის" ჩემპიონატს საწყის ეტაპზე გამოეთიშა ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო**. არადა, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტი ბოლო ოთხი სეზონიდან სამჯერ გავიდა უიმბლდონის მერვედფინალში, მაგრამ ახლა მას ამის საშუალება არ მისცა მსოფლიოს მე-80 ჩოგანმა, იტალიელმა **ფაბიო ფონინიმ**, რომელმაც ოთხ სეტში მოუგო მერვედ ნომრად განთესილ მეტოქეს.

## I წრე

### კაცები

**ფაბიო ფონინი (იტა)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 8) 7:6(9), 2:6, 7:6(6), 6:4; **მაიკლ რასელი (აშშ)**-პერე რიბა მადრიდი (ესპ) 6:3, 7:6(1), 2:6, 7:6(1); **ანდრეას ბეკი (გერ)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 7:6(4), 6:3, 6:4; **ჟულიან ბენეტო (საფ, 32)**-კრისტოფ ვლიგენი (ბელ) 2:6, 6:7(6), 6:1, 6:2, 7:5; **ანდრეას სეპი (იტა)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19) 7:6(40, 7:6(7), 6:2; **ტობიას კამკე (გერ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 5:7, 2:6, 7:5, 6:4, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-მარკო ჩიუდინელი (შვეიც) 6:4, 6:3, 6:3; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6(2), 7:6(6), 3:6, 6:4; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ხუან კარლო ფერერო (ესპ, 14) 6:2, 6:7(6), 7:6(5), 4:6, 6:1; **იულიან რაისტერი (გერ)**-რიკ დევოესტი (ს. აფრ) 6:4, 7:5, 3:6, 6:2; **ივან დოდიგი (ხორ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:1, 6:3, 6:3; **სემ კუერი (აშშ, 18)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 7:6(4), 6:3, 2:1 სტახოვსკის უარი; **ჟილ სიმონი (საფ, 26)**-გილერმო ალკაიდე (ესპ) 6:3, 6:4, 7:6(0); **ილია მარჩენკო (უკრ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 7:5 ბერერის უარი; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 7:6(3), 5:7, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 7:5, 6:1, 6:1; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:2, 6:2, 6:3; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ფედერიკო ჟილი (პორ) 6:3, 6:0, 6:4; **მარტინ ფიშერი (ავსტრია)**-გო სოედა (იაპ) 6:4, 6:3, 6:1; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 25)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:4, 6:4, 6:4; **ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 24) 6:3, 2:6, 6:3, 6:1; **ჟერემი შარდი (საფ)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:3, 6:3, 6:1; **ფლორან სერა (საფ)**-სიმონ გრეილი (გერ) 7:6(2), 6:3, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 9)**-ნიკოლას ნიფერი (გერ) 6:4, 6:2, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 13)**-დუდი სელა (ისრ) 6:3, 6:4, 4:6, 7:6(2); **პოლ ანრი მატიო (საფ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:1, 7:5, 3:6, 6:1; ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:7(4), 6:4, 6:3, 5:7 შეწყდა; ნიკოლას მაჰუ (საფ)-ჯონ ისნერი (აშშ, 23) 4:6, 6:3, 7:6(7), 6:7(3) შეწყდა; **ფილიპ პეტცშნერი (გერ, 33)**-სტეფან რობერი (საფ) 6:4, 7:6(6), 4:6, 2:6, 6:4; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 4:6, 6:2, 6:2, 6:3; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:2, 6:4, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:2, 6:4, 6:4.

### ქალები

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-მიშელ ლარშერ დე ბრიტო (პორ) 6:0, 6:4; **ანა ჩაკვეტაძე (რუს)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 3:6, 6:4, 6:4; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 7:5, 6:1; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25) 7:6(5), 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 24)-ვანია კინგი (აშშ) 6:7(4), 7:6(4) შეწყდა; **ბარბარა ზახვალოვა (ჩეხ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:3; **იოანა რალუკა ოლარუ (რუმ)**-ალიზ კორნე (საფ) 5:7, 6:4, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 16)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 6:1, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 9)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 7:6(5), 6:2; **კურუმი ნარა (იაპ)**-მარიანა დუკე მარინო (კოლ) 6:4, 6:2; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 3:6, 6:2, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 19)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:2, 6:7(5), 6:4; **სარა ერანი (იტა, 32)**-ჟული კუანი (საფ) 6:2, 6:4; **არანჩა პარა სანტონხა (ესპ)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:3, 2:6, 6:4; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ჟილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:3, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 3)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:1, 6:1; **კაი ჩენ ჩანგი (ტაივ)**-არანჩა რუსი (ჰოლ) 6:0, 2:6, 6:3; **რობერტა ვინჩი (იტა)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:3, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკო (რუს, 29)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 23)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 7:5, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:2, 6:2; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:1, 6:0; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 14)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:3, 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 10)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:4, 6:0; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:2; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ივონ მეისბურგერი (ავსტრია) 6:7(1), 6:1, 6:0; **არავან რეზაი (საფ, 18)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:7(8), 6:2, 7:5; **ალექსანდრ დულგერუ (რუმ, 31)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:2, 6:7(3), 6:1; **რომინა ოპრანდი (იტა)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 6:4, 1:6, 6:3; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 4:6, 7:5, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 6) 6:4, 6:4.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge